WWW.SAERTOGAZETI.ORG

# საერთო გაზეთი

№15 (249) ● 1-7.V.2013 წელი ● გამოდის ოთხშაბათს ● www.saertogazeti.org; E-mail: saertogazeti@yahoo.com ● ფასი 1 ლარი

## ვულკანი, სახელად „შავი ფული“



მიშა და ვანო კი არ არის საშიში, საშიში ის უზარმაზარი ფულია, რომელიც მათ და სხვა ბობოლა „ნაციონალებმა“ ხელისუფლებაში ყოფნის დროს იშოვეს

### კახა კალაძე:

„ამაზე ჯერ არც ერთ ყოფილ „ლეიბორისტს“ არ ულაპარაკია... პირველად გეუბნებით თქვენ — ერთ დღეს ოფისში მოვიდნენ ე.წ.





პოლიტიკური მონებით მოვაჭრეები და შალვას პირზე დაადგნენ...“

### ზაზა შათირიშვილი:

## 19 აპრილი — ეს იყო ცხოვრება სიკვდილის შემდეგ



### ზვიად ნოდია:

## ფიქრები ბოლოჟამის ეკლესიაზე

## ბარამიძე, აბუდ ლაჰდარი გახსოვს?

### ზურაბ ჩიქოვანი:

## „პაატა შოუ“



„ეს ომის მიერ გამოგონილი ლეგენდაა. ამგვარ ლეგენდებს ყველა კონფლიქტში ყვებიან“ — პაატა ზაქარეიშვილი

## მე ვარ მოწმე...

გვესაუბრებიან გაგრელები, გაგრის ტრაგედიის თვითმხილველები, რომლებიც სასწაულებრივად გადაურჩნენ სიკვდილს



## საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ბატონ ბიძინა ივანიშვილს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, ბატონ დავით უსუფაშვილს

**ბატონებო,**

2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში „ქართული ოცნების“ გამარჯვებამ გააჩინა იმედი იმისა, რომ ქვეყანაში აღდგებოდა სამართლიანობა და კანონიერება. მართალია, ეს პროცესი დაიწყო, მაგრამ, სამწუხაროდ, ი. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ჯერ არ შეხებია; არადა სწორედ ეს **უნივერსიტეტი არის ერთ-ერთი მსხვერპლი წინა ხელისუფლების ძალმომრეობისა და უკანონობისა**. ქართულ საზოგადოებას კარგად ახსოვს 2004-2012 წლებში უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესები: ლიკვიდირებული სამეცნიერო ნაწილი, კატასტროფულად შემცირებული აკადემიური სექტორი; უმუშევრად დარჩენილი 5000-მდე უნივერსიტეტელი, გაუქმებული ათეულობით კათედრა, კაბინეტ-ლაბორატორია, განადგურებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; პოლიციის მიერ არაერთგზის დარბეული და შეურაცხყოფილი პროფესურა; გაყალბებული კონკურსები, უამრავი კანონდარღვევა (მათ შორის ფინანსური)...



ბატონებო, 2013 წლის 27 თებერვალს ჩვენ **თხოვნით მოგმართეთ** თქვენ, **ყურადღება მიგექციათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შექმნილი საგანგაშო მდგომარეობისათვის**; შეგექმნათ კომპლექსური კომისია, რომელიც შეისწავლიდა 2004-2012 წლებში თსუ-ში მიმდინარე პროცესებს, ჩადენილ კანონდარღვევებს, რამაც უდიდესი ზიანი მიაყენა ქართულ განათლებასა და მეცნიერებას; გთხოვდით, **მომხდარიყო ფაქტების სამართლებრივი და პოლიტიკური შეფასება**; დასახულიყო გზები დანგრეულის აღდგენისა...

სამწუხაროდ, ჩვენს **მიმართვაზე თქვენგან კონკრეტული პასუხი დღემდე ვერ მივიღეთ**... სანაცვლოდ მოხდა ჩვენთვის აუხსნელი რამ: **უნივერსიტეტში სრული პროფესორის თანამდებობაზე დააბრუნეს და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტი გაუხსნეს ყოფილ რექტორს გ. ხუბუას**, რომელიც იყო შემსრულებელი და ორგანიზატორი უნივერსიტეტის წინააღმდეგ ჩადენილი ყოველგვარი ძალადობისა და უკანონობისა; რომელიც გამოიყენა ყოფილმა ხელისუფლებამ ბინძური საქმეების საკეთებლად და 2010 წელს მოაშორეს უნივერსიტეტს სერიოზული ბრალდებებით... დიდად სამწუხაროა ისიც, რომ ამჯერად გ. ხუბუას მფარველებად მოგვევლინენ მთავრობის წევრები ნ. ხადური და დ. ნარმანია, საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელი გ. მაღრაძე (უნივერსიტეტის რექტორ ა. კვიტაშვილთან ერთად)...

ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა ერთ-ერთი დამოუკიდებელი ტელევიზიის გადაცემამ, რომელშიც წინა ხელისუფლების დანაშაულებრივი შეკვეთების შემსრულებელი გ.ხუბუა იმავე ხელისუფლების მსხვერპლად და გმირად იქნა წარმოჩენილი... ჩვენი აზრით, **გ. ხუბუას „გათეთრების“ ყოველგვარი მცდელობა შეურაცხყოფაა დედაუნივერსიტეტისა, ქართული საზოგადოებისა; ეს არის უნივერსიტეტის წინააღმდეგ ყოფილი ხელისუფლების მიერ ჩადენილი უკანონობის მიჩქმალვისა და დამნაშავის მფარველობის მცდელობა...**

კიდევ ერთხელ მოგმართავთ და დაბეჯითებით მოვითხოვთ ხელისუფლებისაგან, შესწავლილი იქნეს 20004-20012 წლებში უნივერსიტეტში მიმდინარე მოვლენები; მიეცეს მას სამართლებრივი და პოლიტიკური შეფასება; დაისახოს უნივერსიტეტში შექმნილი სავალალო მდგომარეობის გამოსწორების გზები.

**„საუნივერსიტეტო დარბაზი“**
**„სოლიდარობა განათლებული საქართველოსათვის“**
**„უნივერსიტეტელი“**

# ავთანდილ ყურაშვილი – 70

70 წლისა შესრულდა თვალსაჩინო ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ავთანდილ სერგოს ძე ყურაშვილი. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ბატონო ავთანდილ!

ჭეშმარიტო შემოქმედო და ერისკაცო!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები დიდი სიყვარულით მოგესალმებიან ქართული სამწერლო ოჯახის ერთ-ერთ ულირსეულეს წევრს და გილოცავენ დაბადების 70-ე წლისთავს.

1961 წელს შედგა თქვენი სამწერლო ნათლობა, როდესაც გაზეთ „ქუთაისში“ გამოაქვეყნეთ ლექსების ციკლი. მას შემდეგ თქვენი ნაწარმოებები – ლექსები, მოთხრობები, მხატვრული თარგმანები, რომანი სისტემატურად ქვეყნდება ჩვენს სალიტერატურო პერიოდიკაში, გამოდის ცალკე წიგნებად.

მართლაც რომ დიდებული პოეტი ბრძანდებით. თქვენი პოეტური კრებულები „სინათლის ნაპირი“, „გამოჩნდა მიწა“, „რკინის ყვავილი“, „მარად და მარად“, „ნობი“, „სიზმარ-ბალადა“, „ხატ-პეპელა“, „აქ, ამ სამოთხეში“, „სიკვდილი სინათლეა“ ერთი მშვენიერი დადასტურებაა იმისა, რომ ლექსით და ლექსში ცხოვრობთ, რომ სამშობლოა თქვენი არსებობის გამართლება. დიახაც, რომ თქვენი ცხოვრებით ამტკიცებთ, საქართველოსთვის ცოცხლობთ და თავის დროზე საქართველოსთვის აღესრულებით, როგორც მისი სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი.

თქვენს პოეზიას ხომ განუმეორებელი ხიბლი აქვს და საოცარი რიტმულობით, ექსპრესიით, ორიგინალური მსოფლაღქმით, სამყაროს ფილოსოფიური ჭვრეტით, ისტორიული და ბიბლიური თემატიკის გააზრებით გამოირჩევა. თქვენი ლირიკული გმირი გულანთებული ტრუბადურია, რომელსაც სიყვარული შეუძლია, დიდი სიყვარული. საყვარელი არსებისკენ აქვს ხელები გაწვდილი, ვარსკვლავების რქანაყარ ტევრში ელოდება სასურველს და ტრანსში ჩავარდნილს ვერაფრით გაურკვევია, საყდრის ბჭესთან აშხვართული თეთრი გოგო რატომ წაგავს მაცხოვრის დედას, ხატიდან გადმოსულს. მუდამ აწუხებს ერთი კითხვა, რად არიან ასე შემართულნი ქართველნი სხვათა ომებში, რად აკლავენ თავს სხვათა დიდებას. მგელი რომ მგელია, იმის სატკივარიც სტკივა, ბებერი, დაუძლურებული, შიმშილისაგან აყმუვლებული მგლისა, რომელსაც ერთი სული აქვს, გამოფიტული მკერდი ძველებური გამბედაობით შეუშვიროს ავბედით ტყვიას...



თქვენი პოეზიის საუკეთესო ნიმუშები თარგმნილია აზერბაიჯანულ, სომხურ, რუსულ, აფხაზურ ენებზე.

თავადაც ეწევით მთარგმნელობით საქმიანობას და ქართულად თარგმნეთ ჯორჯ გორდონ ნოელ ბაირონის, ალექსანდრე ბლოკის, ვლადიმერ მაიაკოვსკის, ბაგრატ შინკუბასა და ნელი თარბას ლექსები.

ქართველი მკითხველი კარგად იცნობს თქვენს პროზაულ ნაწარმოებებს. ცალკე აღნიშვნის ღირსია რომანი „ცდომილთა დღესასწაული“, რომელიც თანამედროვე ქართული პროზის მიღწევათა რიგს განეკუთვნება. ამ რომანში ნათლად გამოჩნდა თქვენი, როგორც პროზაიკოსის, მახვილი თვალი, მემატიანის დარად აღწერეთ წინა საუკუნის სისხლიანი წლების ისტორია, აღწერეთ დამაჯერებლად, მწერლური სიმართლით. დაგვიხატეთ სიკეთისა და ბოროტების მარადიული ბრძოლა მისი შუქ-ჩრდილებით და საოცარი პერიპეტიებით. თარგმნილი გაქვთ პროზაული კრებულები – ვლადიმერ უსპენსკის „ბელადის საიდუმლო მრჩეველი“ და ელვირა გორიუხინას „ნუ დაგვაშორებ ჩვენ, ღმერთო, ნუ დაგვაშორებ“...

სად არ გიმუშავიათ, საავტომობილო თუ სატრაქტორო ქარხნების მუშად, მშენებლად, სკოლის მასწავლებლად, მცირეტირაჟიანი გაზეთების რედაქტორად, ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკის განყოფილების გამგედ, ქუთაისის კულტურის განყოფილების გამგის მოადგილედ, ჟურნალ „განთიადის“ პასუხისმგებელ მდივნად და რედაქტორის მოადგილედ. 1992 წლიდან კი ჟურნალის მთავარი რედაქტორი ბრძანდებით და თქვენი წვლილიც შეგაქვთ სავარდო და სამაისო ქალაქის კულტურული ცხოვრების აღორძინებაში.

ჩვენ, თქვენს მეგობრებს, კარგად გვახსოვს, როგორ უშურველად, თავდაუზოგავად ჩაერთეთ ეროვნულ მოძრაობაში, თანამებრძოლებთან ერთად როგორ იბრძოდით ეროვნული თვითშეგნების გამოსაფხიზლებლად და რა ბედნიერი იყავით, როდესაც თქვენმა გარჯამ და რუდუნებამ ნაყოფი გამოიღო – საქართველო ერთ მუშტად შეიკრა და დამოუკიდებელი გახდა.

სიკეთითა და ღირსებით სავსე პიროვნება ბრძანდებით და ღირსეულადაც ატარებთ ღირსების ორდენს. მონიჭებული გაქვთ საქართველოს მწერალთა კავშირის (3), აკაკი წერეთლის, დავით კლდიაშვილის, გიორგი ლეონიძისა და ოთარ ჭილაძის სახელობის პრემიები.

ჩვენო ავთანდილ!

კიდევ ერთხელ გულმხურვალედ გილოცავთ საიუბილეო თარიღს ძვირფას კოლეგას, გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და ახალი შემოქმედებითი მწვერვალების დაპყრობას.

**საქართველოს მწერალთა კავშირი**

---

**საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის დამფუძნებელთა საინიციატივო ჯგუფის საგანგებო**

# განცხადება

**მიმდინარე წლის 2 მაისს დიდ ხუთშაბათს, საქართველოს მწერალთა სახლში, მაჩაბლის ქ.№13 ჩატარდება საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის დამფუძნებელი კრება, შეხვედრა დაიწყება 13 საათზე.**

**საინიციატივო ჯგუფი**

„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97
რეგისტ. №202375349; უაკ (udc) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით.
შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება
შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში.
შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

ვახტანგ ხარჩილავა

# ვულკანი, სახელად „შავი ფული“

## მიშა და ვანო კი არ არის საშიში, საშიში ის უზარმაზარი ფულია, რომელიც მათ და სხვა ბობოლა „ნაციონალებმა“ ხელისუფლებაში ყოფნის დროს იშოვეს

გახსოვთ ალბათ, ხელისუფლებაში მოსვლისთანავე „ნაციონალებმა“ ფართომასშტაბიანი იერიში მიიტანეს ბიზნესზე, ბიზნესმენებზე ყოფილ ნომენკლატურაზე, ზოგადად ყველაზე, ვისაც კი სერიოზული ქონება და სერიოზული ფინანსები გააჩნდა.

„ნაციონალებმა“, ფაქტობრივად, ასე თუ ისე შეძლებული მოქალაქეების ფულადი სახსრებისა და ქონების სრული „ნაციონალიზაცია“ — ექსპროპრიაცია მოახდინეს, თანხების ერთი ნაწილით დაცარიელებული ხაზინა შეავსეს, მეორე ნაწილით საკუთარი ჯიბეები გაისქელეს და მესამე და უმნიშვნელოვანესი — დიდი ხნით ფინანსური საყრდენი გამოაცალეს პოლიტიკურ ოპოზიციას, ძირშივე აღკვეთეს ოპოზიციური ძალების გააქტიურების ყოველგვარი მცდელობა.

კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ „ნაციონალებისგან“ რადიკალურად განსხვავებული გზა აირჩია და წინა ხელისუფლებისა და ამ ხელისუფლებასთან დაახლოებული პირების მიერ დანაშაულებრივ-კრიმინალური მეთოდებით ნაშოვნი მილიონებისა და მილიარდების ამოღება არც დაუწერია.

არადა, ძალზე სახიფათო და საშიში ფულია ეს...

ბიზნესსა და ბიზნესმენებზე ტერორი და რეკეტი, ცხადია, მიუღებელია, მაგრამ აქ არ არის საუბარი იმ ბიზნესმენებზე, რომლებიც პატიოსნად აკეთებდნენ ბიზნესს და კანონის ჩარჩოებში მოქმედებდნენ — ლაპარაკია ბიზნესის სახელს ამოფარებულ კრიმინალზე და კრიმინალებზე, რომლებმაც არნახული სიხარბით ძარცვეს და ყვლიფეს ქვეყანა.

დადგენილი ფაქტია, რომ საქართველოში მძვინვარებდა ელიტური კორუფცია, რომელშიც ჩაბმულნი იყვნენ ხელისუფლების მაღალჩინოსნები, სამართალდამცავი სტრუქტურების წარმომადგენლები და, როგორც ამბობენ, ქვეყნის პირველი პირიც, თავის ოჯახთან და თავის სანათესაო-საახლობლოსთან ერთად.

**„ნაც. მოძრაობის“ ხელისუფლებაში ყოფნის ცხრა წელი ეს არის დიდი ყაჩაღობის ცხრა წელი, თუმცა მათ ამ ყაჩაღობისთვის პასუხს არავინ არ სთხოვს და ნაძარცვ-ნაგლეჯის უკან მოტანასაც არავინ აპალდებულებს.**



პრეზიდენტ სააკაშვილს რომ თავი დავანებოთ, თვით ივანე მერაბიშვილისთვისაც კი არავის შეუბედავს ეკითხა მართალია თუ არა ის ხმები, რომლებიც მისი ზღაპრული სიმდიდრის შესახებ ვრცელდებოდა და ვრცელდება დღესაც.

არავის უკითხავს სიხარულის ქუჩაზე თუ სხვა ქუჩებზე მდგარი სრა-სასახლეების პატრონებისთვის რით, რა შემოსავლებით ააშენეს ეს სასახლეები?

სანამ ისრაელის სახელმწიფოს საიმედო ფრთებს არ შეეყუჟა, არავის დასცდენია ზედმეტი სიტყვა ქართული კორუფციის დონ კარლიონეზე — დავით კეზერაშვილზე, რომელმაც, როგორც მოგვიანებით გაირკვა, თავისი ბიზნესი ვინმე იაკობაშვილს მიჰყიდა თურმე და თავის მეორე სამშობლოში ისრაელში, გაემგზავრა.

რამდენიც არ უნდა იქოთქოთონ ახლა, რა ეკონომიკურ დანაშაულობებშიც არ უნდა ამხილონ, ისრაელი თავის ებრაელ მოქალაქეს, კეზერაშვილს, საქართველოს რომ არ გადმოსცემს დასასჯელად და გასასამართლებლად, ფაქტია.

ხმა-კრინტი არ ისმის ბენდუქიძის მისამართითაც, რომელმაც — თავისი ფინანსური მაქინაციებით და საქართველოს ქონების ყიდვა-გაყიდვით მილიონებს მილიონები დაამატა.

არავის გამოუხატავს პრეტენზია ირაკლი ოქრუაშვილის მიმართაც, რომელზეც არაერთხელ ითქვა, რომ თვითმფრინავით გაზიდა ქეში ფული საქართველოდან უკრაინაში.

არაფერს ვამბობთ იმ „წვრილფეხობაზე“, რომელიც დღისით-მზისით ღიად და დაუფარავად ძარცვავდა თავის თანამოქალაქეებს — ართმევდა სახლებს, ართმევდა ბიზნესს, აწერდა გამოსასყიდს, უჯდებოდა წილში და ართმევდა ხარკს, ღალას.

რამდენი კოაბიტაციური ფერ-უმარალიც არ უნდა წავუსვათ, „ნაცმოძრაობა“ ხელისუფლება კი არა კარგად ორგანიზებული ბანდა, მაფია, დანაშაულებრივი სინდიკატი იყო.

რომლის „მოღვაწეობის“ პერიოდში საქართველო იქცა შავი ფულის გასარეცხ უზარმაზარ ორმოდ, სადაც უკვალოდ ქრებოდა მილიონები და მილიარდები.

შორს რომ არ წავიდეთ, ის 4 მილიარდი გავიხსენოთ, რომელიც საქართველომ 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ მიიღო კომპენსაციის სახით და რომლის დიდი ნაწილიც არავინ იცის, სად წავიდა და რას მოხმარდა.

ცნობილი და დადგენილი ფაქტია ისიც, რომ საქართველოს ბიუჯეტიდან ყოველწლიურად 900 მილიონი ლარი ილექებოდა „ნაც. მოძრაობისა“ და სახელისუფლებო სტრუქტურების წარმომადგენელთა ჯიბეებში.

„ნაციონალებმა“ ფულის კეთების შევარდნაძის დროინდელ მეთოდებზე უარი თქვეს და ახალი „ნოვატორული“ გზა აირჩიეს.

თუ შევარდნაძის დროს ბიუჯეტში შესატანი თანხა ბიუჯეტში არ შედიოდა და გზაში „ტყდებოდა“, სააკაშვილის პერიოდში ყველაფერი „პატიოსნად“ შედიოდა ბიუჯეტში და უკვე ბიუჯეტიდან ხდებოდა ფულის „ათვისება“ სხვადასხვა საბაბით და მოტივით.

რადგან შევარდნაძე ვახსენეთ, ბარემ აქვე ვთქვათ, რომ სწორედ შევარდნაძის დროს „მოქკავშირიდან“ დაიწყო დიდი კორუფციის ეპოქა, რომელიც სააკაშვილმა და „ნაც. მოძრაობამ“ „სახელოვნად“ გააგრძელა და ახალ სიმაღლეებზე აიყვანა.

დანაშაულისა და კორუფციის ეს უწყვეტი ჯაჭვი სადღაც თუ არ ჩახსნა ახალმა ხელისუფლებამ, არსებობს საფრთხე, რომ ის თვითონაც ამ ჯაჭვის გაგრძელებად იქცეს.

თუ ეს მოხდა, დროთა განმავლობაში სიტუაციის აფეთქება გარდაუვალი გახდება, რადგან ყველაფერს აქვს თავისი კანონზომიერი დასასრული, თავისი ბოლო წერტილი.



სწორედ ამიტომ ახალმა ხელისუფლებამ სააკაშვილის კრიმინალური რეჟიმის ნარჩენებთან კოაბიტაციონობანას თამაშს კი არ უნდა მიჰყოს ხელი, დროულად უნდა გაემიჯნოს მას და ქვეყანაში სამართალი და სამართლიანობა უნდა დაამკვიდროს.

რაც შეეხება კორუფციით, ყაჩაღობით, ძარცვა-გლეჯით ნაშოვნ უზარმაზარ ფულს, რომელიც დღეს ფსკერზეა დალექილი და თავისთვის თვლემს, თუ ამ ფულის ამოღება დროულად არ მოხდა და კრიმინალურ-კორუფციული სქემები დროზე თუ არ დაინგრა, ჯერ-ჯერობით ფსკერზე მშვიდად მთვლემარე ეს ფული შეიძლება ვულკანის ლავასავით ამოიფრქვეს...





# ბარამიძე, აბუდ ლაჰდარი გახსოვს?

ორი დღეა, რაც საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერი გიორგი ბარამიძე (და შესაბამისად მთელი „ნაცმოძრაობა“), მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, პრემიერ ბიძინა ივანიშვილის პასუხების გამო გაცოფებული დაიარება, პასუხები კი საქართველოში ტერორისტების შესაძლო წვრთნებს უკავშირდება.

„როდესაც ჩვენი ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ლაპარაკობს, რომ რუსეთმა თურმე ომი კი არ დაიწყო, არამედ, სხვანაირად მომხდარა და თურმე ტალიავინის დასკვნაში ასე არ არის და სხვანაირადაა, ეს, როგორც მინიმუმ, არის ქვეყნის ინტერესების საწინაალმდეგო და ქვეყნის მიმართ ძალიან სახიფათო განცხადება.

მე დავსვი შეკითხვა იმაზე, რაში დაჭირდა პრემიერ-მინისტრს საკუთარი ქვეყანა დაადანაშაულოს ტერორიზმის მხარდაჭერაში და ამის საპასუხოდ მივიღე მეორე თემაზე კიდევ უფრო უარესი პასუხი. მე უბრალოდ გაცოფებული ვარ!“ — აშკარად სახეწაშლილი იძლეოდა კომენტარს კონკრეტულად ტერორისტების წვრთნაში არა, მაგრამ ბევრ სხვა დანაშაულში არაოფიციალურად ეჭვმიტანილი, მაგრამ მაინც რატომღაც პარლამენტის ვიცე-სპიკერი გია ბარამიძე, თან იმაზე წუხს, დაწერილს თუ კითხულობს ივანიშვილი, სხვას ამბობს, ნორმალურს და მისაღებს, მაგრამ თუ პირადი აზრები აფრქვია, მტრისასო.

„ტერორიზმთან თანამშრომლობაზე პირდაპირი აქცენტი არც ერთ ჩემს განცხადებაში არ გამიკეთებია. წინა ხელისუფლების ტერორისტებთან თანამშრომლობაზე და აქტიურობაზე მე გამოვთქვი ჩემი ეჭვი და დღესაც ვასაბუთებ, ეჭვის საფუძველი ძალიან დიდია, მაგრამ არც ერთ შემთხვევაში არ ვამტკიცებ ამას და არ აქვს ამას მტკიცებულების ფორმა. მიმდინარეობს გამოძიება. ძალიან ბევრი კითხვები არსებობს ლაფანყურის თემაზე. ეჭვი არ არის მტკიცებულება და ეჭვის საფუძველი მე გამაჩნია.

რაც შეეხება ამ მხრივ ჩემს გამონათქვამებს და საქართველოს ინტერესების დაზიანებას რუსეთთან და ნატო-სთან — მე გარწმუნებთ თქვენ და საზოგადოებას, რომ არც ერთ შემთხვევაში ეს არ დააზიანებს საქართველოს ურთიერთობას გლობალურად და მათ რიცხვში ნებისმიერ კერძო სახელმწიფოსთან, რამეთუ ჩვენ უნდა მოვახერხოთ და ვიცხოვროთ სამართლიან გარემოში და სამართლეზე უნდა იყოს დაფუძნებული ჩვენი მოღვაწეობა. ქვეყნის იმიჯს უფრო დააზიანებს, თუ ამით მესამე ქვეყანა დაინტერესდება. გაცილებით უკეთესია, ჩვენ გამოვიძიოთ ყველაფერი და სიმართლე ვისაუბროთ და ეს ყველაფერი ჩვენი ქვეყნის იმიჯზე გაცილებით უკეთესად აისახება“, — აი, ასეთი იყო ბატონი ივანიშვილის პასუხი და დარჩა გაცოფებული ბარამიძე.

2008 წლის აგვისტოს ომი ლამის გუშინ იყო. ჰეიდი ტალიავინის დასკვნაც აგერ ახლახანს დაიდო, შესაბამისად, ომის მრავალი თვითმხილველი ცოცხალია და სახეზეა, თუ არ ჩავთვლით თითო-ოროლა მიმალულ პირს, მათ შორის იმდროინდელ თავდაცვის მინისტრს კეზერაშვილს, რომელზეც ანეკდოტად დადიოდა, ისეთ განგრეულ კაიფში იყო, ომი რომ ჩათავდა მერეღა გაიგო ომი რომ ყოფილაო.

უფრო ახალია ე.წ „ლაფანყურის სპეცოპერაციის“ ამბავი, რასაც ასევე ჰყავს თვითმხილველები და ცოცხლად გადარჩენილი მოწმეები იმისა, რა მოხდა სინამდვილეში ლაფანყურის ტყეში, ვინ იყვნენ ის სამიზნე განწირული ბიჭები და რატომ, რა დანიშნულებისთვის იმყოფებოდნენ იქ და იმ დროს. ასე რომ, სიმართლის გარკვევა (თუკი მართლა ვინმეს უნდა) ძნელი არ უნდა იყოს.

რაც შეეხება ბარამიძის გაცოფებას ტერორიზმთან დაკავშირებით — საინტერესოა, რატომ მაშინ არ ცოფდებოდა ბარამიძე, როდესაც მათი, ანუ იმ დროს ე.წ „ახალგაზრდა რეფორმატორების“ და დღეს სახელშეცვლილი „ნაცმოძრაობის“ იგივე სახეების დაკვეთით აკაკი გოგიჩაიშვილი გადაცემა „60 წუთში“ მთელი მონდომებით ადანაშაულებდა საქართველოს ჩეჩენი ტერორისტების მფარველობასა და ხელშეწყობაში ხან კოდორისა და ხან პანკისის ხეობაში?

რატომ მაშინ არ გაცოფდა ბარამიძე, როდესაც 2001 წლის 4 მარტს საღამოს 9 საათიდან 10 საათამდე მათ დაქვემდებარებაში მყოფი ტელევიზია „რუსთავი-2“ აკაკი გოგიჩაიშვილის ხელითა და პირით საქართველოს ყიდიდა? — ეს ის მომენტია, როდესაც საქართველოს ხელისუფლება მთელ მსოფლიოს და უპირველესად რუსეთს უმტკიცებდა, რომ პანკისის ხეობაში მხოლოდ მშვიდობიანი ლტოლვილი ჩეჩენი მოსახლეობა იყო თავშეფარებული, რომ იქ არანაირი შეიარაღებული რაზმები არ არ იმყოფებოდნენ. ამ დროს გამოდის „რუსთავი-2“ („60 წუთი“) და პირზე ადგება საქართველოს, რას ჰქვია არ არიან, 800 კბილებამდე შეიარაღებული ჩეჩენი ბოევიკი დგას პანკისის ხეობაში გელაევის მეთაურობითო და ცდილობს რამენაირად ფაქტებით გაამყაროს ნათქვამი.



27 თებერვალს გაუგზავნა „60 წუთმა“ წერილი საქართველოს უშიშროების სამინისტროს პრესცენტრს, სადაც ვკითხულობთ „ჩვენ ხელთ გვაქვს მოწმეთა ინტერვიუები, რომლებიც აცხადებენ, რომ უშიშროების სამინისტროს მაღალჩინოსნები ხელმძღვანელობენ ჩეჩნეთში იარაღისა და მებრძოლების არალეგალურ გადაყვანას. თუკი ეს თქვენთვის საინტერესოა და შეგიძლიათ მისი კომენტირება, ჩვენ მზად ვართ მოწმეთა მონაყოლის გვერდით ავსახოთ თქვენი პოზიციაც“.



საქართველოს უშიშროების სამინისტროს პრესცენტრის პასუხი: „განგიმარტავთ, რომ თქვენს მიერ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ხელმძღვანელობისადმი წაყენებული ბრალდებისთვის — ჩეჩნეთში იარაღისა და ცოცხალი ძალის არაკანონიერ ტრანზიტში მონაწილეობის შესახებ გათვალისწინებულია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა. ამრიგად, გთხოვთ, მოგვაწოდოთ თქვენს ხელთ არსებული მასალები მოკვლევის ჩასატარებლად“ — პასუხი დათარიღებულია 2 მარტით და რატომ მაშინ არ გაცოფდა ბარამიძე, რას ვშვრებითო?

მაშინ მაინც რატომ არ ცოფდებოდა, როდესაც „60 წუთი“ ანუ თვით ე.წ „ახალგაზრდა რეფორმატორები“, დღეს „ნაცები“, კავშირებს ამყარებდნენ არაბული სამყაროს საეჭვო ორგანიზაცია „ალ ჰარ ამეინთან“, მეგობრობდნენ აბუდ ლაჰდართან (ხატაბის ყონაღი), აბდულ რაჰმან მუსტაფასთან და აბუ საიდთან, იგივე ხალიდ აშლემთან, რომელიც ხატაბთან დაახლოებული პირი იყო, იბრძოდა ხატაბის რაზმში და კაპიტნის წოდება ჰქონდა მინიჭებული?

მაშინ მაინც რატომ არ გაცოფდა, როცა გაიგო, რომ აბუდ ლაჰდარი, რომელიც 1999 წელს ჩამოვიდა საქართველოში ყალბი საბჭოთა პასპორტებით, ჩამოსვლისთანავე სათავეში ჩაუდგა ხატაბისა და უსამა ბენ ლადენის მხარდამჭერთა ქსელს და გეგმავდა იარაღის, საბრძოლო მასალების, სამხედრო ტექნიკური აღჭურვილობების, ფულადი თანხებისა და დაქირავებული მებრძოლების გადაგზავნას ჩეჩნეთში, ბარამიძის მეგობრები და მათი საერთო ტელევიზია „რუსთავი-2“ კი მათ აპიარებდა და იცავდა?

მაშინ მაინც რატომ არ გაცოფდა, როცა გაიგო, რომ აბუდ ლაჰდარმა გააკეთა ორგანიზება და თბილისში ჩამოიყვანა არაბ პირთა ჯგუფი, რომლის ხელმძღვანელი იყო საუდის არაბეთის მოქალაქე სალიჰ ალდაჰ ჰეიში (აკა სალიჰ ბენ მუჰამედ ალდაჰ ჰეიშ აკა სალიჰ დეიში) და დავალებული ჰქონდა თბილიში ოფისის გახსნა. კაცი, რომლის ტირანაში მოღვაწეობის დროს, მისი ოფისი წარმოადგენდა ეგვიპტის ისლამური ჯიჰადის წევრების საფარს, რომლებიც აშშ-ის საელჩოზე თავდასხმას გეგმავდენ 1998 წელს. კაცი, რომლის ოფისის წევრები იარაღითა ფულით ეხმარებოდნენ მუსლიმან მეომრებს საომარი მოქმედების ზონაში ნატო-ს ჯარების წინააღმდეგ. აბუდ ლაჰდარმა პირადად გაუკეთა ორგანიზება და სცადა საქართველოში ჩამოეყვანა ხუთკაციანი ჯგუფი სნაიპერებისა, რომლებიც ბოსნიაში იბრძოდნენ, მაგრამ უშიშროების თანამშრომლების გამოჩენისთანავე მიატოვა სტუმრები და გაუჩინარდა, უცხო პირები კი საქართველოს ტერიტორიაზე ველარ შემოვიდნენ.

კითხვებს რა დალევს, მაგრამ ხომ მართლაც საინტერესოა, რატომ მფარველობდნენ „გოგიჩაიშვილი ანუ „რუსთავი-2“ და მეგობრები,“ ანუ ე.წ „ახალგაზრდა რეფორმატორები“, იგივე დღევანდელი „მამალი ნაცები“ არაბული სახელმწიფოებიდან შემოპარულ ისეთ საეჭვო პირებს, რომლებსაც თვით მუსლიმანური ქვეყნები არ აჩერებდნენ თავიანთ ტერიტორიაზე ვაჰაბიზმის პროპაგანდისა და ექსტრემისტულ-სეპარატისტული მოღვაწეობის გამო?

რა სიამტკბილობა ჰქონდათ ასეთი „60 წუთსა“ და მის პატრონებს, ანუ დღევანდელ „ნაცებს“ არაბებთან, ტერორიზმში ეჭვმიტანილ თუ ტერორიზმში ბრალდებულ პირებთან და ორგანიზაციებთან, რა „ამბავი და გაგება“ ჰქონდათ ასეთი, ერთგვარად ჩავლილი ამბავია და იქნებ ის მაინც აგვიხსნან თუ ლაფანყურის ამბავზე ცოფი ერევათ?

(ისე, პანკისის ხეობასა და სიამტკბილობაზე თუ მიდგა საქმე, ეს ამბავი პეტრე ცისკარიშვილს (არა მხოლოდ მას) ყველაზე უკეთ ეცოდინება...)

ბოლო-ბოლო, იმაზე მაინც რატომ არ გაცოფდა ბარამიძე, როცა არაბები აგერ ახლახანს, მათი ხელისუფლებაში ყოფნისას ისევ თვით ჩამოიყვანეს და ძალით აჩეჩებდნენ სწორედ იმ ქართულ მიწას, რომელიც არაბებთან ბრძოლაში ქართული სისხლითაა მორწყული?

აარა, ბარამიძე მხოლოდ ერთხელ გაცოფდა და მაშინაც, ცხელ გულზე ცხელი კუბდარი მოითხოვა...

ახლა ცრუობს ბარამიძე, არ არის ჯეროვნად გაცოფებული პრემიერის სიტყვებზე, თორემ კვლავ მოითხოვდა რაიმეს, ცხელს...

ისე კი, ერთი კითხვა საგამოძიებო ორგანოების მიმართ კონკრეტულად გიორგი ბარამიძის შესახებ არ ასვენებს საზოგადოებას — ბარამიძე აცხადებს, რომ მზად არის წარსდგეს სასამართლოს წინაშე ე.წ „აფრასიძეების საქმეზე“ და რატომ არ ინტერესდება შესაბამისი ორგანო, (მითუმეტეს, რომ მიხეილ სააკაშვილმა აღიარა, მე გავეცი აფრასიძეების ჩახოცვის ბრძანებაო) რატომ დაესხნენ წვრილშვილიან ოჯახს თავს, რატომ გამოწვეს სახლში ცოცხლად ასაკოვანი ევგენი აფრასიძე, რატომ მოკლეს განსაკუთრებული სისასტიკითა და ცინიზმით ცოცხლად აყვანილი ომეხ აფრასიძე და რატომ გამოამწყვდიეს ციხეში და შეურყიეს ჯანმრთელობა გოჩა და შმაგი აფრასიძეებს? რა საიდუმლო იმალება ამ მკვლელობების მიღმა?

## მსოფლიო პრესის მიხედვით

# გახდება თუ არა ნატო საქართველოს სახლი

## სახიფათო დრეიფი ალიანსისკენ

**საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი მართალია, მტრულად არის განწყობილი დასავლეთისთვის გამორჩეული და საყვარელი მიხეილ სააკაშვილის მიმართ, მაგრამ ძალისხმევას არ იშურებს, გააგრძელოს მისი კურსი – რუსეთისგან თავდასაცავად ნატოსგან უსაფრთხოების გარანტიები მიიღოს.**

საქართველომ მძიმედ იმშობიარა, როცა დაახლოებით 20 წლის წინ საბჭოთა კავშირიდან გამოვიდა. სააკაშვილმა „ვარდების რევოლუციით“ დაამხო ყოფილი საბჭოთა საგარეო საქმეთა მინისტრი ედუარდ შევარდნაძე. დასავლეთში განათლებამიღებულმა სააკაშვილმა დასახმარებლად ამერიკასა და ევროპას მიმართა... მაგრამ როცა საქართველოს ლიდერმა 2008 წლის აგვისტოში საბრძოლო მოქმედებები წამოიწყო და ომი რუსეთთან წააგო, იგი მარტოობაში აღმოჩნდა.

თბილისი ცდილობდა ამერიკისა და ნატოს გულის მოგებას: ჯერ კოსოვოში (ნატოს მისიაში) გაუშვა თავისი ჯარისკაცები, გახდა ჩრდილოატლანტური თანამშრომლობის საბჭოს წევრი, მოგვიანებით კი, სააკაშვილის ხელისუფლებამ მიიღო ნატოსთან პარტნიორობის ინდივიდუალური გეგმა და ქართველი სამხედროები უკვე ავღანეთში, საერთაშორისო უსაფრთხოების ძალების შემადგენლობაში გაგზავნა. 2008 წლის აპრილში ნატოს ლიდერი-ქვეყნები შეთანხმდნენ, რომ საქართველო ამ ალიანსის წევრი გახდებოდა.



სააკაშვილი პირად ურთიერთობას ამყარებდა ამერიკასთან. მან თავის ლობისტად აიყვანა სენატორ ჯონ მაკკეინის მრჩეველი და... ქართული ჯარი უკვე ერაყში აღმოჩნდა. პრეზიდენტი ბუში ხოტბას ასხამდა თბილისს და უხვად ასაჩუქრებდა ფულით, სახელმწიფო ვიზიტითაც კი ეწვია საქართველოს. ბუშის ადმინისტრაცია ამ ქვეყნის ნატოში გაწევრიანებას ყოველმხრივ მხარს უჭერდა. ამავეს აგრძელებს ობამას ადმინისტრაციაც, მაგრამ – ნაკლები ენთუზიაზმით.

საქართველო, ბოსნიას, ჰერცეგოვინას, მაკედონიასა და ჩერნოგორიასთან ერთად, ერთ-ერთი პირველია ნატოში გასაწევრიანებელ ქვეყნებს შორის. „ნატო თქვენი მეგობარია, ნატო თქვენი სახლია“ – ეს სიტყვები ნატოს გენერალურ მდივან რასმუსენს ეკუთვნის, რომელიც საქართველოს მონაწილეობას ავღანეთის მისიაში განსაკუთრებულად აფასებს.

რას მისცემს ნატო საქართველოს? უწინარესად, ეს იქნება უსაფრთხოების გარანტიები ამერიკისგან და ამიტომაც თბილისი ძალ-ღონეს არ იშურებს, იკისროს ეს ვალდებულებები. 2008 წლის ომის შემდეგ საქართველომ ზედმეტი ტვირთის რეპუტაცია შეიძინა და ახლა ამ იმიჯის გამოსწორებას საერთაშორისო მისიებში აქტიურობით ცდილობს.

ახალმა ხელისუფლებამ დაადასტურა ნატოში შესვლის სურვილი, გააორმაგა ავღანეთში ქართული კონტინგენტის შემადგენლობა და გააგრძელა ერთობლივი წვრთნა-ვარჯიში ამერიკასთან ერთად. ძალზედ მნიშვნელოვანია, რომ თბილისი აპირებს, ქართული არმია, ნატოს დოქტრინის „გონიერი თავდაცვის“ ფარგლებში, კონტრტერორისტულ ძალად გარდაქმნას; ანუ საქართველო პრაქტიკულად რუსეთის წინაშე იმის იმედით განიარაღდება, რომ სანაცვლოდ დასავლეთი შესთავაზებს მას დახმარებას.

საქართველო თავს არ ზოგავს, დასავლეთის უმთავრეს ფორპოსტის როლი შეასრულოს რეგიონში, სადაც რუსეთს ძველთაგან გააჩნია ინტერესი. საქართველო ისეთ რაიონში ეპატიჟება ამერიკას, სადაც ადრე არასოდეს ყოფილა და ამიტომაც მოსკოვის უკიდურესი გაღიზიანება და უკმაყოფილება მოსალოდნელიც იყო.

გარდა ამისა, სააკაშვილი დაუფიქრებლად იქცეოდა – მას ნატოსგან ფორმალური გარანტიაც კი არ გააჩნდა. შესაძლოა, მოსკოვს სურდა ეს კონფლიქტი და მზად იყო მის გამოსაყენებლად, საქართველომაც მისცა საამისო საბაბი. ასეთი სახელმწიფო, რასაკვირველია, საიმედო პარტნიორი ვერ იქნება.

ნატოს მეშვეობით ამერიკა კიდევ უფრო დაცული უნდა გახდეს, მაგრამ ნატოს გაფართოება საქართველოს საზღვრებამდე ომის გაჩენის ალბათობას აძლიერებს. თუ თბილისი აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან საბრძოლო მოქმედებებს დაიწყებს, მასში მოსკოვიც ჩაერთვება და ნატო-რუსეთის კონფრონტაცია გარდაუვალი გახდება. შედეგად, შესაძლოა, დაიწყოს ისეთი ომი, რომლის არიდებაც „ცივი ომის“ განმავლობაში დასავლეთმა როგორრაც მოახერხა.

არ არსებობს აშკარა მიზეზები ნატოს შესანარჩუნებლად, იმ ალიანსის გადასარჩენად, სადაც ამერიკის შეერთებული შტატები დომინირებს. ევროპელები, ამერიკის შეერთებულ შტატებთან შედარებით, მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) მაჩვენებლითაც გამორჩევიან და მოსახლეობის რაოდენობითაც. რუსეთთან შედარებით, მათი მშპ – ათჯერ, ხოლო მოსახლეობა სამჯერ მეტია. ამიტომაც ევროპელებმა თვითონვე უნდა გადაწყვიტონ თავდაცვის საკითხები.

ნატოს გაფართოება მას პასუხისმგებლობის ტვირთს დაუმძიმებს, ხეირი კი უმნიშვნელო იქნება, ამიტომაც ახალი სახელმწიფოების მისაღებად ნაკლები მოტივაცია და მიზეზები გააჩნია. თუკი ალიანსს რამე ფასეულობა გააჩნია, ეს არის ომის საფრთხის თავიდან აცილება. მის შემადგენლობაში საქართველოს შესვლით კონფლიქტის ალბათობა ბევრად გაიზრდება. ვაშინგტონმა მკაფიოდ უნდა განაცხადოს, რამდენად აუცილებელია საქართველოს წევრად მიღება ალიანში.

# ქართული პოლიტიკა, როგორც შეუძლებლის ხელოვნება

## რესპუბლიკელებისა და თავისუფალი დემოკრატებისთვის „ნაციონალური მოძრაობის“ შენარჩუნება ხელისუფლებაში მათი ყოფნის ერთადერთი გარანტიაა

კვირას საქართველოში გაიმართა არჩევნები, რომლითაც პარლამენტში ის ადგილები შეივსო, მინისტრებად წასულმა მაჟორიტარმა დეპუტატებმა რომ გამოათავისუფლეს. სამივე ოლქში (თბილისის ნაძალადევის რაიონში, სამტრედიასა და ბაღდადში) კოალიცია „ქართული ოცნების“ კანდიდატებმა გაიმარჯვეს, ესე იგი, არჩევნების შედეგი მოსალოდნელი იყო – სწორედ შედეგი და არა შედეგები, რადგან კანდიდატებს შორის პროცენტული მაჩვენებლები ცალსახად არ განაწილებულა და ეს განსჯის საბაბს იძლევა.

თავდაპირველად, ქართული პოლიტიკის დღის წესრიგის მთავარ საკითხზე შევჩერდეთ. იგი პრაქტიკულად, ოქტომბრის არჩევნების დამთავრებისთანავე ჩამოყალიბდა და შემდეგნაირად ჟღერდა: შეძლებს კი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ ოპოზიციურ ძალად შენარჩუნებას თუ „მრგვალი მაგიდისა“ და „მოქალაქეთა კავშირის“ ბედს გაიზიარებს? გარედან ეს საკითხი მთლად ცივილიზებულად არ ჩანს – როგორ შეიძლება, რომ პარტიამ არჩევნებში 40 პროცენტზე მეტი მიიღოს, პარლამენტში ყველაზე დიდი ფრაქცია შექმნას და პოლიტიკურ ძალად კი ვერ შენარჩუნდეს?! ეს ყველაფერი გარეშე თვალისთვის ჩანს ასე. ამ დღეებში პრემიერ-მინისტრმა „აღიარა“, რომ საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ადგილებზე გადახრები იყო და მუნიციპალიტეტებში ძალაუფლების ხელში ჩაგდება ასეთი მეთოდებით არ შეიძლება. სამწუხაროდ, ვითარების გამოსწორებაზე არაფერი თქმულა – რაც მოხდა,



მოხდა. და სინამდვილეში ის მოხდა, რომ „ქართული ოცნება“ მუნიციპალიტეტების უმრავლესობას აკონტროლებს, აკონტროლებს ადგილობრივი არჩევნების გარეშე...

მმართველი კოალიციის ხელში ძველი ამბები, ანუ წარსული ერთადერთი იარაღია „ნაციონალურ მოძრაობასთან“ ბრძოლაში და ამ ყველაფერს სამართლიანობის აღდგენის პროცესი ჰქვია.

თავდაპირველად, ნაციონალების, როგორც პოლიტიკური ძალის განადგურება იოლ პროცესად მოჩანდა. თითქმის მთელმა საქართველომ იცოდა „სისხლიანი რეჟიმის“, „ელიტური კორუფციის“ შესახებ და ისიც, რომ წინა ხელისუფლება თითოეული ლიტრი ბენზინიდან თავის წილს ღებულობდა. სისხლიანი დანაშაულებისა და კორუფციული სქემების არსებობის დამტკიცება არც ისე იოლია, თუ საერთოდ შესაძლებელია.

8 თებერვალს ეროვნული ბიბლიოთეკის წინ ორგანიზებული ჩხუბი დაშინების ერთგვარი აქცია იყო. რაოდენ უცნაურიც უნდა იყოს, არ შეშინებიათ, უფრო მეტიც – დასავლეთის მკაცრი რეაქციის შემდეგ უკან დაიხიეს და კოაბიტაციის შესახებ უნდილად ალაპარაკდნენ.

იყო გულის გასახარი პატარ-პატარა ამბები – პრეზიდენტს მთავრობის დათხოვნის შემთხვევაში მისი დაკომპლექტების უფლება ჩამოართვეს. ამბობენ, რომ მთავრობის დათხოვნას პრეზიდენტი ისედაც არ აპირებდა, რადგან ეს პოლიტიკური თვითმკვლელობის ტოლფასი იქნებოდა. ან კიდევ სასამართლოს რეფორმა – ასეთი აუცილებელი და სასარგებლო. მაგრამ რატომ უნდა დაიშალოს მოქმედი იუსტიციის საბჭო, ვერც ოპოზიციამ გაიგო და ვერც ევროსაბჭოს ვენეციის კომისიამ. სწორედ ეს რეკომენდაცია არ გაითვალისწინა ხელისუფლებამ და როგორც პრემიერ-მინისტრი აცხადებს, ამას გაგებით უნდა მოვეკიდოთ, რადგან სხვანაირად როგორ შეცვლი მოსამართლეთა კორპუსს?

„ქართული ოცნების“ ძალისხმევა, წინა ხელისუფლება ქვეყნის შიგნით ჩადენილ საქმეებში ამხილოს, ჯერჯერობით განსაკუთრებით წარმატებული და შედეგიანი არ არის. ამ ეტაპზე ოპოზიციის დისკრედიტაციის ძირითადი მიმართულება საგარეო პოლიტიკაა. გაზეთ «Èçâåñòèÿ»-ში დაიბეჭდა წერილი იმის შესახებ, რომ ბოსტონის ტერაქტის ერთ-ერთი ორგანიზატორი ტამერლან ცარნაევი საქართველოსთან არის დაკავშირებული. ეს პუბლიკაცია უცნაურად დაემთხვა პრემიერ-მინისტრის ეჭვს, რომ საქართველო შესაძლოა, რამე ფორმით მხარდაჭერას უცხადებს ტერორისტებს. შემდგომ პრემიერმა დააზუსტა და განსაკუთრებით აღნიშნა შემდეგი – რომ მას არასოდეს უთქვამს როგორც ფაქტზე, რომ წინა ხელისუფლება მხარს უჭერდა ტერორისტებს, მან მხოლოდ ვარაუდები გამოთქვა. ამას დავუმატოთ მისივე ეჭვები 2008 წლის აგვისტოს ომის დაწყების მიზეზებზე, ამიტომაც ამ მიმართულებით ძალისხმევა გაძლიერდება.

გაუმართლებელი იქნებოდა, გვეფიქრა, რომ კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ შემავალი ყველა პოლიტიკური სუბიექტი „ნაციონალური მოძრაობის“ გაქრობაზე ოცნებობს. პირიქით – რესპუბლიკელებისა და თავისუფალი დემოკრატებისთვის „ნაციონალური მოძრაობის“, როგორც ოპოზიციური ძალის შენარჩუნება უახლოესი 4 წლის განმავლობაში ხელისუფლებაში მათი ყოფნის ლამის ერთადერთი გარანტიაა. კახა კუკავას პრორუსული პარტიისთვის, რომელსაც პრემიერი არასაჯაროდ მხარს უჭერს, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, ქრისტიან-დემოკრატების მსგავსად, თუ ძირითადი არა, რომელიმე „ოპოზიციური ნიშა მაინც დაიკავოს. ზოგადად, საქართველოში არც ისე მარტივად არის საქმე, მეტისმეტად არამარტივად. მხოლოდ სასჯელაღსრულების სამინისტრომ აღიარა, რომ საქართველოს ციხეებში „მაყურებლებისა“ და ეგრეთ წოდებული „ობშიაკების“ პრობლემა არსებობს. ეს კი იმაზე უფრო სერიოზულია, ვიდრე ნებისმიერი პოლიტიკური ბატალია.

**მიმოხილვა მოამზადა**
**გ. ჭავჭავაძემ.**



# „ამაზე ჯერ არც ერთ ყოფილ „ლეიბორისტს“ არ ულაპარაკია, პირველად გეუბნებით თქვენ“ — ერთ დღეს ოფისში მოვიდნენ ე.წ. პოლიტიკური მონებით მოვაჭრეები და შალვას პირზე დაადგნენ...

**გვესაუბრება „მემარცხენე ალიანსის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი, „ლეიბორისტული პარტიის“ ერთ-ერთი ყოფილი ლიდერი კახა ძაგანია.**

**— ბატონო კახა, როგორც გავიგეთ, პოლიტიკურ გაერთიანებას ქმნით, რომლის სახელწოდება „მემარცხენე ალიანსი“ იქნება.**

— „მემარცხენე ალიანსი“ ინდივიდუალურ პერსონათა გაერთიანება იქნება და მემარცხენე იდეოლოგიას გავატარებთ. ალიანსში ვართ ის ექვსი ადამიანი, ვინც „ლეიბორისტული პარტიიდან“ წამოვედით — ქ. თბილისის ყოფილი ვიცე-მერი მუხრან მდივანი, ორი აკადემიკოსი და სხვები. „ალიანსი“ 1 მაისს დაფუძნდება. ეს თარიღი შეგნებულად დავამთხვიეთ, რადგან, მოგეხსენებათ, 1 მაისი მშრომელთა საერთაშორისო დღედ არის აღიარებული.

**— „მემარცხენე ალიანსის“ დამფუძნებლები, ექვსი ადამიანი, ასეთივე პოლიტიკური ორიენტაციის — მემარცხენე მიმართულების პარტიის წევრები იყავით. ბატონ შალვა ნათელაშვილთან იდეური შეუთავსებლობის გამო წამოხვედით თუ მიზეზი ის იყო, რაზეც ახლა ხშირად ლაპარაკობენ?**

— ამაზე უკვე ბევრი ითქვა, ბევრი დაიწერა და უკვე მომბეზრდა კიდეც საუბარი. ისე, თუ ვინმე ლაპარაკობს, პირველ რიგში, შალვა ნათელაშვილი ავრცელებს ათასნაირ სიბინძურეს. ამბობს, რომ ჩვენ ვართ ქურდები, მკვლელები, ნარკომოვაჭრეები, თითქოს გავძარცვეთ შალვა ნათელაშვილის სეიფი, მოვიპარეთ ფული, პარტიის ოფისიდან, კომპიუტერული ტექნიკა და ა.შ.

რაც პარტიიდან წამოვედით, მას შემდეგ წამოვიდა ბრალდებათა ნიაღვარი.

პარტიიდან ჩვენი წამოსვლის ძირითადი და მთავარი მიზეზი კი იყო ის, რომ

**ამ ადამიანმა ვერ შეძლო ბოლომდე ეზიდა ის ტვირთი, რაც ეკისრებოდა პარტიას და მისი შეცდომების გამო დაზარალდა ყველა, გაცამტვერდა იდეა, დისკრედიტებულია პარტიის ლიდერები და წევრები. ყველაფერი შალვა ნათელაშვილის სისუსტეებმა განაპირობა.**

**— ბატონ შალვას სისუსტეები ახლა შეამჩნიეთ?**

— ჩვენ მართლაც გმირული დღეები გადავიტანეთ ერთად, გადაჭარბებით არ ვიტყვი, მაგრამ დიდი წვლილი შევიტანეთ შევარდნაძის რეჟიმის დამარცხებაში, ბევრი რამ გავაკეთეთ სააკაშვილის რეჟიმის დასამხობადაც, მაგრამ, სამწუხაროდ, ბოლომდე ველარ გაუძლო შალვამ, ადამიანია ისიც და ველარ შეძლო, ეტყობა.

**— თქვენ შეგიძლიათ დაადასტუროთ, რომ შალვა ნათელაშვილი ოქტომბრის არჩევნებამდე სააკაშვილთან გარიგებაში შევიდა? ამაზე პარტიიდან წამოსული წევრები ლაპარაკობდნენ ცოტა ხნის წინ.**

— მინდა იცოდეთ, რომ პარტია არ დაუტოვებია რამდენიმე წევრს, პოლიტიკური კომიტეტის სრული შემადგენლობა წამოვიდა შალვას ჯგუფიდან და განცხადებაც გავაკეთეთ ამის შესახებ.

როცა ვამბობ, შალვა ნათელაშვილმა ბოლომდე ვერ გაუძლო-მეთქი, ვგულისხმობ იმას, რომ გადამწყვეტ მომენტებში,



როცა ვხედავდით, რომ ხალხის დიდი მასა მხარს გვიჭერდა, რატომღაც უკანდახევა გვიწევდა ხოლმე. ეს შეიძლება ჩემი ბრალიც იყო ნაწილობრივ, შეიძლება, ჩემი თანამებრძოლებისაც, მაგრამ საქმე ისაა, რომ, საბოლოო ჯამში, შალვა ნათელაშვილი ვერ იღებდა პრინციპულ გადაწყვეტილებებს.

ბოლო მიზეზი ერთი იყო — მან ძალიან ცუდი, საკმაოდ ნეგატიური როლი შეასრულა 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში. მან, პრაქტიკულად, ხელი შეუწყო ნაცმოძრაობას.

**— შალვა ნათელაშვილი ამბობდა, ოლიგარქი მოდის ხელისუფლებაშიო. ამ რიტორიკით და განწყობით უნებურად ხომ არასხამდა წყალს ნაციონალების წისქვილზე, თუ ყველაფერს შეგნებულად აკეთებდა?**

— თვითონ ასე აფორმებდა, — ოლიგარქის მოსვლა არ მინდაო, მაგრამ იმ დროს ამაზე უკვე აღარ იყო ლაპარაკი. ჩვენ ვებრძოდით რეჟიმს... თუმცა ბოლომდე გვჯეროდა ნათელაშვილის, სანამ ჩვენი თვალით არ დავინახეთ, როგორ დაადგნენ პირზე. მაშინ მივხვდით, რომ მისი მოქმედებების უკან წმინდა წყლის ანგარება იდგა.

**— ვინ დაადგა პირზე? პოლიტიკოსები? ნაცმოძრაობის წევრები? უბრალო მოქალაქეები თუ ვინ?**

— ეს იყვნენ ის ადამიანები, რომლებიც უშუალო მონაწილეობას იღებდნენ ნაცმოძრაობისა და ნათელაშვილის გარიგებაში.

**— ნაცმოძრაობიდან იქნებოდნენ...**

— ეს ის ადამიანები იყვნენ, რომლებიც პოლიტიკოსების ყიდვა-გაყიდვით აკეთებენ ფულს. ესენი არიან ე.წ. მონათმფლობელები, პოლიტიკურ ბაზარზე პოლიტიკური მონებით მოვაჭრეთა შუამავლები.

ერთ მშვენიერ თუ არამშვენიერ დღეს ეს განაწყენებული შუამავალი მოვიდა, როგორც ჩანს, მოთხოვნები არ დაუკმაყოფილეს და პირდაპირ პირზე დაადგა შალვა ნათელაშვილს.

ამ შემთხვევას თვითონ რომ არ შევსწრებოდი, ალბათ, ვერც დავიჯერებდი ვინმეს ნათქვამს, თვითონ ვერც წარმოვიდგენდი და დღესაც „ლეიბორისტული პარტიის“ წევრი ვიქნებოდი. პარტიის, რომელიც არჩევნების შემდეგ, ფაქტობრივად, ნულზე რჩებოდა. არც პარლამენტის წევრობის შემოსავალი, არც საბიუჯეტო დაფინანსება, ბიზნესები ჩვენ არ გვქონდა, მაგრამ მაინც ვაპირებდით შალვას გვერდით დგომას. არჩევნები რომ დამთავრდა, გასამხნევებლად შევედით შალვასთან: გამხნევდი, შენს გვერდით ვართ, რაღაცას მოვახერხებთო, რომ ვუთხარით, ამ დროს გამოჩნდნენ უცხოები, როგორც შემდეგ აღმოჩნდა, შუამავლები, ისინი პირდაპირ პირზე დაადგნენ. წარმოიდგინეთ, რა დღეში ჩავვარდებოდით ჩვენ.

**—„საერთო გაზეთი“ შალვა ნათელაშვილს გაცილებით ადრე ამხელდა ნაციონალებთან „მეგობრობაში“, ვიდრე თქვენ გაიგებდით ამას. ცუდია, რომ პრესას არ უსმენთ.**

— არა მხოლოდ პრესა, ცალკეული ადამიანებიც გვეუბნებოდნენ ამის შესახებ. გვეუბნებოდნენ, რომ შალვა საეჭვო გარიგებებში იყო გახლართული, მაგრამ 15 წელიწადია ერთად ვიბრძვით და ამის დაჯერება არ იყო ადვილი. მართლა არ იყო, შალვა, ადრე ასეთი, მართლა გულით იბრძოდა. ჩვენც არ ვიხევდით უკან, რის გამოც შემდეგ ისჯებოდნენ ჩვენი ოჯახის წევრებიც.

კონკრეტული ფაქტები შალვა ნათელაშვილის გარიგებებზე არავის წარმოუდგენია არასდროს. კონკრეტული ფაქტები გვითხრა იმ ადამიანმა, ვინც ოფისში გვესტუმრა და შალვა ამხილა — უკმაყოფილება გამოთქვა გარიგებაში ხელსაყრელი მოგების მიუღებლობის გამო. მათ ყველაფერი მოგვიყვნენ.

**— იქნებ იცრუეს.**

— ჩვენ ვუთხარით: ეტყვით ყველაფერს შალვას, რასაც ჩვენ გვეუბნებითო? რატომაც არაო, — თქვეს და ისეთი დეტალები, ფაქტები დაასახელეს, რაც ჩვენ ვიცოდით მხოლოდ, მაგალითად, შალვას ვოიაჟები ევროპაში, ამერიკაში, კომისიის წევრების ამოყრა სიებიდან. ათასამდე კომისიის წევრი ამოაგდო სიიდან და „შუამავლებმა“ თვითონ აღიარეს მერე — ჩვენ ვაძლევდით დავალებებსო.



8 gv.

# წარმოიდგინეთ, გვამის გახრწნა — ახლა, სწორედ „ნაციონალების“ გახრწნის პროცესს ვადევნებთ თვალს

გვესაუბრება ფილოსოფოსი
**ზაზა შათირიშვილი:**

**— ზაზა, უსაფრთხოების დოქტრინიდან, პრემიერმა რუსეთი, როგორც საფრთხე, მტერი ამოიღო. როგორ ფიქრობთ — არის თუ არა რუსეთი მტერი და ეს რამდენად მართებული გადაწყვეტილებაა?**

— ეს ძალიან საინტერესო საკითხია. მოდი, ასე ვთქვათ — ის, რომ საქართველოს ევროპული არჩევანი აქვს, ამაზე არავინ კამათობს. „ნაციონალური მოძრაობა“ ახალ ხელისუფლებას სხვა რამეს ედავება — ანუ, ის რომ მისთვის ევროპული არჩევანი რუსეთთან რადიკალური დაპირისპირებაა. შეიძლება ევროპული არჩევანი ისე გააკეთო, რომ რუსეთს რადიკალურად არ დაუპირისპირდე. თუ ბალტიისპირეთის ქვეყნებმა ეს გააკეთეს, რატომ არ შეუძლია იგივე საქართველოს?! 2003 წლამდე ხომ სწორედ ასე იყო. მოდი, შევარდნაძეს ნუ დავუკარგავთ ამ დამსახურებას — ნატოსკენ, ევროკავშირისკენ სწორედ მან გადადგა პირველი სერიოზული ნაბიჯები. იგივე, თურქეთის სამიტი შევარდნაძის დამსახურებაა. რა თქმა უნდა, დაბალანსებული პოლიტიკით ევროპისკენ სწრაფვა შესაძლებელია. „ნაციონალები“ ამ წლების მანძილზე ამის ალტერნატივას სპობდნენ, ამბობდნენ — შუბლით უნდა შევეტაკოთო. ეს გაუთვლელი ნაბიჯის შედეგი იყო. აქ რა თქმა უნდა, ბევრად უფრო უარესი რამ მოხდა, რისი აღიარებაც მათ უჭირთ. ომმა კარგად გამოაჩინა რუსეთის და სააკაშვილის რეჟიმის სახეც. რუსეთი — ეს არის გაიძვერა ხელისუფლება, რომელმაც ჩვენს ძველ ხელისუფლებას ჭკუით აჯობა და მოატყუა.

ჩვენ რუსეთის და ევროპის დაახლოებას უნდა შევუწყოთ ხელი. ჩვენ არა დაპირისპირების, რაც საკუთარ თავზე აიღო სააკაშვილმა, არამედ დასავლეთისა და რუსეთის დაახლოების როლი უნდა შევასრულოთ. თუ ვინმე ამბობს, რომ ასეთი რამ შეუძლებელია, ეს აბსოლუტურად არაევროპული მიდგომაა.

**— ახლა ახსენეთ, რუსეთსა და ევროპას შორის დაახლოებას უნდა შევუწყოთ ხელიო, მაგრამ განა ისინი უჩვენოდაც არ არიან დაახლოებულნი?**

— ევროპიდან არასოდეს ყოფილა მოწოდება, რომ ჩვენ რუსეთს დავპირისპირებოდით. 2008 წლის შემდეგ ობამას ადმინისტრაციის მხრიდანაც მუდმივად გადატვირთვის პოლიტიკა ისმოდა. მოდი, ასე ვთქვათ, აქ საუბარია რუსეთის მიმართ ევროკავშირის პოლიტიკაზე, რომელიც აგრესიული ნამდვილად არაა. გავიხსენოთ ჯორჯ ბუშის ცნობილი ფრაზა — მან ჩახედა პუტინს თვალებში და იქ პატიოსანი ადამიანი დაინახა. ამის გამო ბუში რუსეთის აგენტად გამოვაცხადოდ? სააკაშვილმა რამდენჯერმე აღნიშნა, რომ ლამისაა საქართველოს გამო მესამე მსოფლიო ომი დაიწყოს. სწორედ ესაა პრობლემა. საქართველო უნდა იყოს არა ის ქვეყანა, რომელმაც მესამე მსოფლიო ომი უნდა გამოიწვიოს, არამედ პირიქით, მათ დაახლოებას უნდა შეუწყოს ხელი. საკითხი ესე კი არ დგას, რომ საქართველო ევრაზიულ კავშირში შევიდეს და რუსეთს დაუახლოვდეს, არამედ, როგორც აღვნიშნე საქართველომ რუსეთის და დასავლეთის დაახლოებაში გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულოს. რუსეთის და დასავლეთის დაახლოება, საქართველოს უსაფრთხოების გარანტიაა. კი ეს რთულია, მაგრამ ევროპული რაციონალური აზროვნება გვეუბნება, რომ ფატალისტური არაფერი არაა, ყოველთვის არსებობს ალტერნატივა.

**— ზაზა, ივანიშვილის სტრასბურგში გამოსვლიდან საკამათო გახდა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი. კერძოდ, მის მიერ გაჟღერდა, რომ საერთაშორისო ვალდებულებების შესრულება უნდა დაჩქარდეს. აქ იგულისხმება, თურქი-მესხების, ქარტიის საკითხიც, რასაც ქართველი საზოგადოება ეწინააღმდეგება.**

— უფრო სწორია ტერმინი მაჰმადიანი-მესხები. თავის დროზე ზვიად გამსახურდიამ ენამოსწრებულად შენიშნა — თურქი-მესხი იგივეა, რაც ჩინელი-ბურგუნდიელიო. მეორე მომენტია ის, რომ მაჰმადიანი-მესხები ჩვენი მოქალაქეები არიან, ეს ფაქტია, ამიტომ ვალდებულებები, რაც გვაქვს, სრულიად ლოგიკურია, რასაც ვერ გავექცევით. უნდა შევნიშნო, რომ მაჰმადიანი-მესხების დაბრუნებაზე საუბარი ზვიად გამსახურდიამ და მერაბ კოსტავამ 70-იან წლებში დაიწყეს. რაც შეეხება კითხვას, არის თუ არა ეს ხიფათის შემცველი? — ხიფათის შემცველი, ყველაფერი შეიძლება იყოს.

**— მაგრამ ამ ვალდებულებების დაჩქარებით შესრულება ჩვენთვის არავის მოუთხოვია. მაშინ რატომ ვჩქარობთ ასე მაჰმადიანი-მესხების ჩამოსახლებას?**



— მთელი ამბავი ისაა, რომ პროცესი ნელა მიმდინარეობს, ეს საკითხი დღის წესრიგში უკვე ძალიან დიდი ხანია რაც დგას. მაჰმადიანი-მესხები ძალიან ტანჯული ხალხია — აყარეს სამშობლოდან, გადაასახლეს, შემდეგ იყო ეთნიკური დევნა. ეს ხალხი მუდმივ ექსორიაში — განდევნილობაში ცხოვრობს. ისინი, ძალიან ტრაგიკული ხალხია. ზოგს ძალიან ძლიერი თურქული იდენტობა აქვს, ზოგი თავს მაჰმადიან-მესხად აღიქვამს, ზოგს აქვს იდენტობა, რომ ქართველია, მაგრამ მთავარია ის, რომ ისინი ჩვენი მოქალაქეები არიან და მათზე პასუხისმგებლობა გვაკისრია. რაც შეეხება, რეგიონალური ენების ქარტიას, ამ მხრივ, არამარტო სომხური, არამედ ქართული, მეგრული, სვანური და ბევრი სხვა რეგიონული ენის საკითხი დგება. ევროპაში და ასევე სხვაგანაც არის ენები, რომლებიც გადაშენების გზაზეა. ყველაფერი ეს კაცობრიობის კულტურული მემკვიდრეობაა. ამიტომაცაა მის დაცვაზე ლაპარაკი. ყველაფერს, როგორც ხიფათს, ისე არ უნდა ვუყუროთ. სხვა კუთხითაც უნდა შევხედოთ — ანუ ეს ყველაფერი,



თან სიმდიდრეა.

**— ამ თვალსაზრისით, თუკი მაჰმადიანი-მესხები ჩვენი სიმდიდრეა, შეიძლება მივიჩნიოთ, რომ არაბები, ირანელები, ჩინელები, ეგვიპტელები და ა.შ. რომლებიც ჩვენი მოქალაქეები ხდებიან და მიწებს გვართმევენ, ესეც ჩვენი სიმდიდრეა? ქართულ მიწაზე ქართველის ადგილი აღარ რჩება.**

— როდესაც უცხოს, როგორც პოლიტიკის ნაწილს ისე განვიხილავთ, აქ შეიძლება ორი მიდგომა გამოიკვეთოს: პირველი — ეს პოლიტიკურად არაკორექტულია, მაგრამ ამას თავი რომ დავანებოთ და საკითხს უფრო სიღრმისეულად შევხედოთ — უცხოეთში უამრავი ქართველია წასული, ხომ ასეა?

**— კი, მაგრამ ისინი იქ მიწების საყიდლად არ მიდიან. ეს მათი სურვილიც რომ იყოს, სხვა ქვეყნების კანონმდებლობა საკმაოდ მკაცრია და ასე ადვილად ვერ შეიძენ მიწას.**

— კი, მაგრამ მაშინ მოდი ეს ყველაფერი მოვიყვანოთ იმ შესაბამისობაში, როგორც ევროპაშია და პრობლემა აღარ იქნება, ანუ ჩვენი საზღვრები, კანონმდებლობა, ევროპის, აშშ-ს შესაბამისი გავხადოთ. ეს ჩვენი პრობლემაა და არა სხვების. არც ადამიანის უფლებები არ უნდა დავარღვიოთ და სახელმწიფოს ინტერესებიც უნდა დავიცვათ — ესაა ევროპა.

**— რამდენად მიღწევადი გეჩვენებათ ივანიშვილის წინადადება — კოაბიტაცია და სამართლიანობის აღდგენა, როგორც ორი პარალელური პროცესი.**

— ამ მოსაზრებას სავსებით ვიზიარებ. უნდა ითქვას, რომ ვითომ ელიტური ჯგუფის იდეოლოგია ბარბაროსული იდეოლოგიისგან ბევრი არაფრით განსხვავდება. მათ საკმაოდ ჩამორჩენილი ნეონაცისტური ტიპის ელემენტები და ასევე ბოლშევიკურიც ახასიათებთ. სწორედ ბოლშევიზმია ის, როცა ამბობ, რომ ახალი ადამიანი უნდა შექმნა. სხვათა შორის, ამას წინათ რუმინული ულტრამემარჯვენე მიმდინარეობის, „რკინის გვარდიის“ ფუძემდებლის კოდრიანუს ვკითხულობდი, რომელიც აღნიშნავს, რომ მას უნდა ახალი ადამიანი შეიქმნას. ამ მხრივ, ბოკერია, რამიშვილი, კოდრიანუ, ბოლშევიკებიც, ნაცისტებიც ერთმანეთისგან ბევრად არ განსხვავდებიან. ახალი ადამიანი არის აბსოლუტურად ტოტალიტარული, რასისტული კონცეპცია.

**— როგორ ფიქრობთ, ისევ კოაბიტაციას რომ დავუბრუნდეთ, ეს გარე ძალების მიერ სპეციალურად შემოგდებული სატყუარა ხომ არაა, რათა დამნაშავეების არდასჯის გამო ქართველმა ხალხმა ივანიშვილზე მიიტანოს აგრესია?**

— როცა გარე ძალებზეა საუბარი, ასეთი ტიპის დისკურსი არ მომწონს და გეტყვი რატომ — ეს კონსპიროლოგიურ ელემენტს შეიცავს, რისი წინააღმდეგიც ვარ. კონსპიროლოგიური აზროვნება დამანგრეველია თავად იმისთვის, ვინც ამას იყენებს. არ ვამბობ, რომ შეთქმულებები არ არსებობს, მაგრამ კონსპიროლოგიური აზროვნება გარკვეული ტიპია, რომელიც ადამიანის პირად თავისუფლებას ხელს უშლის. ამ დროს სრულიად გასაგებია რას გულისხმობს დასავლეთი კოაბიტაციაში — მთავარი ღირებულება დიალოგია, რომელიც არტიკულაციას გულისხმობს, ანუ საჯარო სივრცეში გამჭირვალობას. ანუ, რაც არ უნდა მიუღებელი იდეოლოგიები არსებობდეს, მას თანაარსებობა უნდა შეეძლოს. მეორე მომენტია ის, რომ თუ ეს იდეოლოგია რასიზმის, ქსენოფობიის შემცველია, ეს უკვე სისხლის სამართლის დანაშაულია. დიალოგი არ ნიშნავს, რომ ყველა ერთნაირი ხდება, არამედ ამით შიდა დაფარული ინტენციების გამოტანა ხდება. კონსპიროლოგიური აზროვნების პირველი წამალი დიალოგია. ამაზე დგას თანამედროვე ევროპა.

**— ბიძინა ივანიშვილმა ტელეინტერვიუში 19 აპრილის აქცია შეაფასა და ამ ყველაფერს ცინიზმი უწოდა. როგორ ფიქრობთ, რა პერსპექტივები აქვს ამ ახალ ეროვნულ მოძრაობას?**

— არანაირი პერსპექტივა არ აქვს. კარგად მესმის უსუფაშვილის, როცა ამბობს „ნაც. მოძრაობა“ უნდა გადავარჩინოთო. მესმის, ეს რატომ ითქვა, რათა „ნაც. მოძრაობა“ პროცესში ჩაერთოს და ნორმალურ ძალად ჩამოყალიბდეს. ეს ქრისტინული მიდგომაა. მიმაჩნია, რომ არაფრის გარიყვა და მარგინალიზება არ ვარგა, მაგრამ მეორე მხრივ, პრობლემა თვითონ „ნაც. მოძრაობაშია“, იმაში, რაც ამ მოძრაობიდან დარჩა. პრობლემა ისაა, რომ სამწუხაროდ მათ ასეთი მიდგომა აქვთ, რომ ერთადერთნი, განსაკუთრებულნი და განუმეორებელნი არიან. ანუ ბურბონების არ იყოს, ვერც ვერაფერი დაივიწყეს და ვერც ვერაფერი ისწავლეს. პრინციპში, შინაგანად ეს ამოწურული, დასრულებული პარტიაა. ამ თვალსაზრისით, განვითარების არანაირი პერსპექტივა არ აქვთ.

**— უსუფაშვილი ამბობს „ნაციონალები“ უნდა გადავარჩინოთო, ივანიშვილმაც ისაუბრა მათი სახის შენარჩუნებაზე, მაგრამ აქვთ კი მათ სახე, რომ შეუნარჩუნდეთ? „ქართულ ოცნებას“ ხმა ქართველმა ხალხმა იმიტომ მისცა, რომ „ნაციონალები“ გადაგვერჩინა თუ უნდა გაგვესამართლებინა?**

— სახის შენარჩუნებაში შემდეგი იგულისხმება, გრიგოლ ორბელიანის პერიფრაზს მოვიყვან — ჩადგეს ერად სხვა ერთა შორის. რაც შეეხება გასამართლებას, ეს ძალიან სერიოზული პრობლემაა. მაგალითად, კომუნიზმის გასამართლება არ მომხდარა, მაგრამ უშიშროების სისტემის კრიმინალიზაცია მოხდა. თავად, კომუნისტური იდეოლოგიის გასამართლება ვერ მოხდა, განსხვავებით ნაციზმისგან. რატომ? — კომუნიზმის ენა რასისტუ-

8 gv.

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.org
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

## „ამაზე ჯერ არც ერთ ყოფილ „ლეიბორისტს“ არ ულაპარაკია, პირველად გეუბნებით თქვენ“ — ერთ დღეს ოფისში მოვიდნენ ე.წ. პოლიტიკური მონებით მოვაჭრეები და შალვას პირზე დაადგნენ...

6 gv.

**საბოლოო ჯამში კი გაირკვა, რომ შალვა ნათელაშვილს ამ გარიგებაში ფინანსური ინტერესი ამოძრავებდა.**

**— ისე, შალვა ნათელაშვილი არჩევნებამდე ყველგან ამბობდა — ბიძინა ივანიშვილი იმიტომ მოვიდა პოლიტიკაში, „ლეიბორისტული პარტია“ რომ დაშალოსო.**

— კი, ახლა ბიძინა ივანიშვილს დააბრალებს ყველაფერს, მაგრამ ივანიშვილმა კი არა, თვითონ დაშალა თავისი პარტია. თუმცა რა მნიშვნელობა აქვს ვის დააბრალებს, სამწუხაროა, რომ ამდენი შრომის და ბრძოლის შემდეგ პარტია დაიშალა. ახლა ვისაც უნდა დააბრალოს, მან ძალიან კარგად იცის, რა როგორ მოხდა. ძალიან კარგად იცის ყველაფერი.

ჩვენ ისეთი რამეები გავიგეთ, რაც წარმოუდგენელია, მაგრამ რაც ვიცით ნეო, მაგრამ ერთი წამიც არ მიფიქრია ნაციონალებთან რაიმე სახის გარიგებაში შევსულიყავი. მიმაჩნდა, რომ ვებრძოდი რეჟიმს, ვიყავი ოპოზიციაში და ასე უნდა მოვქცეულიყავი.

**— საზოგადოების უმეტესობა არა მხოლოდ შალვას, თქვენც, მის გვერდით მყოფებსაც აღარ გენდობიან — არ იცოდნენ შალვა ნათელაშვილი რომ ნაციონალებთან იყო გარიგებულიო?**

— სამწუხაროდ, მართალია ხალხი. შალვა ნათელაშვილის მოქმედებებმა დააზარალა ჩვენი იმიჯი და დღეს თქვენი გაზეთის საშუალებით ბოდიში მინდა მოვუხადო ხალხს, ვინც ყოველთვის გვენდობოდა.

**ბოდიშს ვუხდი ჩემს ოჯახს, ჩემს მეგობრებს, ყველას, ვისაც ჩემი სჯეროდა და არ მრცხვენია ამ ბოდიშის, რადგან გულწრფელი ვიყავი ყოველთვის.**



მისი შავბნელი და ჩახლართული საქმეებიდან, მხოლოდ 5 პროცენტია, დანარჩენი 95 პროცენტი თვითონ შალვამ იცის და მოგონებებში თუ დაწერს ოდესლაც, კარგი იქნება — გაიგებს ყველა, სადამდე შეიძლება მიიყვანოს ადამიანი სიხარბემ.

დღეს ძალიან მიკვირს, რამდენი ზეწოლა, რამდენი შეურაცხყოფა გადავიტანეთ და არ გავტყდით. მე ჩემი ძმის ციხიდან გათავისუფლებას და პარლამენტის დეპუტატობას მპირდებოდნენ. ვიცე-სპიკერად დაგნიშნავთ და შენს ძმას დღესვე გავათავისუფლებთო. გლდანის ციხეში ჰყავდათ ჩემი ძმა. ღამის 3 საათი იყო რომ მოვიდნენ ნაციონალები მოსალაპარაკებლად — ამ წუთასვე გამოვიყვანთ შენს ძმას ციხიდან, წამოგვყევი, წამოიყვავერ დავიჯერებდი, რომ შალვა ნათელაშვილი რაიმეს ისეთს გააკეთებდა, მერე თუ მე მივიღებდი უდიდეს დარტყმას და ხალხთან ბოდიშის მოხდაც დამჭირდებოდა.

**— შალვა ნათელაშვილი ამბობს, ულირსი ადამიანები ქმნიან ამ ბოლო დროს პოლიტიკურ პარტიებსო. რას ფიქრობთ, თქვენ ხომ არ გგულისხმობდათ?**

— კაცი გვეძახის ქურდებს, მკვლელებს, ნარკობარიგებს, ათასგვარ სისაძაგლეს, და არაა გამორიცხული ჩვენ გვგულისხმობდეს. მაგრამ, ძალიან გთხოვთ, აღარ მსურს ამ ადამიანზე ლაპარაკი და მოვრჩეთ ამჯერად.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.org
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

7 gv.

ლი არ იყო. ასევე, „ნაციონალების“ ხილული ენა რასისტული არაა, არამედ დემოკრატიული. პრობლემა სხვა რამეშია. როდესაც სოდის და კუდ-ის რეორგანიზება მოხდა, ეს მინიშნება იყო იმაზე, რომ ისინი დამნაშავეობრივი ორგანიზაციები იყვნენ, მაგრამ „ნაც. მოძრაობის“ იდეოლოგიის გასამართლება, ნიურნბერგის პროცესი, ძალიან რთულია. იმიტომ, რომ განსხვავებით ნაციზმისგან, აქ სიტყვა და საქმე ერთმანეთს არ შეესაბამებოდა. ნაცისტები პირდაპირ ამბობდნენ ებრაელი ადამიანი არ არისო და ა.შ. აი, ესაა პრობლემა. მაგრამ ჩვენ, სისტემა უნდა გავასამართლოთ. ანუ სტრუქტურულად ასეთი ტიპის ძალადობრივ მექანიზმებზე უარი უნდა ითქვას.

დაპირისპირება სწორედ დაშლის უტყუარი ნიშანია.

**— თუმცა, ბაქრაძემ მიტინგზე თქვა, ხმები ჩვენი გარდაცვალების შესახებ, გადაჭარბებულიაო.**

— ეს თვითაღიარების ყველაზე კარგი ნიშანი იყო. სინამდვილეში ესაა ცხოვრება სიკვდილის შემდეგ, ანუ როგორც ცხოვრობენ ვამპირები და ზომბები. 1 ოქტომბრით ქართველმა ამომრჩეველმა „ნაციონალური მოძრაობა“ დაასრულა, 19 აპრილს მათ თავად დაიდგეს საფლავის ქვა და ახლა ხრწნა ხდება. რასაც ახლა ვუყურებთ, ეს საკმაოდ ცუდი სანახაობაა, წარმოიდგინეთ, ახლა გვამის დაშლას რომ უყურებდეთ — ჩვენ ახლა, სწორედ ამას ვუყურებთ.

ერთი რამ უნდა ვიცოდეთ — „ნაციონალების“ უკან მობრუნება შეუძლებელია. 19 აპრილი ეს იყო გაკვეთილი მათთვის, ვინც ეს

## 19 აპრილი სინამდვილეში — ეს იყო ცხოვრება სიკვდილის შემდეგ

**— სხვათა შორის, ივანიშვილმა აღნიშნა, ვანო, ევროპულ ღირებულებებზე საუბრობდა, იქ სადაც სისხლი დაღვარაო. 26 მაისი მისი ხელებით მოხდა და 19 აპრილს ვანოს გამოსვლა, საზოგადოებამ შეურაცხყოფად მიიღოო. თუ ასე ღიად ვაცხადებთ, რომ მერაბიშვილი დამნაშავეა, მაშინ რატომ არ ისჯება იგი?**

— ესაა სწორედ სირთულე — ვინ უნდა გადაწყვიტოს მისი დასჯა?! 2003-2004 წლებში პირდაპირ იჭერდნენ. ყველაფერი საკუთარ თავზე ერთმა ვერტიკალმა აიღო. სხვათა შორის, თავიდან დაჭერები ხალხს მოსწონდა. არსებობს გარკვეული ტიპის დანაშაული, როდესაც ვერტიკალური სისტემა იქმნება, ანუ სისტემა, რომლის თავში ერთი-ხუთი კაცი დგას. როცა ვანო მერაბიშვილს ვახსენებთ — ეს უდანაშაულობის პრეზუმციის ხელყოფა კი არაა, არამედ ფაქტია, რომელსაც თავად „ნაც. მოძრაობაც“ არ უარყოფს. ეს ხილული, პოლიტიკური დანაშაულია, მაგრამ ეს სასამართლომ უნდა დაადგინოს. აქედან გამომდინარე, ერთი მხრივ, ვამბობთ, რომ ეს პოლიტიკური დანაშაულია, მაგრამ მეორე მხრივ, ამასაც სასამართლო ადგენს. სასამართლო რა დღეშიცაა, ეს უკვე ვთქვით. სასამართლოს გაჰორიზონტალურებაა საჭირო. სისტემას ცუდი რომც არაფერი ჩაედინა, სისტემური გარდაქმნა მაინც საჭირო იქნებოდა. მოსამართლეების პრობლემა ისაა, რომ თავს მიტოვებულად გრძნობენ. იმიტომ, რომ ადრე ბრძანება ზემოდან მოდიოდათ, ახლა ასე რომ არ ხდება, სრულ ფრუსტრაციაში არიან. მეორე მომენტია, რომ ეს პროკურორები, მოსამართლეები ამ დამნაშავე სისტემის ნაწილნი არიან. ანუ სამართალი მათაც უნდა შეეხოთ.



**— ბოლო დროს „ნაციონალებმა“ ერთმანეთის ჩაშვება დაიწყეს, სააკაშვილიც შეშინებულია — ჰააგაში ჩემი გასამართლება ქვეყნისთვისაა ცუდიო. როგორ ფიქრობთ, ისინი ხომ არ გრძნობენ, რომ გარეთ, მათ უკვე ვილაცამ განაჩენი გამოუტანა.**

— „ნაც. მოძრაობის“ დაშლის ბუნებრივი, ლოგიკური პროცესი ხდება. „ნაც. მოძრაობა“ რეალურად 19 აპრილმა ორ ნაწილად დაშალა: ერთია — პირობითად ინტელექტუალური ნაწილი და მეორე — აღმასრულებელი, ანუ თავი და ტანი. თავი ეს იყო სააკაშვილი, მერაბიშვილი, ადეიშვილი, ტანი, პირობითად, ახალაიები იყვნენ. აი, ამ ორ ნაწილად მოხდა გაყოფა. ახლა, ჩვენს თვალწინ მათი ელემენტებად დაშლა ხდება. „ნაც. მოძრაობა“ დღეს აღარ არსებობს, არამედ არსებობს მისი შემადგენელი ელემენტები. შემთხვევითი არაა, რომ ჩერგოლეიშვილმა ახალაიებს მანიაკები სწორედ ახლა უწოდა. ამიტომ, მათი გაკვეთილი ვერ გამოიტანა. ვინც ამას გარედან უყურებდა, მისთვის ეს სრული გროტესკი იყო. მეტიც, ეს საცოდაობა იყო. „ნაც. მოძრაობის“ ლიდერებმა არ იციან ერთი მარტივი რამ, ყველაფერი წარმავალია. როცა ეს არ იცი, მაშინ შენი მდგომარეობა, როცა ეს ყველაფერი წავა, ბევრად უფრო საცოდაობაა, ვიდრე, მაშინ როცა იცი, რომ ეს წარმავალია. აბსოლუტურ ჭეშმარიტებაზე ფლობის განცდა უჩნდება ადამიანს, რომელსაც ჰგონია რომ იგი მარადიულია. ეს იყო 19 აპრილის გაკვეთილი — როცა ვუყურებთ ხალხს, რომლებიც ერთ დროს ქვეყანას აზანზარებდნენ, დღეს კი წარსულის აჩრდილები, ფანტომები არიან.

**— ბოლოს ოცნების მხარდამჭერებზე მინდა გკითხოთ. ამბობენ, „ოცნება“ მის მხარდამჭერებს უპირისპირდებაო. ეს რეგიონებშიც შეიმჩნევა. კოალიცია „ნაცებთან“ უფრო კარგად თანამშრომლობს, ვიდრე მის მხარდამჭერებთან.**

— ფაქტობრივად, ამ პროცესში ქვეყნის მოსახლეობის დიდი ნაწილი ჩართული იყო. ჩნდება გულწრფელი განცდა, რომ ყველაფერი ისე არ არის, როგორც უნდა იყოს. სწორედ ესაა იმის ნიშანი, რომ ჩვენ არაადამიანური სისტემიდან ადამიანურში გადავიდეთ. არაადამიანურ სისტემაში აბსოლუტური ჭეშმარატებაა ერთი ვერტიკალი და სხვა დანარჩენი — გარიყულია. როცა ასეთი რამ ხდება, ადამიანებს უსამართლობის განცდა უჩნდებათ და ამაზე საუბარს იწყებენ. ეს ადამიანური მომენტია. შეუძლებელია ჩვენს ყოფაში ისეთი ადამიანური სტრუქტურა შექმნა, სადაც ყველა კმაყოფილი იქნება.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

ჯემალ დავლიანიძე

# რაც მახსოვრობას შემორჩენია

## ზვიად გამსახურდია — ომი ბნელეთთან

**წერილი მეორე**

როგორც უკვე გითხარით — უნივერსიტეტის ცნობილი ბაღი ეროვნული სულისკვეთებით გაჟღენთილი ქართველების საკრებულო გახლდათ. აქ, ხანდისხან, შემოიხედავდნენ ხოლმე კომპარტიის წითელ წიგნაკებს ჩახუტებული საკმაოდ ცნობილი პოეტები, პროზაიკოსები, მაგრამ შოთა ჩანტლაძის ალმაცერი, ირონიული, „მეგობრული თავდასხმების“ გამო განაწყენებულები „გარბოდნენ“.

კაგებემ იცოდა თითოეული ჩვენთაგანის თითქმის ყველა წვრილმანი. ეშინოდათ ამგვარი ქართველებისა. შოთა ჩანტლაძეს კი ამუნათებდნენ: სტუდენტებს წამლავ, საბჭოთა კავშირს — ამ ჩვენს უსაზღვრო სამშობლოს, მტრებად უზრდი ახალგაზრდობასო. იცოდნენ, რომ თბილისის უნივერსიტეტში ვიღაც „უხილავი“ მათ წინააღმდეგ მუშაობდა... ერეკლე ბატონიშვილის, ქაქუცა ჩოლოყაშვილის, გრიგოლ რობაქიძის, 1918-1921 წლების თავისუფალი, დამოუკიდებელი საქართველოს ხსენება ხომ ელეთ-მელეთს ჰგვრიდათ.

რა თქმა უნდა, გარუსების მომხრე „ჩვენი თანამოძმეები“ გვლანძღავდნენ, გვაბეზღებდნენ... სწორედ ეს ადამიანები მიიღებენ მონაწილეობას მომავალში, თავისუფალი, ეროვნულ-მართლმადიდებლური ხელისუფლების დამხობაში და საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მოკვლაში. სხვათა შორის, უნდა ითქვას, რომ იმთავითვე, 60-70-იან წლებში, ზვიად გამსახურდიას უკვე ალარავინ იხსენიებდა გვარით. იგი ყველასათვის ზვიადი გახლდათ! ზუსტად ისევე, როგორც შოთა, ილია, ვაჟა, აკაკი, გალაკტიონი... ეს ის ზვიადია, ვინც დიდი მარტვილობის შემდგომ ქართველმა ხალხმა პრეზიდენტად აირჩია და რომელმაც ტრიბუნიდან მთელი მსოფლიოს გასაგონად განაცხადა: გაუმარჯოს დამოუკიდებელ, თავისუფალ საქართველოს! ჩვენმა ქვეყანამ თავისი გზით უნდა იაროს!

თითქმის მუდამ დღე, გვიანობამდე, ვისხედით ხოლმე უნივერსიტეტის ბაღში. განვიცდიდით სამშობლოს იმჟამინდელ უბედურებას. ვლანძღავდით გარუსების პოლიტიკას. ვდარდობდით მომავალ, დიდ და საშინელ ხიფათზე...

დრო მიდიოდა. რუსეთის იმპერიის მიერ გამოზრდილი ქართველი კომკავშირელ-კომუნისტები მტრის საქმეს ემსახურებოდნენ და ამ დროს თბილისში დააბიჯებდა ახალგაზრდა კაცი, რომელიც თავის ერთგულ მეგობრებთან ერთად ფიქრობდა, გეგმავდა ურჩხულთან ბრძოლას — სამშობლოს განთავისუფლებას.

საბჭოთა კავშირში, იმ მარადიულ წყვდიადში, თითქოსდა წარმოუდგენელი რამ ხდებოდა. თვით ხელისუფლებას ფიქრადაც არ მოსდიოდა ის, რასაც ზვიადი აპირებდა! თავისუფალი, დამოუკიდებელი საქართველოს წარმოდგენაც კი, როგორც ადრე მოგახსენეთ, წმინდა წყლის სიგიჟედ ითვლებოდა. სწორედ ამიტომ დისიდენტებს, ანუ „სხვაგვარად მოაზროვნეებს“, საბჭოთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო ფსიქიატრიული კლინიკების მეოხებით ებრძოდა.

მრავალი კიდეც ეჭვობდა — როგორ შეიძლება ამხელა გველეშაპთან შერკინებაო. ზვიადი ცდილობდა ერთად შეეკრა, დაერაზმა თითოეული ქართველი... ამ მხრივ, მართლაც გასაოცარია მისი სიბეჯითე, ამტანობა, გასაძლისი და, რაც მთავარია — მისი დანახვისი.

უნდა ვაღიარო — ზვიად გამსახურდიასი მჯეროდა, მაგრამ თავისუფლება აბსურდად მიმაჩნდა. ინტერნაციონალური სულისკვეთებით მოთესილ ქვეყანაში, სადაც ქართულ, სახელგანთქმულ ტოლერანტობას ქადაგებენ, განა მოიფიქრებ რაიმე გამოსავალს? საკუთარ კარიერას ეწირებოდა ყოველივე ძვირფასი — ქვეყანა, მიწა-წყალი, ნათესავი, მშობლები! ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, კარიერისტ ედუარდ შევარდნაძეს „გადაკეთებული“ ხალხი და ეროვნულობისგან მთლად დაცლილი სამკვიდრო სჭირდება! პოეტები უკვე რუსულ-ქართულად სწერენ ლექსებს და მომღერლებიც სცენაზე ორ ენაზე მღერიან! მთავრობა მთლად რუსულად მეტყველებს! დაწესებულებაში საქმე რუსულად წარმოებს. მიწერ-მოწერა რუსულია. ირგვლივ რუსულია თითქმის ყველაფერი: კინოფილმი, სამზარეულო, ბაიანი, გარმონი, ცეკვა, ჰიმნი, ჩექმა, სიყვარული, ნადიმი, ღრეობა! ამისი მომხრეა მოსახლეობის უმრავლესობა: მწერლობა, აკადემია, მუშა, გლეხი, ჟურნალისტი, იურისტი და ა.შ.

და, რაღა თქმა უნდა, „მზეც ჩრდილოეთიდან ამოდის“!

ზვიად გამსახურდიამ ამ ფრთაშავა ფრაზას ასე უპასუხა (მე ვარ ამისი მოწმე, რადგან პირადად მითხრა):

— დაიმახსოვრე, გაიგე, სხვებსაც აუხსენი, რომ საქართველოს მზე კი არა, მხოლოდ შევარდნაძის და კომპარტიის მზე ამოდის ჩრდილოეთიდან! და ეს მზე იქნება ყველაზე დიდი უბედურება ჩვენი ქვეყნისთვის!

ეს იყო მაშინ, იმ კომუნისტურ წლებში! დღეს კი მზე უკვე დასავლეთიდან ამოჰყავთ! რუსულის მაგიერ — ინგლისურია და კვლავაც ტოლერანტული ქარიშხლებია!

ფაქტიურად — ვაის გავეყარეთ და უის შევეყარეთ!

შეუჩვეველი ჭირი მივიღეთ, საიდანაც თავის დახსნა გაცილებით ძნელია! ზვიადის თქმისა არ იყოს — ბარბაროსი მტრის მაგიერ, დახვეწილი, რაფინირებული, ვგონებ მოუშორებელი, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტებით აღსავსე მომხდური მივიღეთ!

ბინე ჯეჯილი, როგორ გატკბობთ იგი!

... მაგრამ, წარმოიდგინეთ, ამ მდელოში, ამ ყვავილნარში ზოგან მოდებული სარეველა ბალახი, როგორ აფერხებს და ზიანს აყენებს იგი სალი მცენარის გაშლა-გაფურჩქვნას.

სამწუხაროდ, ქვემოთ ლაპარაკი გვექნება სწორედ ამ სარეველაზე — ულირს ახალგაზრდებზე, პირდაპირ ხულიგნებზე, უსაქმურობისა და დებოშის „რომანტიკოსებზე“.

... ახლა ჩავიხედოთ მათ სულში... აქ კი ჩვენ სრულ ქაოსს ვაწყდებით, ლამაზი გარეგნობის მიღმა ვხედავთ მხოლოდ სიცარიელეს, ქარაფშუტა სულს, დაკნინებულ ბუნებას, დახურდავებულ ხასიათს, ყველაფერს, გარდა ნამდვილი, ჭეშმარიტი ადამიანური თვისებებისა... მოქმედების ასპარეზად ჩვენი დედაქალაქის ყველაზე ხალხმრავალი — რუსთაველის პროსპექტი აურჩევიათ. მოქმედების ხასიათია ხულიგნობა — ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების დღემდე შემორჩენილი ავთვისებიანი



ზვიადი კი არ ცხრებოდა... დააბიჯებდა კაცი ბნელეთში, ხელში ანთებული კელაპტარი ეკავა და დემონური სამყაროს შვილები თუ შვილიშვილები, ამ ნათლით მოსილ კაცს, ბნელს, ცხოვრების ხორცმეტს, სარეველას უწოდებდნენ.

ასე იყო მაშინ, იმ „წითელ“ ეპოქაში, მაგრამ ზვიად გამსახურდიასთან ომს აწარმოებდნენ გუშინაც და აგრძელებენ დღესაც! მისი იდეები იმდენად მარადიულია საქართველოსათვის, იმდენად საშიშია მტრებისათვის, რომ წყევლა-კრულვას აღარ აქვს დასასრული.

ის ხალხი, ვინც სისხლი გაუშრო ზვიად გამსახურდიას და მთელ ქართველობას, დღეს ეროვნულობაზე გვესაუბრება და შიგადაშიგ ზვიადის სახელსაც ამაყად ახსენებს. უფრო მეტიც — ჩვენ ზვიადის მეგობრები ვიყავითო, — გაიძახიან! გუშინ ისინი სარეველას უწოდებდნენ, შემდგომ, გაინაღდეს თავისი — გაანადგურეს ქვეყანა, ჯვარს აცვეს ზვიადი და დღეს, ეს ჯამაათი, ზვიადს აღდეგრძელებენ! „სარეველა“ რადგან ვახსენე, მკითხველს ვაჩვენებ იმ სტატიასაც, რომელიც ვინმე კ.ქებაძის ავტორობით გამოქვეყნდა გაზეთ „კომუნისტში“ 1956 წელს. ეს დაქირავებული ვაი-ჟურნალისტი, უფრო კი აგენტურული ქსელის ერთ-ერთი საპატიო წევრი ამტკიცებს, რომ მე-10 კლასის მოსწავლეები: ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა, ვლადიმერ სიხარულიძე, გურამ სხირტლაძე, თამაზ გუნჯუა პოლიტიკური ხულიგნები ყოფილან. აბა, ჰე! ვნახოთ სუპერ-კაგებეშნიკური სტატია „სარეველა“:

„ წარმოიდგინეთ სულის და გულის გამხარებელი მოხასხასე მდელო, მწვანედ მობისიმსივნე, სახიფათო მუწუკი, მავნე სარეველა, რომელსაც მოჭრა, ამოკვეთა, ამოძირკვა სჭირდება.

... იმ დღეს, 8 დეკემბერს, იოლად არ გადარჩენილა ახალგაზრდა მოქალაქე ნ. რომელიც ორ ქალიშვილთან ერთად მოდიოდა.

— შენ რომელს აირჩევ, ზვიადო?“

ზვიადი ზვიადად გასცქერის მსხვერპლს.

— „მარცხენას, ცხადია“! — ისმის მოკვეთილი პასუხი.

„მაშ, ჩვენ როგორმე მარჯვენასთან მოვრიგდებით“, — ჩაილაპარაკებს ანატოლი და ქუჩის „რაინდები“ გარს ერტყმიან ახალგაზრდა ქალ-ვაჟთ.

რა ქნას ახალგაზრდამ? იგი თავდამსხმელთ მოუწოდებს წესრიგისკენ, ისინი კი არაფრად არ აგდებენ ჭაბუკს, მუშტით გაინაპირებენ, ხულიგნებს არავინ მოუწოდებს წესრიგისკენ, უდანაშაულოებს არავინ ექომაგება. საქმე მკლავის ძალამდე მიდის, ქალ-ვაჟნი ისწრაფვიან ტრამვაის გაჩერებისკენ, რომ თავს უშველონ. ადიან ტრამვაიში, მაგრამ თავზეხელაღებულნი ვაგონშიც მისდევენ. გრძელდება თავაშვებულობა, ძიძგილი, მუშტების მოღერება, უწმაწური სიტყვები, მოთმინების ფიალა ივსება. მშველელი არავინაა, სად ხდება ეს? — დედაქალაქში, საღამო ჟამს, ხალხმრავალ ქუჩაში.

გავხსნათ ფრჩხილები, ვამხილოთ ჩვენი ქუჩის „რაინდები“. ესენი გახლავან: ზვიად გამსახურდია, ანატოლი მიქაძე, ვლადიმერ სიხარულიძე, თამაზ გუნჯუა, თეიმურაზ ცერცვაძე, თემურ მეტრეველი, მერაბ კოსტავა...

ვინ არიან ესენი? იქნება უდედმამოდ და მშობლიურ ზედამხედველობას მოკლებულნი? — სრულიადაც არა.

... იცნობდეთ — ზვიად კონსტანტინეს ძე გამსახურდია — მწერლის შვილი... ვის ბაძავს? — ნება გვიბოძეთ, კონსტანტინე გამსახურდიავ, გკითხოთ: როგორ მოხდა, რომ „დიდოსტატის მარჯვენის“ ავტორმა თქვენი საკუთარი მარჯვენა ვერ განავრცეთ თქვენს საკუთარ შვილზე?

იქნებ ანატოლი მიქაძეა მშობლებს მოკლებული? არა, მისი მამა აბესალომი პედაგოგიკის ინსტიტუტის სექტორის გამგეა.

ზოგჯერ მამა-შვილს შორის ოჯახში ასეთი დიალოგი იმართება:

„ტოლიკ, ბიჭო, წადი რა, სტუმარი უნდა მომივიდეს“.

„წავიდე? მაიტა ფული და წავალ“.

„აჰა, ხუთი გეყოფა?“

„ხუთი თუმანი რა ფულია?“

„აჰა, კიდევ, ჩქარა წადი“.

კი, მაგრამ, სტუმარს რას უშლის ანატოლი? — ეს „განსაკუთრებული“ სტუმარია... საეჭვო ქალი! რა უნდა ისწავლოს ანატოლიმ იმ მამისგან, ვინც ოჯახი დაანგრია და ქარაფშუტულ ცხოვრებას მიჰყო ხელი!

... იქნებ ვლადიმერ სიხარულიძეა უდედმამო? — არა, ღმერთმა დაიფაროს! ვლადიმერის მამა საკმაოდ ცნობილი ამხანაგი ვასო სიხარულიძეა, პასუხისმგებელი საბჭოთა მუშაკი... პასუხსაგები პოსტები უკავიათ აგრეთვე დანარჩენი ხულიგნების მამებსაც...

... როგორც ჩანს, სკოლების პედაგოგებს არ აწუხებთ თვითეული მოსწავლის ბედი და თავიანთ აღმზრდელობით მოვალეობას მხოლოდ გაკვეთილების გადაცემა-გამოკითხვაში ამოსწურავენ.

იქნებ კავშირგარეშე ახალგაზრდები არიან ესენი და სასკოლო კომკავშირული ორგანიზაციები ჯერ ვერ „მისწვდნენ“? — თქვენ წარმოიდგინეთ, კომკავშირის ბილეთს ატარებენ დასარტყმელად გამზადებულ დანასთან ერთად მიქაძე, სიხარულიძე, გუნჯუა, ცერცვაძე და კოსტავა.

... ამას წინათ, ქალაქის ერთ-ერთ ბაღში, სისხლიც კი დაიღვარა. დანის ტრიალი მოჰყვა აყალმაყალს, დაიჭრა ხულიგნების ჯგუფის ერთი წევრი გურამ დოჩანაშვილი, 47-ე სკოლის მეათეკლასელი მოსწავლე. ხულიგნების ჯგუფმა „შურისძიება“ გადაწყვიტა. ზვიად გამსახურდიას წინადადებით ისინი იარაღდებიან — ზოგი რეზინის ჯოხით, ზოგიც დანით. ზვიად გამსახურდიამ სპეციალური, დიდი საკეცი დანაც კი მოიმარჯვა. „წამოიღეთ რამე, თუნდაც რკინის კეტები, რომ თავში ჩავცხოთო“.

9 დეკემბერს ჰიგიენის სახლთან ისინი თავს ესხმიან, მაგრამ... სრულიად უდანაშაულო მუშას და ჭრილობას აყენებენ. ჯერ გამსახურდიამ დაარტყა, შემდეგ ყველა მიესია...

რატომ არ იმაღლებენ ხმას ამ ავადმყოფური მოვლენების წინააღმდეგ კომკავშირული ორგანიზაციები?

რატომ არ გრძნობს დღემდე ყველა მშობელი პასუხისმგებლობას თავისი შვილების ყოფაქცევისათვის საზოგადოებაში? რატომ ამყოფებენ სრულ ფუფუნებაში? რატომ არ ასწავლიან საზოგადოებრივი მორალის საფუძვლებს?

თავაშვებული ახალგაზრდები ხშირად „დემოკრატიაზეც“ გაჰყვირიან, მათი გაგებით აი, რას ნიშნავს ეს: თუ მათ სცემეს სუსტსა და უდანაშაულოს, მილიციელს არ უნდა ჰქონდეს საქმეში ჩარევის უფლება, საზოგადოებას არ უნდა მიეცეს დაზარალებულისადმი გამოქომაგების საშუალება.

ხულიგნები გვევლინებიან როგორც სარეველა ბალახი მობიბინე ჯეჯილში, ისინი სახელს უტეხენ ჩვენს საუცხოო ახალგაზრდობას, გვევლინებიან მუწუკებად ჯანსაღ სხეულზე. მუწუკს კი მოჭრა უნდა, სარეველას — ამოძირკვა.

ჩვენი ამ წერილის ვაი-გმირები მალე წარსდგებიან ხალხის სამსჯავროს წინაშე და დამსახურებულ სასჯელს მიიღებენ ხულიგნობისა და სხვა ანტისაზოგადოებრივი მოქმედებისათვის.

ხულიგნების ფეხქვეშ მიწა უნდა იწვოდეს“.

ძვირფასო ძმებო და მეგობრებო, როგორ მოგწონთ, გამაოგნებელი თუ არა, „შემაშფოთებელი“ ხომ არის?

აბა, ნახეთ, ბნელეთის შვილებმა როდის, რანაირად დაიწყეს ბრძოლა ყოველგვარი ეროვნულისადმი და როგორ სასტიკად დაამთავრეს: ზვიად გამსახურდია და მისი თანამებრძოლები, თითქმის ყველა, პროვინციელ ფაშისტებად, ტერორისტებად მონათლეს და მსჯავრი მართლაც სასიკვდილო გამოუტანეს!

როგორ დაიწყეს და... როგორ დაამთავრეს!

# ოთარ ხუფენია: საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ მოსახლეობა სრულ სიმართლეს გაიგებს!

## კადრების მოზიდვა კონკურსის წესით უნდა მოხდეს, ოღონდ მანამდე სისტემის სტრუქტურული რეფორმირება უნდა დაჩქარდეს



**გვესაუბრება „სოციალური წონასწორობის ცენტრის“ პრეზიდენტი, სოციალური ეკონომიკის ექსპერტი ოთარ ხუფენია:**

**— ბატონო ოთარ, რას გვეტყვით იმ სადაზღვევო სისტემის შესახებ, რაც ახალმა ხელისუფლებამ შემოგვთავაზა?**

— ეს დაზღვევა არაა. ეს გახლავთ პროგრამა, დასაწყისი და მეტი არაფერი. საზოგადოებაში გაჩნდა მოსაზრება, თითქოს ეს საყოველთაო დაზღვევაა, რაც ხელმძღვანელმა პირებმა გაახმოვანეს, თუმცა მოგვიანებით, ეს ტერმინი გასწორდა და დღეს ამას პროგრამას ვეძახით.

**— რაც შეეხება სოციალურ დახმარებებს, ახალი ხელისუფლების მოსვლისთანავე 16 ათას**




**ოჯახს სოციალური დახმარება შეუწყდა. რას ეფუძნებოდა ყოველივე?**

— ვითხოვდი და ახლაც ვითხოვ, სიღარიბის ზღვრის დაწესების მეთოდოლოგიის ცვლილებას. რა თქმა უნდა, სანამ პროგრამიდან ამოსაღები ოჯახების რიცხვი 16 ათას მიაღწევდა, ეს პროცესი მანამდე თანდათანობით უნდა დაწყებულიყო, სანამ მათი რიცხვი ჯერ კიდევ მცირე იყო და საზოგადოებისთვის ამის შესახებ თანდათანობით ეუწყებიათ. სოციალური დახმარებებისდანიშვნების დროს უამრავი დარღვევა დაფიქსირდა, ეს პროგრამა მართლაც იყო გამოყენებული პოლიტიკური მიზნებისთვის. სჯობს, ამის შესახებ საზოგადოებას კონკრეტული ფაქტები მივაწოდოთ და არ დავაგროვოთ ათეული ათასობით სიიდან ამოსაღები პირი.

**— მაგრამ ახალი ხელისუფლებაც აგრძელებს ძველ კურსს — ამ პროგრამაში, ჯერჯერობით, არავითარი ცვლილებები არ მომხდარა. აქცენტი სხვა მიმართულებით ხომ არ უნდა დაისვას, თუნდაც სამუშაო ადგილების, მცირე და საშუალო მეწარმეობის შექმნით და ა.შ.**

— თქვენ ახლა ძალიან მნიშვნელოვან და სერიოზულ საკითხს შეეხეთ. „ქართული ოცნების“ პროგრამაში, რაშიც მონაწილეობის მიღების პატივი მქონდა, ჩვენ ვამბობდით — დახმარების დანიშვნის მეთოდოლოგია და მეთოდიკა შესაცვლელია. ასეთი ტიპის დახმარებები აუცილებლად კორელაციაში უნდა იყოს რეალურ შემოსავლებთან. უნდა ითქვას, რომ ეს მხოლოდ ჯანდაცვის სამინისტროს არ ხელეწიფება: ჩემი ინფორმაციით, ამაზე მიმდინარეობს მუშაობა, მაგრამ საზოგადოება ინფორმირებული არაა. უნდა ითქვას შემდეგიც, კოალიციის ლიდერსა და მის გუნდს საზოგადოებისთვის პირობა არ მიუცია, რომ ეს ერთ ან ორ თვეში მოხდებოდა. კონკრეტული ვადა მითითებული არ არის და ეს სწორია, რადგან მაშინ ოპოზიციაში მყოფ ძალას, შეუძლებელი იყო ობიექტურად ის ფინანსური შესაძლებლობები სცოდნოდა, რაც ქვეყანაში არსებობდა. ახალმა ხელისუფლებამ, ფაქტობრივად, ერთ თვეში შექმნა ახალი სახელმწიფო ბიუჯეტი, მაგრამ გეტყვით, რა კუთხით ვარ გულნაკლული და ვერ ვიზიარებ მის შეხედულებებს: წინა ხელისუფლებამ საზოგადოება ე.წ. პიარს მიაჩვია. ახალ ხელისუფლებას ერთი შეცდომა მოსდის — პიარი არის როგორც გადმონაშთი, რომელსაც უნდა ვებრძოლოთ. ასეთი გადმონაშთები ძველი ხელისუფლებიდან ბევრია. თუ პიარი ინფორმირებულობის, საზოგადოებასთან დიალოგის, ხედვების განსაჯაროების მატარებელია, მაშინ ამაზე უარის თქმა შეცდომა იქნება. საზოგადოებაში კონსესუსი, შეთანხმება აუცილებელია. მეტიც, როგორც ამას დიდი ილია უწოდებდა — „დაპირისპირებულ ძალთა ბედნიერი მორიგება ერთმანეთის დაუმონებლად და შეუბღალავად“. ეს დებულებაა, რომელიც დიდმა წინაპარმა დაგვიტოვა.

**— რაც შეეხება კორუფციულ სქემებს, რასაც ძველი ხელისუფლება აქტიურად იყენებდა, რა შეიცვალა დღეს?**

— ჯანმრთელობის დაცვის სფეროში კორუფცია, პირველ რიგში, დაკავშირებული იყო სადაზღვევო კომპანიებსა და სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხის მართვის ეფექტიანობასთან. ნაბიჯები, რომელიც ახლა იდგმება — დამოუკიდებელი ჯანდაცვის ფონდის ჩამოყალიბება, ფინანსური ნაკადების მოძრაობის სქემის შეცვლა, ამ თამაშიდან სადაზღვევო კომპანიების თანდათანობით გაყვანა, უდავოდ, პროგრესია. ვიცი, რომ ცვლილებები მზადდება, მაგრამ ეს სამწუხაროდ, საზოგადოებისთვის ნაკლებადაა ცნობილი.

**— კი, მაგრამ თუ ამდენ სასიკეთო ცვლილებებს ახორციელებენ, რატომ უმალავენ საზოგადოებას?**

— უკვე მიღებული გადაწყვეტილებები საიტზე დევს და ნებისმიერ ადამიანს შეუძლია ნახოს, მაგრამ მე ამ უწყებათაშორისი კომისიის მუშაობის საჯაროობა მაქვს მხედველობაში. სანამ რაღაც გადაწყვეტილებას წერტილი დაესმება, მანამდე უნდა გამოვიდეს გარეთ, რათა ადამიანებმა საკუთარი აზრი გამოთქვან, თუ როგორ სჯობს ამ საკითხის გადაწყვეტა. მუშაობის ღიაობის, საჯაროობის ფორმას მივესალმებოდი. თუ ამგვარი ინიცირებები, საზოგადოებასთან დიალოგი არ მოხდა, გვექმნება საფრთხე ისევ კაბინეტურ რეფორმამდე, ოთხკუთხა ბორბლებიანი ველოსიპედის გამოგონებამდე მივიდეთ. ანუ პროცესი ღია უნდა იყოს.

ჩემი სფეროს წარმომადგენლებს რჩევის სახით კიდევ ერთს ვეტყვი — დააჩქარონ კონკურსები, სისტემის სტრუქტურული რეფორმირება. ორივე შესაცვლელია — როგორც სტრუქტურა, ისე საკადრო პოტენციალი. სტრუქტურის შეცვლა ღიად, საჯაროდ განხილვის შედეგად უნდა მოხდეს, ხოლო კადრების მოზიდვა-კონკურსის წესით. მეტი საჯაროობა, ღიაობაა საჭირო. ორივე ერთად უნდა მოხდეს — სისტემის სტრუქტურული რეორგანიზაცია და პარალელურად საკადრო პოტენციალის პროცესი. როცა კონკურსს აცხადებ, ეს ახალ სტრუქტურაზე უნდა იყოს მორგებული, რომელსაც შენ ჰქმნი. თორემ ძველ სტრუქტურაზე ახალი კადრის მოყვანა, აბსურდია. ვფიქრობ, სწორედ ეს აფერხებს კონკურსების გამოცხადებას. ფაქტობრივად, საკადრო ცვლილებები არ დაწყებულა.

**— რაც შეეხება პროგრამას, რაზეც თქვენ „ქართულ ოცნებაში“ მუშაობდით, რა ბედი ეწია მას. საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნებიდან“ ბევრი უკმაყოფილო წამოვიდა, მათ ოფისი მოულოდნელად დახურული დახვდათ, რა მოხდა რეალურად?**

— იქ ჩემი გუნდით, სოციალური უსაფრთხოების სისტემის კონცეპტუალური ხედვის მოდელით მივედი. ჩემს სასიხარულოდ, ფაქტობრივად, მოდელის ყველა ნიუანსი გაზიარდა და დღეს პროგრამულ დოკუმენტშია. პირდაპირ გეტყვით, არც ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამა, არც სოციალური სფეროს რეფორმების ხედვა, იმ ცხრა თვეში ერეკლეს მოედანზე არ შექმნილა.

კატეგორიულად ვაცხადებ, რომ ჯანდაცვისა და სოციალური უსაფრთხოების ჯგუფის მიერ გაკეთებული პროგრამა თაროზე არ შემოდებულა. ის კოალიციის საარჩევნო პროგრამაში სრულადაა ასახული, მეტიც სამთავრობო პროგრამაშიც ეს დეფინიციები გადასულია. მესამე — დაწყებულია რეალურად მისი ამოქმედება. საკითხი სხვა რამეშია — რამდენად კარგად, სწრაფად სრულდება ეს ყოველივე. ვფიქრობ, პრობლემები დროზეა გადასაწყეტი.

**— როგორ გამოიყენა ახალმა ხელისუფლებამ იმ ხალხის რესურსი, ვინც ამ პროგრამაზე თქვენთან ერთად მუშაობდა?**

— რაც შეეხება პერსონალიების გამოყენებას, ვინც იმ უბედურების, საშიშროების დროს, როცა ტოტალურად გვისმენდნენ, „ქართული ოცნების“ ოფისში დადიოდნენ, ვფიქრობ ამ ადამიანებს რეფორმის ჩატარებისას მოიხმობენ, უპირველესად, მათი მაღალი კვალიფიკაციის გამო. მჯერა ეს პოტენციალი გამოყენებული იქნება. ჯერ სტრუქტურული რეორგანიზაცია და საკადრო პოტენციალის შერჩევა არ მომხდარა.

**— ბოლოს ერთ საკითხზეც მინდა გკითხოთ, როცა თქვენ „ქართულ ოცნებაში“ პროგრამის პრეზენტაცია გააკეთეთ, მასმედია თავს დაგესხათ, გაჩნდა კლიპები, რაზეც პასუხი დღემდე არ გაგიციათ. რატომ აირჩიეთ მაშინ დუმილი და როგორია სინამდვილეში რეალობა?**

— კი, ბატონო. ნელ-ნელა ამის თქმის დრო მოდის. პირველი — საპენსიო დავალიანება, როცა გროვდებოდა და ამან 2003 წელს 148 მილიონს მიაღწია, ოთარ ხუფენია ამ დროს თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი გახლდათ, სადაც მის მიერვე შემუშავებულ სასწავლო დისციპლინას — „სახელმწიფო და დაზღვევას“ კითხულობდა. მე, 1999 წლის 31 დეკემბერს გადავდექი. იმის შესახებ — ცხრილების, სქემების სახით, თუ რა და როგორ მოხდა, არაერთხელ მოვახსენე პოლიტიკურ საბჭოს. მაშინ ჩაითვალა, რომ ამაზე პიარის აგორება გარკვეულწილად, კოალიციას დააზარალებდა, შეიძლება ზოგიერთ იმ პიროვნებასაც, რომლებიც იმ წლებში ამ პროცესში მონაწილეობდნენ, დღეს კი კოალიციის აქტიური წევრები არიან. ადამიანურად მათი კარგად მესმის. ყველას აქვს უფლება წარსული გადასინჯოს და იმ პოზიციაზე დადგეს რაც საჭიროა.

**— ანუ თქვენ ამ დუმილით მათი ტყავი გადაარჩინეთ?**

— მაშინ დამნაშავე მთელი სისტემა იყო. ჩემი ბუნება არაა ვილაცებისკენ თითი გავიშვირო. ჩემი სიმართლის თქმის დროს ბოლომდე ჯერ კიდევ არ დამდგარა, ცოტა ხანში უფრო მოვა სხვა სიმართლეების თქმის დროც. ერთ მინიშნებას ახლავე გავაკეთებ — ჩემი დაპირისპირება წინა ხელისუფლებასთან 2003 წელს კი არა 1997 წელს



დაიწყო, როცა ე.წ. „რეფორმატორთა გუნდი" მოვიდა. ეს ძალიან დიდი თემაა. საზოგადოებას ვპირდები, საფლავში ისე არ წავალ, სანამ ამის რეალურ სურათს არ დავდებ. ერთადერთი რამის გამო ვიტან ამ ყველაფერს, არავინ იცის ჩემს გულში რა ტრიალებს, ქუჩაში დღესაც თავისუფლად დავდივარ და ვინც მიცნობს ყველამ იცის, რომ ამ ქვეყნის დამანგრეველი არ ვარ. ხუფენიას ბრალი არაა, რომ ჩვენ ნატოს წევრები არ ვართ, არც ის, რომ ევროკავშირის წევრები არ ვართ, არც ის, რომ დსთ-ში შევედით, მერე გამოვედით, არც ომი დამიწყია 2008 წელს, და ა.შ. ვინც ჩემი ცხოვრების წესი იცის, დამეთანხმებიან, ვინმესთან დასამტკიცებელი არაფერი მაქვს.

**— როდის იტყვით იმ გვარ-სახელებს, ვისაც ამ ყველაფერში წვლილი მიუძღვოდა, თუმცა კი დღეს დაუმსახურებლად თქვენი სახელი გაისვარა.**

— ჩემს წინააღმდეგ ბრძოლა ამ კლიპებიდან არ დაწყებულა. იცით რატომ დამესხნენ თავს 1999 წლის ბოლოს? — როცა ყველა საერთაშორისო დამკვირვებელმა აჩვენა, რომ საარჩევნო სიები გაბერილი იყო, ეს რომ გადაეფარათ მკვდარი სულების თემა წამოწიეს. ძალიან საინტერესო არგუმენტთან გვაქვს საქმე. ამ დროს, ვითომ ამ მკვდარი სულების დასადგენად სამინისტროს საინფორმაციო ბაზა იყო აღებული. მე სამინისტროს სტრუქტურა არ გახლდით, ფონდი ამით საერთოდ არ სარგებლობდა. არავის უთქვამს, რომ სწორედ ფონდი, ოთარ ხუფენია იყო პირველი, რომელმაც ე.წ. სობესები ანუ ბუდე ამ გაყალბებისა, გააუქმა. ახლა, პირდაპირ გეტყვით — მეგრული ეშმაკობა ვიხმარე, სექტემბერში შევარდნაძეს ვთხოვე „სობესების" მონიტორინგის უფლება მომეცი-მეთქი. მან მომცა ამის უფლება. თქვენთან პირველად ვამბობ — როცა საპენსიო რიცხოვნობის განაცხადი სობესებიდან ერთ თვეში 54 ათასით შემცირდა, შევარდნაძეს მეორე ბრძანებულების პროექტი მივაშველე — გააუქმეთ ეს და ერთი ვერტიკალური სისტემა შევქმნათ-მეთქი. ამის გამკეთებელ კაცს, მკვდარ სულებს მაბრალებდნენ. საოცრება მერე მოხდა — როცა დავინახე რა ორჭოფული პოზიცია ჰქონდა მას, განცხადება დავწერე და გადავდექი. 7 მაისამდე შევარდნაძე ჩემს გადადგომას არ აკმაყოფილებდა, მაგრამ მე ოფისში არ მივედი და უნივერსიტეტში დავიწყე ლექციების კითხვა. ეს რომ გადაეფარათ, ვითომ მკვდარმა სულებმა განაპირობა საარჩევნო სიების გაყალბება. 2012-შიც ხომ ჩავატარეთ არჩევნები. ვინმეს მართლა ჰგონია, რომ საქართველოში ამდენი ამომრჩეველია?!— ამ მარაზმში ვართ ახლაც გახვეული, მაგრამ მე ის კაცი არ ვარ ვიღაცებზე მივუთითო. ეს მათი ცხოვრების სტილია. დღეს ამბობენ, რომ ვერტიკალური სისტემა გვაქვსო. ვინ გააკეთა მერე? — ხუფენიამ და მისმა გუნდმა.

**— ეს ყველაფერი აქამდე რატომ არ თქვით?**

— ამას გუნდში ყოველთვის ვამბობდი, ყველა ეს ციფრი მიწოდებულია, მაშინ გადაწყვეტილება იქნა მიღებული ეს თემა არ აგორებულიყო. მოვა დრო და ეს ციფრები გასაჯაროვდება თავის გვარ-სახელებით. ხუფენიას მკვდარი სულები რომ არ ჰყავდა, მაშინდელი სახელმწიფო კომისიის დასკვნაში წერია. თუ ხუფენია ათეულობით მილიონს იპარავდა, რატომ არ ჩნდება კითხვა — რომელი მაფიის წევრი მე ვარ, ოტობაიადან ჩამოსული ობოლი ბიჭი ვარ, ვინ დამიცავდა — მხედრიონი, მდედრიონი თუ ვინ?! მე ჩემი სიმართლე მიცავდა. დღესაც უპატრონო კაცი ვარ, არცერთი კლანის წარმომადგენელი არ ვარ. არცერთი ჩემი თანამშრომელი დაჭერილი არ ყოფილა. ტელეფონითაც კი, ამ თემაზე, არცერთი ძალოვანი არ გამსაუბრებია. ამათ რომ უსმინო, გამოდის, მე ვყოფილვარ ყოვლისშემძლე და მაშინ მაღიარონ. თურმე მილიონებს ვიპარავდი და ამ დროს დღეს ხანდახან, სამარშრუტო ტაქსის ფული არ მაქვს. ანუ რა გამოდის — მაშინ, არსენა ვარ? — თანხა დამალული მაქვს და თან დამავიწყდა სად დავმალე, თუ მაზოხისტი ვარ?! ამ შემთხვევაში წმინდა ბიბლიური პოზიციიდან ვსარგებლობ — ადამიანები რომ არწმუნო ყველაფერში მართალი ხარ, ეს უკვე ცოდვაა და მეორეც — სრული უაზრობაა.

**— როდის იტყვით სრულ სიმართლეს?**

— პერსონალების დონეზეც, მე ამაზე ვილაპარაკებ, ამის დრო მოვა, ყველა გვარ-სახელი ცნობილი გახდება. ეს საპრეზიდენტო არჩევნებამდე არ მოხდება. ამის მერე კი საზოგადოება ბევრ სხვა რამეს გაიგებს.

**თამარ შველიძე**
**555 23 28 24**

# როგორ უნდა განხორციელდეს გარდამავალ პერიოდში უმაღლესი განათლების რეფორმა

ვესაუბრებით „ქართული აკადემიის" პროფესორს ბატონ **ჯემალ მებონიას**

**— ბატონო ჯემალ, ახალმა ხელისუფლებამ განათლება და მეცნიერება ერთ-ერთ პრიორიტეტად გამოაცხადა, თუმცა, ამ პროცესს გარკვეული დრო დასჭირდება, როგორ ფიქრობთ, რა უნდა განხორციელდეს გარდამავალ ეტაპზე ისეთი, რომ სწორი გზით წარიმართოს ქვეყანაში მიმართულებას რომელზედაც ფაქტობრივად, დამოკიდებულია ქვეყნის შემდგომი განვითარება?**

— რეფორმების დროშით მოქმედმა საქართველოს აწ უკვე ყოფილმა ხელისუფლებამ უმძიმე დღეში ჩააგდო განათლებისა და მეცნიერების მთელი სისტემა. ქვეყნისთვის განსაკუთრებით საზიანოა ის ფაქტი, რომ თაობები დარჩნენ ხარისხიანი განათლების გარეშე, რომლის ერთ-ერთი მიზეზია, ისიც, რომ პედაგოგთა შერჩევა ძირითადად, ხდებოდა პოლიტიკური ნიშნით, ხოლო ღირსეული და მაღალი კვალიფიკაციის მქონე ადამიანები „ჩარეცხილებად" და ლამის მტრებად გამოაცხადეს.



რაც შეეხება გარდამავალ პერიოდს, ანუ ამჟამინდელს, შემიძლია ვთქვა, რომ უმაღლესი განათლების სისტემაში რაიმე არსებითი ცვლილების განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ ხელისუფლებაში პროგრესული ეროვნული ძალების მოსვლის შემთხვევაში. გარდა ამისა, მე გარდამავალი ეტაპი და ამ დროს განსახორციელებელი სამუშაო შემდეგნაირად მესახება:

ხელისუფლებასთან უნდა შეიქმნას საკონსტიტუციო საბჭო, რომელშიც შევლენ ავტორიტეტული მეცნიერები ყველა სფეროდან. საბჭო შეიმუშავებს განათლებისა და მეცნიერების განვითარების გრძელვადიან პროგრამას, დაადგენს ქვეყნისათვის აუცილებელ პროფესიათა ნუსხას და განსაზღვრავს მისთვის საჭირო სპეციალისტთა რაოდენობას.

უნდა შემუშავდეს განათლების ახალი კანონი.

საკონსტიტუციო საბჭოს მიერ და მათი რეკომენდაციით ხელისუფლებამ უნდა დანიშნოს გარდამავალი პერიოდის უმაღლეს სასწავლებელთა (სახელმწიფო უნივერსიტეტებს ეხება) რექტორები, რომელნიც გამოცდილნი და ავტორიტეტულნი იქნებიან. ამ რექტორებმა უნდა ჩამოაყალიბონ მრჩეველთა საბჭო, რომელიც გარდამავალ პერიოდში ცვლის აწ უკვე უფლებამოსილებადაკარგულ აკადემიურ საბჭოს.

მრჩეველთა საბჭოსთან შეთანხმებით რექტორი ნიშნავს თავის მოადგილეებს და საუნივერსიტეტო სამსახურის უფროსებს. ასევე, რექტორი თავის გუნდთან ერთად ადგენს ფაკულტეტების ახალ სტრუქტურას და ნიშნავს დეკანებს.

რექტორთან შეთანხმებით დეკანები ქმნიან მრჩეველთა საბჭოს, რომელიც დროებით ჩაანაცვლებს ფაკულტეტის საბჭოს. აქვე დეკანები მთელ გუნდთან ერთად ადგენენ ყველაზე აუცილებელ კათედრათა ნუსხას.

ამით მთავრდება გარდამავალი პერიოდის პირველი და იწყება მეორე ეტაპი — არჩევნები. მრჩეველთა საბჭოს წევრები შეიძლება იყვნენ როგორც იმ მომენტისათვის უნივერსიტეტში მომუშავე, ასევე მის გარეთ მყოფი პროფესიონალები. თითოეული კათედრის გამგე დეკანთან ერთად, გუნდთან შეთანხმებით ადგენს კათედრის საქმიანობისათვის აუცილებელ პროფესიათა რაოდენობას კონკრეტული აკადემიური თანამდებობისათვის. ამიტომ დეკანის შუამდგომლობით რექტორი აცხადებს კონკურსებს წარმოდგენილ აკადემიურ თანამდებობათა დასაკავებლად. კონკურსში მონაწილეობის მიღების უფლება ექნება ნებისმიერ პირს, გარდა რექტორისა.



რექტორები თავის გუნდთან ერთად, დეკანებთან შეთანხმებით ქმნიან საკონკურსო კომისიებს. არჩევნების შედეგები ძალაში შედის მხოლოდ მომდევნო სემესტრიდან.

ახლადარჩეული სრული და ასოცირებული პროფესორები დეკანთან და მოადგილეებთან ერთად ქმნიან ფაკულტეტის საბჭოს, რომელიც შემდგომში ირჩევს მის გამგეს.

ზემოთ ნათქვამიდან პროცესების პარალელურად სექტორის გუნდმა უნდა შეიმუშავოს საუნივერსიტეტო წესდება, რომლის დამტკიცებას წინ უნდა უსწრებდეს პარლამენტის მიერ უმაღლესი განათლების შესახებ ახალი კანონის მიღება. წესდებას განიხილავს და ამტკიცებს ფაკულტეტების საბჭოების გაერთიანებული სხდომა.

ერთ-ერთი საკვანძო საკითხია რექტორების შერჩევა, ამ მხრივ არსებობს ორი შესაძლო მექანიზმი:

1. რექტორი ინიშნება იგივე პრინციპით, როგორც გარდამავალ პერიოდში, ფორმალურად ეს არღვევს უნივერსიტეტის ავტონომიას, მაგრამ ამის დაბალანსება შეიძლება უნივერსიტეტის საბჭოსათვის ფართო უფლებების მინიჭებით, კერძოდ, რექტორი არ იქნება საბჭოს თავმჯდომარე, საბჭო ირჩევს მის მოადგილეებს და ყოველწლიური ანგარიშის მოსმენის შემდეგ მათ შეუძლიათ უნდობლობა გამოუცხადონ როგორც პერსონალურად თითოეულ მოადგილეს, ასევე პირადად რექტორს, ხელისუფლება კი ვალდებული იქნება დანიშნონ ახალი რექტორი.

მეორე ვარიანტია შემდეგი, რექტორს ირჩევს უნივერსიტეტისა და ფაკულტეტების საბჭოების გაერთიანებული სხდომა.

მომავალში ბიუჯეტის ზრდასთან ერთად ხელისუფლება სახელმწიფო უნივერსიტეტების დაფინანსებასაც გაზრდის, რაც შესაბამისობაშია ევროპის უნივერსიტეტების დიდი ქარტიის მოთხოვნებთან. ამავე დროს, თუ უმაღლესი სასწავლებლები მოიძიებენ სხვა თანხებს კანონით დაშვებული გზით, მაშინ სახელმწიფო მათ გაანთავისუფლებს საშემოსავლო გადასახადებისაგან.

ზემოდან გამომდინარე, სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების დაფინანსება უნდა იქნას პირდაპირი (ბაზური) თუმცა, ეს არ გამორიცხავს წარმატებული აბიტურიენტების წახალისებას ვაუჩერებით.

უნდა გაუქმდეს განათლების სფეროში ამჟამად არსებული ასაკობრივი შეზღუდვები, როგორც პიროვნების უფლებისა და ღირსების შემლახავი ქმედება.

რაც შეეხება უნივერსიტეტების სამეცნიერო სექტორის პრობლემებს, ორგანიზებულად ის უფრო ადვილად მოგვარდება, როცა ჩამოყალიბდება მეცნიერების განვითარების შესახებ ზოგადი ხედვა.

**ეთერ კასრელიშვილი**
**599 110 200**

იხილეთ „საერთო გაზეთი"
ინტერნეტში
www.saertogazeti.org
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# სიკვდილის ტრასა

***როგორ იყვნენ ჩართული „ვარდოსნების“ სამართალდამცავი სტრუქტურები ნარკობიზნესში, თანაც ხელისუფლებაში მოსვლისთანავე და როგორ გაიშიფრა ირაკლი ოქრუაშვილის შს მინისტრობის დროს აზერბაიჯანიდან შემომავალი ნარკოტრასა, ამის შესახებ „საერთო გაზეთს“ კარგად ინფორმირებული სანდო წყარო ესაუბრა. საქართველო ძირითადად, აზერბაიჯანიდან რომ „მარაგდებოდა“ დაბალი ხარისხის და შესაბამისად დაბალი ფასის ნარკოტიკებით, ამის შესახებ უკვე ვწერდით და ახლა კონკრეტულ ფაქტზე გვინდა გიამბოთ.***

წყაროს განცხადებით, 2004 წელს, ირაკლი ოქრუაშვილის შს მინისტრობის დროს პოლიციამ ბათუმი-წითელი ხიდის სამარშრუტო მიკროავტობუსის მძღოლი (მის ვინაობას შეგნებულად არ ვასახელებთ, რადგან გარდაცვლილია) დააკავა, რომელსაც ნარკოტიკების უკანონო შეძენა-გადატანაში დასდეს ბრალი. იმ პერიოდში შსს-ს ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს უფროსი კობა კობახიძე გახლდათ, ხოლო თბილისის შს მთავარი სამმართველოს ამავე სამსახურის უფროსი ნიკოლოზ საკანდელიძე. როგორც შემდეგ გაირკვა ნარკოტიკების „იმპორტთან“ დაკავშირებული ეს „სპექტაკლი“ სწორედ ხსენებული სამსახურების მესვეურთა მიერ იყო დადგმული. შსს-ს ძალიან უნდოდა ამ საქმის ჩაფარცხვა, მაგრამ მძღოლის ადვოკატმა ყველაფერი გააკეთა, სიმართლე რომ დადგენილიყო. მან ელენე თევდორაძის დახმარებით მოახერხა ოქრუაშვილის მოადგილეს, მაისურაძეს შეხვედროდა და აეხსნა, რომ ამ საქმესთან დაკავშირებით სერიოზულ სამხილებს ფლობდა. როგორც ჩანს, „ვარდოსნები“ იმ პერიოდისთვის მაინც უფრთხილდებოდნენ თავიანთ იმიჯს, რადგან ჯერ არ იყვნენ მოძლიერებული. ჩატარდა გამოძიება, რომელმაც შსს-ს რამდენიმე მაღალჩინოსანი შეიწირა, ისინი სამსახურიდან დაითხოვეს, ხოლო ნიკოლოზ საკანდელიძე დაიჭირეს და რამდენიმეწლიანი პატიმრობა მიუსაჯეს.

გამოძიების მასალების მიხედვით, წითელი ხიდისკენ მიმავალი მიკროავტობუსის მძღოლს ქუთაისში ორი ქალბატონი დაემგზავრა, რომლებიც, როგორც შემდეგ გაირკვა პოლიციის ე.წ. ნომრიანი აგენტები იყვნენ. მათ თურმე „შეფების“ მფარველობით სისტემატურად გადმოჰქონდათ წითელ ხიდთან არსებული ნეიტრალური ზონიდან ნარკოტიკები და მის რეალიზაციას ეწეოდნენ საქართველოს ტერიტორიაზე. ერთ-ერთი ამ ქალბატონთაგანი (ხაინდრავა) საკანდელიძის აგენტი იყო, მეორე კი (კაკულია) შსს-ს ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურის აგენტი. საკანდელიძეს თავისმა აგენტმა გზიდან დაურეკა და შეხვედრაზე შეთანხმდნენ. დილმის შემოსასვლელში ისინი ერთმანეთს შეხვდნენ, საკანდელიძემ მას „ჰეროინის“ შესაძენად თანხა გადასცა. ხაინდრავა მოელაპარაკა მძღოლს და წითელი ხიდისკენ გაყვა. მან მართლაც შეიძინა აზერბაიჯანელი „მომწოდებლისგან“ განსაკუთრებით დიდი ოდენობით „ჰე-



როინი“ (30 გრამი) და ამ ნარკოტიკის ნაწილი, რამდენიმე „ჩეკი“ მძღოლის ავტომანქანაში არყოფნის დროს მისი სავარძლის საზურგეში ჩადო. დაბრუნებისას სისტემატურად უკავშირდებოდა საკანდელიძეს (მათი სატელეფონო საუბრები ამოღებულია), რის შემდეგაც საქართველოს ტერიტორიაზე ხსენებული მიკროავტობუსი გააჩერეს და მის მძღოლს ნარკოტიკი „აღმოუჩინეს“. მძღოლს ნარკოლოგიური შემოწმება ჩაუტარეს და დადგინდა, რომ ის არ იყო ნარკომომხმარებელი, სამაგიეროდ ამ ე.წ. სამართალდამცავთა ვერსიით, იგი „ნარკობარიგა“ იყო.

მძღოლი რომ უდანაშაულო იყო, შემდგომში ეს დაამტკიცა მისი დაცვის მხარის მიერ ჩაწერილმა საუბარმა, სადაც აგენტი ამბობდა, თუ როგორ გადადიოდა იგი აზერბაიჯანის საზღვართან ნეიტრალურ ზონაში ნარკოტიკის შესაძენად და როგორ აძლევდა ამისთვის ფულს საკანდელიძე. წყაროს თქმით, ნარკობიზნესში ჩართული იყო არამარტო შსს, არამედ სხვა ძალოვანი სტრუქტურებიც. საქართველოს საზღვარს მესაზღვრეებთან ერთად, ქვემო ქართლის პოლიციისა და თავად სამინისტროს წარმომადგენლები და უშიშროების სამსახურის (მაშინ უშიშროების სამსახური ცალკე სამინისტრო იყო) წარმომადგენლებიც აკონტროლებდნენ. აქედან გამომდინარე, ისინი კარგად იცნობდნენ ნეიტრალურ ზონაში გადამსვლელებს, მით უმეტეს მათ, ვინც სისტემატურად გადადიოდა. გამორიცხული იყო ამ მაკონტროლებლებს შსს-ს ნომრიანი აგენტები არ სცნობოდათ და არ სცოდნოდათ რა საქმიანობით იყვნენ დაკავებულნი, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ დიდი ხნით ადრე დაიჭერდნენ. წყაროს თქმით, შსს-ს წარმომადგენლები თვითონ ხომ „კაიფობდნენ“ და პარალელურად ნარკოტიკის რეალიზაციასაც ეწეოდნენ, ნარკოტიკის იმპორტრეალიზაციისთვის კი თავიანთ აგენტებს იყენებდნენ. აგენტების საზღვარზე სისტემატური გადასვლა რომ „გაეპრავებინათ“ პოლიცია ხანდახან „ნარკობარიგების“ ე.წ. გამოვლენა-დაპატიმრების ოპერაციებსაც ატარებდა, რითაც ქულებს იწერდა, აქაოდა ხომ ხედავთ, როგორ აქტიურად ვმუშაობთო. მოცემულ შემთხვევაში „ნარკობარიგის“ როლი სამარშრუტო მიკროავტობუსის მძღოლს ხვდა წილად.

საბოლოოდ მძღოლის სიმართლე დადგინდა და პოლიცია იძულებული გახდა გაეთავისუფლებინა. თუმცა სიმართლე ალბათ ვერ გაირკვეოდა, რომ არა ერთი შემთხვევა. მძღოლის დაჭერიდან რამდენიმე დღეში თბილისის პოლიციამ საკანდელიძის აგენტის მამინაცვალი დააკავა ნარკოტიკის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით. ეს პიროვნება კი შსს-ს აგენტმა კაკულიამ დააჭერინა, რომელიც მის გერთან დაქალობდა. ბუნებრივად ჩნდება კითხვა, რატომ უნდა დაეჭირათ აგენტის ახლობელი. წყაროს თქმით, საკანდელიძეს თავის აგენტთან მარტო საქმიანი ურთიერთობა არ ჰქონია, ისინი ძალზე დაახლოებული იყვნენ. „შეფი“ დადიოდა მათთან სახლში და ღამეებსაც ათევდა, რისი კატეგორიული წინააღმდეგი ყოფილა მამინაცვალი. ამიტომ საკანდელიძემ მამინაცვლის მოშორება გადაწყვიტა. თვითონ ვერ ჩაატარებდა ამ ოპერაციას, რადგან თეთრი ძაფით იქნებოდა ნაკერი. იგი მოელაპარაკა სამინისტროში თავის კოლეგა-მეგობრებს და მათი აგენტის მეშვეობით დააჭერინა. კაკულიამ, როგორც ახლობელმა გაალებინა თავისი დაქალის ოჯახის წევრებს კარი, პოლიცია შეიყვანა და ნარკოტიკიც თვითონ დადო, რის შემდეგაც მამინაცვალი „ფაქტზე“ დააკავეს. საბედნიეროდ ოჯახის ერთ-ერთმა წევრმა დაინახა ნარკოტიკის ჩადების ფაქტი. ეს რომ შეიტყო დაკავებულის მეუღლემ, არ გაწირა საციხედ მეუღლე და აგენტი შვილი აიძულა სიმართლე ეთქვა, თუ თავად როგორ ჩაუდო უდანაშაულო მძღოლს ნარკოტიკი.

აგენტის ეს აღსარება გააცნეს შს მინისტრის მოადგილეს და ამ ორი უდანაშაულო ადამიანის გათავისუფლება მოხდა, რის პარალელურად ამ „სპექტაკლში“ მონაწილე პოლიციელებიც დაისაჯნენ, მაგრამ როგორც უკვე აღვნიშნეთ მხოლოდ თბილისის პოლიციის მაღალჩინოსანი დაიჭირეს. მას 9-წლიანი პატიმრობა კი მიუსაჯეს, მაგრამ მას სასჯელი ბოლომდე არ მოუხდია, დაახლოებით სამი წლის შემდეგ გაათავისუფლეს. ალბათ უფრო ადრეც გაათავისუფლებდნენ, მაგრამ ეტყობა, ვერ გაბედეს, რადგან ეს საქმე თავის დროზე ძალზე გახმაურდა. წყაროს თქმით, ამ პოლიციელის ვადამდე გათავისუფლება არც იყო გასაკვირი, რადგან ამ საქმეში მხოლოდ ის არ ყოფილა დამნაშავე, იგი მხოლოდ ზემდგომების დავალებების შემსრულებელი იყო. ისე რა აზრი ჰქონდა ამ პოლიციელის დაჭერას, როცა ნარკობიზნესი კვლავაც აქტიურად გაგრძელდა, უბრალოდ ეს ერთი ნარკოტრასა გაიშიფრა, რომელიც მაშინვე არც დახურულა. ხაინდრავამ მხოლოდ „შეფი“ და პარტნიორიქალი შეიცვალა. შემდეგ უკვე ვინმე პეშკუნთან ერთად აგრძელებდა აზერბაიჯანიდან ნარკოტიკის „იმპორტს“ და ალბათ უდანაშაულო ხალხის „ჩაშვებასაც“. მაგრამ ეტყობა ხაინდრავას თავის დროზე უფროსობის „ჩაშვება“ არ აპატიეს და დაახლოებით ორი წლის შემდეგ, მორიგი „ოპერაციის“ დროს სწორედ წითელი ხიდთან საზღვრის გადმოკვეთის დროს დააკავეს და ციხეში დიდი ხნით გაუშვეს. მხოლოდ ამის შემდეგ დახურულა ხსენებული ნარკოტრასა.

მოკლე ხანში (2008 წელს) დაიჭირეს ამ აგენტის დედაც, რომელმაც დიდი როლი ითამაშა თავის დროზე ნარკოტრასის და დამნაშავე პოლიციელების გამოვლენა-დასჯაში. ხაინდრავების ოჯახი მაინც ასოცირდება ნარკოტიკებთან, არავის გაუკვირდება მათ სახლში „წამლის“ არსებობაო და მასაც ჩაუდეს ნარკოტიკი. ხანშიშესული ავადმყოფი ქალი დაიჭირეს და მრავალწლიანი პატიმრობა მიუსაჯეს. წყარო ამ ქალბატონის დაჭერასაც პოლიციელთა შურისძიებას უკავშირებს. ერთი ძალზე საინტერესო დეტალი – როდესაც ეს ქალბატონი დაიჭირეს, მათი ოჯახიდან დიდი ოდენობით ფული (30.000 ლარი თუ დოლარი), ოქროს სამკაულები და ავტომანქანა, ვითომდა ნივთმტკიცების სახით ამოიღეს. ეტყობა „ეჭვი“ გაუჩნდათ, დაკავებულს ეს ქონება „ნარკობარიგობით“ ჰქონდა ნაშოვნიო. ამოღებული მტკიცებულებები დააყადაღეს და დალუქეს, რომელიც შემდეგ პროკურატურამ წაიღო, მაგრამ რატომღაც ძიების პროცესშივე გაქრა. როგორც ჩანს პროკურატურის წარმომადგენლებს ეს „სამხილები“ შემოეჭამათ. ფაქტია, ამ ქონების ოფიციალური კონფისკაცია არ მომხდარა, რადგან მაშინ კონფისკაციაზე გადაწყვეტილებას უზენაესი სასამართლო იღებდა, ამ უწყებას კი ასეთი გადაწყვეტილება არ მიუღია. ბრალდებულის ადვოკატმა ეს საკითხი უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრა. მათი „მსუნაგობის“ ამბავი რომ არ გახმაურებულიყო, იძულებული გახდნენ ავადმყოფი პატიმრისთვის გაჩუმების სანაცვლოდ, სასჯელი გადაევადებინათ და ციხიდან გაეშვათ, რაც ნაცხელისუფლების მმართველობისას დიდ იშვიათობას წარმოადგენდა.

თუ „ვარდოსნებს“ აზერბაიჯანიდან ნარკოიმპორტის აღკვეთა უნდოდათ, ცხადია, შემოსული ნარკოტიკის კვალს აზერბაიჯანამდე უნდა გაყოლოდნენ. წყაროს თქმით, მოსაჩვენებლად კი დაიწყეს რაღაც გამოძიება, ამ საქმეზე თურმე გამოცდილი, პროფესიონალი პოლიციელი მუშაობდა, მაგრამ მერე მას რაღაცეები დააბრალეს და საქმეს ჩამოაშორეს. იმ აზერბაიჯანელი ნარკორეალიზატორის საქართველოში გადმოყვანა და დაკავება ვერ მოხერხდა, არც აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ჩაატარებინეს ქართველ სამართალდამცავებს ღონისძიება, რადგან როგორც ჩანს ის სერიოზული ფიგურა იყო, არ არის გამორიცხული აზერბაიჯანელ სამართალდამცავებთანაც თანამშრომლობდა და ამიტომაც არ გაწირეს.



იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.org
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

საქართველოს ტერიტორიაზე ნარკოტიკების უკანონო ბრუნვას, რა თქმა უნდა, ამის შემდეგაც გაგრძელდა. წყაროს თქმით, კეზერაშვილის ფინანსური პოლიციის უფროსობისა და თავდაცვის მინისტრობის დროს კი, უფრო გაძლიერდა. წყარო ამის დასტურად კეზერაშვილის სატელეფონო საუბრების გამოხმაურების ცნობილ ფაქტს იხსენებს. ეს არ ყოფილა მხოლოდ ერთი და ორი შემთხვევა, სისტემატური ხასიათი ჰქონდა, უბრალოდ ეს ერთი ფაქტი „გასკდა". მერაბიშვილის შს მინისტრობისას კი აკეთებდნენ „სერიოზულ" განცხადებებს, ნარკობიზნესს დაუნდობლად ვებრძვითო, მაგრამ ესეც ფარსი იყო, სწორედ მერაბიშვილისა და კოდუების სახელს უკავშირებდნენ ამ „ბიზნესის" გაფურჩქვნას, განსაკუთრებით ირაკლი კოდუას სოდ-ის უფროსად დანიშვნის შემდეგ. ჩვენ ამ ინფორმაციის სიზუსტეზე თავს ვერ დავდებთ, მაგრამ ფაქტია, ნაციონალების 9-წლიანი მმართველობის პერიოდში საქართველოში ნარკომანების რაოდენობა გასამმაგდა და უფრო მეტიც, საქართველო ნარკოტიკების სატრანზიტო ქვეყნად იქცა.

ყველას კარგად გვახსოვს, „ზედაზენის" ლიმონათით დატვირთული ტრაილერის ბელორუსის საზღვარზე დაკავების და მის საიდუმლო საცავში 85 კილოგრამი „ჰეროინის" აღმოჩენის ამბავი. რატომღაც ეს საკითხი ყველას მიავიწყდა. ისიც ვერ გავიგეთ, ვის ეკუთვნოდა ეს ტრაილერი და რა მარშრუტით მოძრაობდა ბელორუსისკენ. ნაციონალების მხარდამჭერ მედიაში ასეთმა ინფორმაციამაც გაიჟღერა, ალბათ, რუსულმა სპეცსამსახურებმა ჩადეს ეს ნარკოტიკი, საქართველოსთვის რეპუტაცია რომ შეელახათ და მისი ნატოსკენ და ევროკავშირისკენ სწრაფვა შეეჩერებინათო. სწორედ ამიტომ იყო აუცილებელი, მარშრუტის გახმაურება. თუ ეს ავტომანქანა საქართველოში იყო რეგისტრირებული, ის ლარსის გავლით ვერ გადაკვეთდა საზღვარს, რადგან ქართულ ავტოტრანსპორტს, რუსები აქედან არ უშვებენ მათ ტერიტორიაზე. ამ შემთხვევაში ეს ტრაილერი რუსეთის ტერიტორიის გავლით ვერ შევიდოდა ბელორუსში. ის ბორნით უნდა გადასულიყო უკრაინაში, გაევლო უკრაინის მთელი ტერიტორია და ისე უნდა მოხვედრილიყო ბელორუსის საზღვართან. მართალია, ამ საქმის ოფიციალური ვერსია ვერ შევიტყვეთ, მაგრამ შევეცადეთ პროფესიონალი სამართალდამცავების მეშვეობით დაგვედგინა, სავარაუდოდ რასთან გვქონდა საქმე.

უპირველად ის უნდა გავარკვიოთ, სად მიდიოდა ეს ნარკოტიკი, ბელორუსში უნდა დარჩენილიყო თუ ეს ქვეყანაც სატრანზიტო იყო. თუმცა ის ფაქტი, რომ ეს ტრასა უნდა დახურულიყო, ეჭვს არ იწვევს. ნაცლიდერებისა და მათი ძალისმიერი სტრუქტურების (თავად შსს, კუდ-ი, სოდ-ი) წარმომადგენლების ბიზნესს თუ გადავხედავთ, მათ ძირითადად, უკრაინასა და ბელორუსში აქვთ გადაქაჩული. ნაცების ერთ-ერთი ლიდერი გივი თარგამაძე უკვე დიდი ხანია უკრაინაში „ბიზნესმენობს". წყაროს დიდი ეჭვი აქვს, რომ სწორედ ეს „კონტიგენტი", მათ შორის თარგამაძე მფარველობდა ხსენებულ ნარკოტრასას, მით უმეტეს, რომ „ბატონი" გივი იყო თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის შეფი პარლამენტში. ჩვენი მეორე რესპოდენტიც დარწმუნებულია,



რომ ნაცხელისუფლება დიდი ხანია ჩართული ნარკოტრეფიკში და ხსენებული ტვირთის „დაწვას" მათ უკავშირებს. ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, მათი განუსაზღვრელი უფლებები შეიზღუდა, ნარკოტიკის უსაფრთხო ტრანზიტს ველარ უზრუნველყოფდნენ, ამიტომ რაღაც უნდა მოეფიქრებინათო. „ნარკობიზნესში მონაწილეობა ძალზე სახიფათო საქმეა, ფულს როცა აიღებ, მერე ძალზე ძნელი ასახსნელია, „ტვირთი" ადგილზე რატომ ვერ მიიტანე. „დამკვეთს" სულ არ აინტერესებს, ხელისუფლება შეიცვალა თუ რა მოხდა, ეს „კურიერის" პრობლემაა. ამ დროს უმჯობესია რაღაც ისეთზე წახვიდე, რომ თუნდაც დაგიჭირონ, თუმცა „დამკვეთების" თვალში არც ამას აქვს გამართლება, გეტყვიან, მერე მაინც მოგიწევს გადახდაო.

„ზედაზენის" ქარხანაში კი დაიტვირთა ის ტრაილერი, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ ნარკოტიკი სულაც გზაში ჩადეს. საეჭვოა, ამ საწარმოს მფლობელი ჩოჩელი, რომელიც ისედაც ბომბზე ზის, ასეთ რისკზე წასულიყო. ამ საქმეში ჩართულიც რომ იყოს, მისთვისაც უმჯობესია ნარკოტიკის ჩადება, ნეიტრალურ ტერიტორიაზე მომხდარიყო. მოგეხსენებათ ჩვენს სპეცსამსახურებში უამრავი ძველი თანამშრომელი დარჩა, რომელიც ძველი ხელისუფლების ერთგულია. სულაც გზაში გააჩერებდნენ ამ ტრაილერს, რაღაც სპეცდავალება გვაქვს, სახელმწიფო საიდუმლოებააო, მებაჟეს არც გააკარებდნენ ახლოს, ისე ჩადებდნენ ამ ნარკოტკს და ტვირთს ხელახლა დალუქავდნენ, ეს მათთვის პრობლემას არ წარმოადგენს. მძღოლი ცხადია, ხმას ვერ ამოიღებდა, ის ამ საქმეში პატარა ჭანჭიკია, თანაც საკუთარ სიცოცხლეს უფრთხილდება.

ერთი სიტყვით, რას ემსახურებოდა ეს ყველაფერი – უდავოა, მუდმივი ნარკოხაზი არსებობდა და ამ ნარკოტრანზიტში ჩართული მავანი ხაზიდან რომ გადავიდეს, მოკლავენ. ამიტომ, ჩადებს ნარკოტიკს და მერე რალაც არხებით ბელორუსის უშიშროების სამსახურს ინფორმაციას აწვდის, რომ კონკრეტულ ტრაილერში ნარკოტიკი დევს, ანუ ტვირთს თვითონვე „წვავს". ბელორუსები იჭერენ ამ ნარკოტიკს და მორჩა, ნარკოტრასა გაშიფრულია, „კურიერს" შეუძლია თამაშიდან გამოვიდეს, სხვა შემთხვევაში ის მხოლოდ გვამის სახით თუ გამოვიდოდა. მას ახლა შეუძლია თავი იმართლოს, რა ვქნა, მე გამოვგზავნე, მაგრამ დაიჭირეს, ახლა თქვენ იფიქრეთ, ბელორუსში რატომ დაიჭირეს. თუ გინდათ ისევ ვითანამშრომლოთ, მაშინ ახალი ხაზი გახსენითო, მაგრამ ეს როდის მოხერხდება? ასე რომ, ქართველმა ნარკობიზნესმენებმა ამ შემთხვევაში უმტკივნეულოდ მოახერხეს თავის დაძვრენა, თუმცა ზუსტად მაინც ვერ ვიტყვით, რომ მათ ყველა შესაძლებლობა ამოეწურათ და ამ სარფიან „ბიზნესს" თავს დაანებებენ. მე იმის იმედი მაქვს, რომ შს მინისტრის მოადგილე ალეკო ტაბატაძე გამოცდილი პროფესიონალია, მას ზეპირად ეცოდინება ყველა შემოსასვლელ-გასასვლელი (ტაბატაძე ერთი პერიოდი



ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურის უფროსი იყო), აქედან გამომდინარე ნარკობრუნვის გამოვლენა მის უწყებას არ გაუჭირდება.

ძალიან კარგია თუ ეს ნარკოტრასა დაიკეტა, მაგრამ შეიძლება ახლო მომავალში ახალი გაჩნდეს. ბოლო ხანს სამცხე-ჯავახეთში, აჭარაში, თბილისში აღმოაჩინეს რაღაც რაოდენობა ნარკოტიკი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ვიღაცეებმა კუსტარულად და ინდივიდუალურად დაიწყეს „მუშაობა", ამ მიმართულებით თუ რაღაც ხაზი დალაგდა, ესეც აუცილებლად გამოჩნდება", აცხადებს ჩვენი რესპოდენტი.

დიდ საიდუმლოებას არ წარმოადგენდა, კუდ-ის შეფი დათა ახალაია რომ კურირებდა სამეგრელოში ნარკობიზნესს. სამეგრელოში ყველამ კარგად იცოდა ის ჯიხურები, სადაც ნარკოტიკი იყიდებოდა და როგორ დავიჯეროთ, რომ ისეთმა „დიდმა ჩეკისტმა", როგორიც ახალაიაა, ეს არ იცოდა, ე.ი. მისი საახლობლო ვაჭრობდა. საერთოდაც, პოლიციამ ძალიან კარგად იცოდა ნარკოტიკი ვის შემოჰქონდა და ვინ ყიდდა. ამ ხალხს თურმე თვეობით და წლობით ამუშავებდნენ, ფულს აშოვნინებდნენ, ზეპირად იცოდნენ ვინ რამდენი იშოვა, შემდეგ ჩამოუვლიდნენ და ყველას დაიჭერდნენ, ფულსაც აახევდნენ და მერე ახალი ჯგუფი გამოდიოდა „ასპარეზზე", რომელსაც რა თქმა უნდა, ახალაიები „კრიშავდნენ". სხვათა შორის ბევრი წესიერი ადამიანი, გაჭირვების გამო აქციეს „ნარკობარიგებად" და გააუბედურესო. ერთ-ერთმა ყოფილმა პატიმარმა „საერთო გაზეთს" ისიც უთხრა, რომ ციხეებში სწორედ ახალაიების ნარკოტიკი იყიდებოდა. ადმინისტრაციის წარმომადგენლების უმეტესობა ნარკომომხმარებელი იყო და პატიმრებსაც თვითონ „ამარაგებდნენ". უფრო მეტიც, ციხის თანამშრომლები ე.წ. მაყურებლებთან ერთად „კაიფობდნენო".

წყაროს თქმით, ამ ინფორმაციაში ნამდვილად არის სიმართლის მარცვალი. ყველამ იცის, რომ სასჯელაღსრულების სისტემას მთლიანად ახალაიები აკონტროლებდნენ. ეს გრძელდებოდა ბაჩო ახალაიას ამ სისტემიდან წასვლის შემდეგაც და ცხადია, მათ გარეშე ციხეში ვერაფერი შევიდოდა. ახალაიების კლანს გავლენა ფაქტობრივად ლოპოტას ხეობაში ჩატარებული სისხლიანი სპეცოპერაციის შემდეგ შეეზღუდა, მანამდე ისინი მარტო ციხეებს კი არა, მთელ საქართველოს აკონტროლებდნენ. წყაროს აზრით, მერაბიშვილისა და ახალაიების კლანების დატაკება სწორედ გავლენის სფეროების გადანაწილების გამო ხდებოდა, თორემ თავიდან ახალაიებიც მერაბიშვილის გუნდში იყვნენ. ახალაიები მერე მოძლიერდნენ, დიდი ფულიც იშოვეს, უფრო მეტ გავლენაზე გაუჩნდათ პრეტენზია, მერაბიშვილს გამოეყვნენ და დაუპირისპირდნენ. თურმე მერაბიშვილს მისი მარჯვენა ხელი, მისი მოადგილე ყოფილი „ვალუტჩიკი" ამირან მესხელი ახალაიებს მაგრად მიუბეგვავთ კიდეც.. როგორ შეიძლებოდა ამ მენტალიტეტის მქონე ხალხის ესოდენ საპასუხიმგებლო თანამდებობებზე დანიშვნა, ეს სააკაშვილს უნდა ვკითხოთ. გავლენის სფეროების გადანაწილების შედეგი იყო სოდ-ის გავლენიანი შეფის, ირაკლი კოდუას ჩამოლაბორანტებაც. კოდუა ბოლომდე მერაბიშვილის გუნდში მოიაზრებოდა. თავის დროზე სოდი (სპეცოპერატიული დეპარტამენტი) თურმე ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლისთვის შეიქმნა, თუმცა სინამდვილეში ეს სამსახური მხოლოდ ამ „ბიზნესის" მაკონტროლებლის ფუნქციას ასრულებდა.

ხომ საინტერესოა რატომ ჩამოაშორეს კოდუა ამ უწყების ხელმძღვანელის პოსტს და რატომ შეუზღუდეს ამ სამსახურის უფლებები? ავ ენებს თუ დავუჯერებთ, კოდუა სწორედ ახალაიებთან დაპირისპირებას შეეწირა. ხსენებული დიდი გადაადგილებები უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ მოხდა, როცა ქართველი „დამკვირვებლები" იქიდან სამარცხვინოდ გამოაბუნძულეს. მაშინ იმასაც ამბობდნენ, რომ კოდუამ მასთან ერთად არჩევნების „დამკვირვებლად" მივლენილი დათა ახალაია სასტიკად აცემინა თავის ხელის ბიჭებს. ცხადია, სააკაშვილის ფავორიტი ახალაიები, კოდუას ამას არ აპატიებდნენ.

წყაროს თქმით, აუცილებლად უნდა შეიქმნას სპეციალური კომისია, რომელიც სააკაშვილის მაღალჩინოსნების საქმიანობას გამოიძიებს, ამით ისიც უპრობლემოდ გაირკვევა, სინამდვილეში რატომ უპირისპირდებოდნენ ნაცელიტის წარმომადგენლები ერთმანეთს და ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა. „რა სამოხელეო დანაშაულის ამნისტიაზეა საუბარი, ჯერ ყველაფერი უნდა გაირკვეს, უნდა გამოიკვეთოს ვინ ანგრევდა, სპობდა და ყიდდა საქართველოს. ამის მერე ვაპატიოთ საპატიებელს, დასაჯელი კი მკაცრად დავსაჯოთ, რომ ახალ ხელისუფლებაშიც არავის გაუჩნდეს იმის გარანტია, რომ ხელშეუხებელი იქნება", – აცხადებს წყარო.

**მანანა სუხიშვილი**
599 51 28 24



# „პაატა შოუ“ – საქართველოსთვის სახელმწიფო სუიციდი

უახლოეს მომავალში მოსალოდნელია ზაქარეიშვილისა და აფხაზი სეპარატისტების მიერ ერთობლივად დაიდგას ყალბი ცერემონიალი, სახელწოდებით „პაატა შოუ“, რომელიც საქართველოსთვის სახელმწიფო სუიციდის ტოლფასი იქნება

სააგენტო "ჯი-ეიჩ-ენისთვის" მიცემულ ინტერვიუში ჟურნალისტის კითხვაზე – უარყოფს თუ არა ზაქარეიშვილი გაგრის სტადიონზე ქართველების თავებით ფეხბურთის თამაშს და არის თუ არა ეს- ქართული მხარის მიერ გამოგონილი სიცრუე, ზაქარეიშვილი პასუხობს:

„ეს არ არის ქართული მხარის მიერ გამოგონილი ლეგენდა - ეს ომის მიერ გამოგონილი ლეგენდაა. ამგვარ ლეგენდებს ყველა კონფლიქტში ყვებიან“.

ზაქარეიშვილი გაგრის ტრაგედიას ომის შედეგად გამომცხვარ ლეგენდად რაცხავს, თუმცა მცხობელის ვინაობის დაკონკრეტებას გაურბის. ის მისთვის დამახასიათებელი საუბრის მანერით „ უხეში ფორმების“ გამოყენებას ერიდება. „ლეგენდა“ ზაქარეიშვილის ენაზე უწყინარი ფორმაა „სიცრუისგან“ განსხვავებით. უკანასკნელის ჟღერადობა ყურს ჭრის, მაშინ როდესაც „ლეგენდა“, „მითი“, „ეპოსი“ ბევრად უფრო სასიამოვნოდ ჟღერს და სმენას არ აღიზიანებს. არარსებულ ტრაგედიას ლეგენდა რომ დაერქვას, ზაქარეიშვილის აზრით, ბევრად უფრო უპრიანია, ვიდრე სიცრუე და ტყუილი. რა აუცილებლობა დგას გახსნილი ტექსტით „ლეგენდის“ ავტორად ქართული მხარის დასახელებისა და მისი ასე განაწყენებისა, მაშინ, როდესაც ხელშემწყობი გარემოება ომის სახით აქვეა.

ზაქარეიშვილის ხედვით, ომი განზოგადოებული მცნებაა. გაგრის ტრაგედიას ქართული ლეგენდის ნაცვლად ომის ლეგენდა რომ დაერქვას, განაწყენებული არავინ დარჩება. არაფერი დაშავდება იმით, რომ ომს ჩამოეწეროს ტყუილ-მართალი. როგორც ამბობენ: „âî éí à âñå ñï èø åò“. ომი ხომ ომია მისთვის თანმდევი „მითებით“.

ზაქარეიშვილის მიერ ლეგენდად




შერაცხულ ტრაგედიას წინ უძღვის აფხაზი მოღვაწის **ბესლან კობახიას** იგივე შინაარსის განცხადება. ის წუხილს გამოთქვამს იმის გამო, რომ მითი გაგრის სტადიონზე ქართველების თავებით ფეხბურთის თამაშისა დღემდე მოქმედებს.

**ქართველი „მოღვაწე“ ზაქარეიშვილი** და **აფხაზი „მოღვაწე“ ბესლან კობახია** უცნაურად ერთგვაროვნად იხსენებდნენ ორი ქართველის (ანუ **ზაქარეიშვილის** და **ბარამიძის** ) 1992 წლის 7 ნოემბერის საექსპერტო ჩასვლას აფხაზეთში და იმ „უწყინარ“ გარემოს, რაც იქ სუფევდა. კობახია აცხადებს:

„თავად სიტუაციამ გააოგნა ჩვენი სტუმრები, რადგან ისინი ურთიერთში საუბრობდნენ, ადარებდნენ მდგომარეობას სოხუმსა და გუდაუთაში და იძულებულნი იყვნენ ეღიარებინათ, რომ ჩვენ ძალიან მაღალი დისციპლინა გვაქვს. ჩვენ ჩამოვედით გაგრაში, სტადიონის რაიონში, სადაც ძალიან ბევრი ქართული ეროვნების ადამიანი რჩებოდა. ჩვენ მოვიარეთ ყველა სახლი, ამავდროულად ჩვენ რუსტამთან ერთად საშუალებას ვაძლევდით გასაუბრებოდნენ უჩვენოდ იმ ადამიანებს, ვისთანაც მათ სურდათ. შედეგად მათ ჩვენ გვითხრეს: დიდი მადლობა, ჩვენ დავრწმუნდით, რომ ეს არ არის სიმართლე, არანაირ სიმხეცეს ადგილი არ ჰქონია და ა.შ. სამწუხაროდ, ეს მითი მოქმედებას განაგრძობს და სამწუხაროდ, ადამიანები, რომლებიც მაშინ ჩვენთან იყვნენ, რომლებსაც დღეს საქართველოში მაღალი თანამდებობები უკავიათ, ეს ფაქტი არ უარყვეს“, – განაცხადა კობახიამ.

ფრაზაში- “ ჩვენ დავრწმუნდით“, ზაქარეიშვილთან ერთად **ბარამიძეც** იგულისხმება, რომელიც დღემდე უცნაურად დუმს.

კობახიას ეს განცხადება ზაქარეიშვილმა არც კი უარყო და სააგენტო „ჯი-ეიჩ-ენისისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ჟურნალისტის კითხვაზე, რატომ დასჭირდათ აფხაზებს ახლა ამგვარი პროპაგანდის აგორება, განაცხადა:

„კამპანიას ვერ ვხედავ. ეს არის მხოლოდ ერთი ადამიანის მიერ გახსენებული ეპიზოდი. კამპანიის ნიშნები კი ჯერ არ ჩანს”.

ასევე ნიშანდობლივია ზაქარეიშვილისა და კობახიას ერთგვაროვანი ლექსიკა გაგრის ტრაგედიის ლეგენდა-მითად შერაცხვის შესახებ და გაგრაში გამეფებული „უწყინარი“ გარემო.



ამასთანავე, კობახია დადებითად აღწერს ქართველი კოლეგების ქმედებებს და „სიმართლეს“ იხსენებს. „სიმართლე“ კი თურმე ის ყოფილა, რომ ზაქარეიშვილმა დიდი მადლობის ნიშნად უთხრა კობახიას: „ დიდი მადლობა, ჩვენ დავრწმუნდით, რომ ეს სიმართლე არ არის, არავითარ სიმხეცეს ადგილი არ ჰქონია“. ამ ფრაზით ზაქარეიშვილმა არა მარტო დაღუპული, არამედ ცოცხალი გაგრელები და მთელი საქართველო დაამცირა და შეურაცხყო.

ზაქარეიშვილისა და კობახიას ერთგვაროვანი ლექსიკა გაგრის ტრაგედიის გათეთრების მიზნით აგორებულ პროპაგანდაში ურთიერთშეთანხმებულ, კოორდინირებულ და კარგად დაგეგმილ ქმედებაზე აშკარად მიუთითებს. ამიტომაც გასაგები ხდება ჩემთვის ზაქარეიშვილის 2012 წლის 24 ოქტომბერს გაჟღერებული ოპტიმისტური განცხადება იმის თაობაზე, რომ აფხაზეთის დე-ფაქტო პრეზიდენტის რიტორიკა 6 თვეში შეიცვლება. გამორიცხული არ არის, რომ გაგრის ტრაგედიის გარშემო აგორებული აფხაზურ-ზაქარეიშვილისეული ბინძური პროპაგანდა რიტორიკის შეცვლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლი იყოს. ამიტომაც, სავარაუდოა, მსგავსი პროპაგანდა მომავალში არაერთხელ აგორდეს და იმ დასახლებულ პუნქტების გათეთრებითა და გაყალბებით გაგრძელდეს, სადაც სეპარატისტებმა ქართული მოსახლეობის წინააღმდეგ განსაკუთრებული სისასტიკე გამოიჩინეს. გაგრის შემდეგ ამ ამაზრზენი პროპაგანდისტული გეგმის რიგში, შესაძლოა, ომის შემდგომი გალი მოიაზრებოდეს, სადაც სეპარატისტებმა 1600 მშვი-

# მე ვარ მოწმე...

## გვესაუბრებიან გაგრელები, გაგრის ტრაგედიის თვითმხილველები, რომლებიც სასწაულებრივად გადაურჩნენ სიკვდილს

**მურმან ჩქოტუა**: – 1992 წლის ნოემბერში, ზუსტად ვიცი, ყველა ქართველი უკვე გასული იყო გაგრიდან. ზაქარეიშვილი რომელ ოჯახში იყო, თქვას, რადგან მე იქ ვცხოვრობდი და ვიცი, რა გვარის ოჯახები ცხოვრობდნენ ნინოშვილის და რუსთაველის ქუჩების კუთხეში. ბარქაიები, გუგუჩიები, გეგეჭკორები, კედიები, მუშკუდიანები, შელიები, ძაძამიები, „პარიკმახერი“ ცხოვრობდა კიდევ ერთი, „რიჟა“ ფერის თმები ჰქონდა – შურა ალასანია, რომელიც თავის შვილს დაეძებდა და მერე ზღვის პირას იპოვა დამარხული, ლოლუები, ნადარეიშვილები, ჩარკვიანები, კოდუაშვილები, ალმასკომის თავმჯდომარის მოადგილის – ჯინჭარაძის ოჯახი, ჩემიები, ჯანგიძეები, დგებუაძეები. ეს ის ოჯახებია, რომლებიც სტადიონთან ახლოს ცხოვრობდნენ. ვის შეეკითხა ზაქარეიშვილი, რომელ მათგანს, რატომ არ ამბობს?



გაგრის აღების შემდეგ მთელ ქალაქში მოგროვილი სამი კამაზი მიცვალებული, დასახიჩრებულები, ნაგავსაყრელზე, სოფელ ალახაძეში, სადაც მე ადრე საბჭოს თავმჯდომარე ვიყავი, ამოთხარეს უზარმაზარი ორმო და ჩაყარეს ერთად ეს მიცვალებულები. მსგავს რამეს მხოლოდ ფაშისტები აკეთებდნენ.

**მურმან ოკუჯავა**: – ერთი თვის შემდეგ რომ ჩავიდა იქ ზაქარეიშვილი და ამბობს: სტადიონზე ბიბინებდა ბალახიო, ან ფეხბურთი არ უთამაშია, ან გეოგრაფიის წიგნი არ წაუკითხავს? ერთ თვის განმავლობაში ნოემბერში წვიმა ზღვისპირა ქალაქში რომ არ მოვიდეს, წარმოუდგენელი ამბავია და ვის უხვევს ეს თვალს?!

ჩვენ რაც ინფორმაციები გვაქვს, თითქმის ყველა არის დაკითხვებით მიღებული ინფორმაციები, რადგან მაშინ მე სამართალდამცავ სტრუქტურაში ვმუშაობდი და დანაშაულზე პასუხისმგებლობა ჯერ კიდევ გვეკისრებოდა. დოკუმენტებში არის რა რიცხვში, როდის, რა დროს ვინ დაიღუპა, ვინ მოკლა, ვინ რისი თვითმხილველი იყო.

**მერაბ ნადარეიშვილი**: იმ საშინელებებზე, რაც აფხაზებმა ქართული მოსახლეობის მიმართ ჩაიდინეს 260 ტომი არის



გამოძიებული და პროკურატურაში ინახება. ეს დოკუმენტაცია სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროსასამართლოში უნდა გაგზავნილიყო, როგორც გენოციდისა და ეთნოწმენდის ფაქტები. დოკუმენტებში მოცემული არის მასალები 1992 წლიდან დღემდე, მაგრამ არ იძლევიან ნებას, რომ გაიგზავნოს – აფხაზებს არ ვაწყენინოთო.

მოსკოვში მაცხოვრებელი ერთი გაგრელი, გვარად გეგეჭკორი. ტყვედ იყო აფხაზებთან, დედამისმა საკუთარი ძვირფასი სამკაულები გაუგზავნა აფხაზებს მის გამოსახსნელად და ასე გაათავისუფლეს. მე შემიძლია მას დავუკავშირდე. ის დაადასტურებს ამ ფაქტს.

**მურთაზ ჭელიძე**: – აკადემიის კურსანტები რომ ჩამოიყვანეს, ბიჭები, 29 აგვისტო იყო, დაღლილი იყვნენ, შორი გზა ჰქონდათ გამოვლილი. ჩაეძინათ და მძინარეებს ყველას ყელი გამოჭრეს.

ამ ფაქტის დადასტურება შეგიძლიათ პოლიციის აკადემიაში. იქ გვარები არის გამოკრული სპეციალურ სტენდზე. ბიჭებს ხორხიდან ენა ჰქონდათ ამოცლილი ე.წ. „კოლუმბიური ჰალსტუხები“ ჰქონდათ გაკეთებული.

მე არავის ვაყენებ შეურაცხყოფას, მაგრამ არაადამიანია, ვინც ამბობს, რომ აფხაზეთში ქართველებს ყელს არ ჭრიდნენ, თავს არ კვეთდნენ.

**ვლადიმერ (სიომა) ბარქაია**: – ეს იყო პირდაპირი გენოციდი. ადამიანებს ხვრეტდნენ იმის გამო, რომ იყო ქართველი.

**მურმან ოკუჯავა**: – გაგრაში ომის დაწყებიდან თვენახევრის განმავლობაში ვიყავით. დამისახელოს ვინმემ თუნდაც ერთი აფხაზი იმ თვენახევრის განმავლობაში, ვინც ქართველმა მოკლა.

მე შემიძლია დაგისახელოთ ერთი აფხაზი, რომელიც ქართველმა მოკლა. მათ ერთმანეთში კონფლიქტი ჰქონიათ 10 წლის წინ და ის მოკლა ქართველმა. ეს მოხდა სოფელ კოლხიდაში. აფხაზებმაც იციან იმ კონფლიქტის შესახებ და ქართველებმაც, რომ ეს საომარი კონფლიქტის შედეგი არ იყო, პირადი ამბავი იყო. დაგვისახელონ და გვაჩვენონ აფხაზებმა თავიანთი ხალხი, ვინც ქართველებმა მოკლეს, აწამეს, გააუპატიურეს.

**მურმან ოკუჯავა**: – მე შევხვდი აფხაზეთის ომში ნაომარ აფხაზს. ნეიტრალურ ადგილას შევხვდით. ვუთხარი – თუ შერიგებაზე მიდგება საქმე, ჩემისთანა სუფთა ხელებით ვინც იქნება, იმას შევურიგდები-მეთქი. ჩვენ მაინც დავბრუნდებით, მაგრამ თუ კაცი კაცურად ომობდა, იმას კიდევ შე-




დობიანი ქართველი მოსახლე მოკლეს.

არ გამოვრიცხავ გათეთრების სანაცვლოდ, რომელიც აფხაზური სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის არსებობის გამართლებისთვის აგორდა, ანქვაბმა დიდი მადლიერების ნიშნად ქართველ ხალხს ბოდიშიც კი მოუხადოს ნებისმიერი ომისთვის დამახასიათებელი ძალადობის გამოვლინების ცალკეული შემთხვევების გამო. შესაძლოა, ამისთვის უახლოეს მომავალში აფხაზების მიერ დაიდგას პაატა-შოუ, რომელიც ომის შედეგად უგზოუკვლოდ დაკარგულ ქართველთა ცხედრების გადაცემის ყალბი ცერემონიალით დაგვირგვინდება. ეს იქნება სწორედ ის მადლიერების ხარკი, რომელსაც აფხაზური მხარე ზაქარეიშვილს გენოციდის გათეთრებისთვის (ომის შემდგომ 5000-მდე დახვრეტილი ქართველის ჩათვლით) მადლობის ნიშნად გადაუხდის. ამ ყალბი ცერემონიალის მსვლელობისას ანქვაბს შესაძლოა, ცრემლის კურცხალიც კი ჩამოუვარდეს, რის ფონზე ზაქარეიშვილი მისი „წინასწარმეტყველური“ ნიჭის გამო - „რიტორიკა შეიცვლებაო“ გმირად გამოცხადდება. გულუბრყვილო ქართული საზოგადოება კი შეიძლება აღტაცებული შეხვდეს ამ მზაკვრულ ხაფანგს, რომელიც საბოლოოდ სახელმწიფოებრივი სუიციდი იქნება.

შეგახსენებთ, რომ 2012 წლის 12 ოქტომბერს პაატა ზაქარეიშვილმა მისი ჯერ კიდევ რეინტეგრაციის სახელმწიფო მინისტრის პოსტზე კანდიდატობის პერიოდში გაჟღერა ოპრიმისტური განცხადება იმის თაობაზე, რომ აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტის **ალექსანდრე ანქვაბის** რიტორიკა საქართველოსთან პირდაპირი დიალოგის თაობაზე ექვს თვეში შეიცვლება და მას ასეთი განცხადებების გაკეთება არ დასჭირდება.

„ამის შესახებ ექვსი თვის შემდეგ მკითხეთ. ანქვაბი აკეთებს იმ განცხადებას, რაც უნდა გააკეთოს, მაგრამ მთავარი განცხადებები კი არა, საქმეებია. ექვსი თვის შემდეგ ჩვენ ვნახავთ ისეთ დინამიკას, რომ ანქვაბს ასეთი განცხადებების გაკეთება არ დასჭირდება“, - აცხადებს ზაქარეიშვილი.

შეგახსენებთ, რომ ზაქარეიშვილის ეს ოპტიმისტური პასუხი გაჟღერდა ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტის განცხადებაზე იმის შესახებ, რომ საქართველოსთან პირდაპირი ორმხრივი მოლაპარაკებები გამორიცხულია.

“ჩვენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხები არ გვაინტერესებს, დევნილების თემას და ა.შ., შექმნილ პოლიტიკურ რეალობასთან საერთო არაფერი აქვს. ჩვენ საერთაშორისო გარანტიებით საომარი მოქმედებების განუახლებლობის იურიდიული ვალდებულების შესახებ შეთანხმება უნდა განვიხილოთ. სხვა საკითხები არ გვაინტერესებს”, — აცხადებს ანქვაბი.

რეინტეგრაციის მინისტრის ოპტიმისტურმა პასუხმა აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტის მბრძანებლურ ტონზე არაერთი ობიექტური კითხვა წარმოშვა. კერძოდ, რას გულისხმობდა ზაქარეიშვილი, როცა ამბობდა ანქვაბს ასეთი განცხადებების გაკეთება არ დასჭირდებაო? რა სახის არგუმენტით აპირებდა ზაქარეიშვილი დე ფაქტო პრეზიდენტისთვის აპელირებას? კონკრეტულად რა ფაქტორი გამოიწვევდა ანქვაბში ფერისცვალებას, რომელსაც რეინტეგრაციის მინისტრი წინასწარმეტყველებდა? რა შინაარსობრივი დატვირთვის მქონე ქვეტექსტი ჩაიდო

16 gv.

**დამოუკიდებელი სასამართლო ექსპერტიზის ცენტრი**
**INDEPENDET CENTRE OR FORENSIC EXPERTISE**

№ 03/06 07 მაისი 2013 წ.

ბ-ნ. ზურაბ ჩიქოვანს

თქვენი 2013 წლის 06 მარტის განცხადებაში აღწერილ ე.წ. “ექსპერტის” მიერ მოყვანილ გარემოებასთან დაკავშირებით გპასუხობთ:

საზოგადოდ თანატოლოგიაში და სასამართლო მედიცინაში ცნობილია, რომ სიკვდილის შემდგომ მაშინვე ვითარდება ე.წ. გვამური ცვლილებები. კერძოდ, ადგილი აქვს ჯერ ნაადრევ გვამურ ცვლილებებს, როგორიცაა გვამური გაციება, გაშეშება, გვამური ლაქების ჩამოყალიბების პროცესი და გვამის გაშრობა, ხოლო უკვე მოგვიანებით დროის სტადიაზე, დაახლოებით 24-48 საათის გავლის შემდგომ, იწყება მოგვიანებითი გვამური ცვლილებების განვითარება, როგორიცაა ლპობა, მუმიფიკაცია, ქონცვილი, ტორფით დათრიმვლა. მოგვიანებითი გვამური ცვლილებების განვითარების პროცესი საკმაოდ ხანგრძლივია და ძირითადში მოიცავს რბილი ქსოვილების და შინაგანი ორგანოების აუტოლიზურ პროცესებს. ხოლო რაც შეეხება თავის ქალას მოცილებას სხეულიდან, მოგვიანებითი გვამური მოვლენების განვითარების შედეგად (ლპობა და ა.შ.) ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ ამის განვითარება აბსურდია და მოკლებულია ყოველგვარ რეალობას. თავის მოცილება სხეულიდან არამც თუ დაუმარხავი გვამიდან ერთ-ორ დღეში, არამედ წლების განმავლობაშიც პრაქტიკულად ძნელი წარმოსადგენია. თავის მოცილება სხეულიდან შესაძლებელია მხოლოდ გარეშე ფიზიკური ძალის ზემოქმედებით, როგორიცაა მჭრელი, მჭრელი თვისებების მქონე საგნის მოქმედებით და სხვა.

პატივისცემით,

ალექსანდრე გეჯაძე

ცენტრის დირექტორი
სასამართლო სამედიცინო ექსპერტი
სახელმწიფო სერტიფიკატი N ...
სპეციალობით მუშაობის სტაჟი ...

ქ.თბილისი, დ.აღმაშენებლის ხეივანი მე-9 კმ. ტელ: 214 41 62, 218 24 47, 577 40 41 52
info@expertise.ge www.expertise.ge



იძლება შევურიგდე, მაგრამ ქართველის სისხლი რომ სცხია ხელზე, იმ ხელს ნუ გამომიწვდის შესარიგებლად-მეთქი.

თქვენ რომ დაბრუნდეთ აქ, ჩვენ გაგვყრით ისევ მთებში და ამას არ დავუშვებთო. თანაც თუ ასე ჩავყევით, ის ვინ მოკლა, ეს ვინ აწამა, ვიღაც ჩემი ნათესავიც აღმოჩნდება და ისევ სისხლისღვრა დაიწყებაო. თუ უდანაშაულოები არ დაუხოცავთ, რისი ეშინიათ?!

**ვლადიმერ (სიომა) ბარქაია**: — ტრაქტორზე რომ მოაბეს კაცი და სიკვდილამდე რომ ათრიეს?

გუდაუთაში გული ამოჭრეს ადამიანს.



ჟიული შარტავას, გურამ გაბისკირიას, რაულ ეშბას, მამია ალასანიას, მღვდელს — მამა ანდრიას, დიაკვანს იური ანუას — აფხაზს, რომელიც უდანაშაულო ადამიანებს იცავდა და ამის გამო დახვრიტეს, ამ ადამიანების მკვლელები არ უნდა დაისაჯონ? არ უნდა დაისაჯოს ის ადამიანები, რომლებმაც 101 წლის მოხუცი დახვრიტეს?

**მურმან ჩქოტუა**: – 1992 წლის აგვისტოში ჩემი სოფელი ალახაძე იზოლაციაში აღმოჩნდა. სოფელი აფხაზების ხელში იყო. რიწიდან ჩამოდიოდნენ კონფედერანტები. მათ აბინავებდნენ ბიჭვინთაში.

14 აგვისტო იყო. ჩემი შვილი აბარებდა სოხუმში უნივერსიტეტში და მასთან ერთად ვიყავი მეც. იქ გავიგონე პირველი ტყვიის ზუზუნი, როგორც გითხარით, სოფლის საბჭოს ვხელმძღვანელობდი და არეულობა რომ დაიწყო, იძულებული გავხდი სოხუმიდან სოფელში დავბრუნებულიყავი. მე ჩავიტანე ალახაძეში სოხუმის ამბები. 10 დღეში ყველა გზა გადაიკეტა, სოფელში ჩავიკეტეთ. მაშინ აიყვანეს მძევლად ბიჭვინთელი შუქრი მგელაძე და თემურ კობიაშვილი, ისინი მილიციის შენობაში ჰყავდათ. მაშინ მოსულა ერთი ჩრდილოკავკასიელი და უთქვამს: ქართველების სისხლი მწყურიაო, ამოუღია დანა, გადაუჭრია ქართველისთვის ვენა, სისხლი ჭიქაში ჩაუსხამს და დაულევია. დანაზე სისხლი იყო მიმხმარიო, — თქვა მერე სასწაულად გადარჩენილმა შუქრი მგელაძემ. შუქრი ხუთი წლის წინ გარდაიცვალა, თემურ კობიაშვილი ცოცხალია და თვითონ მოგიყვებათ ყველაფერს.

ბზიფიდან 250 ადამიანი სოფლიდან ამოწერეს, პასპორტები ჩამოართვეს, ავტობუსში ჩასვეს, ადლერში ჩაიყვანეს და იქ დატოვეს.

ხ.-ია. და ა.-ანი დაიჭირეს აფხაზებმა 29 აგვისტოს. ჯერ სასტიკად აწამეს, მერე ცოცხლად დამარხეს და თავში უშენდნენ ტყვიებს, ვინ სად მოახვედრებდა.

ოჩამჩირის რაიონში სოფელ ახალდაბაში რომ ფაქტი მოხდა — 7 წლის ასაკიდან ბავშვები გააუპატიურეს აფხაზებმა.

რომელი ერთი მოგიყვეთ — გუდაუთაში გოგლიძე გამოაბეს ტრაქტორზე და ათრიეს სიკვდილამდე.

სხვას, ცოცხალ ადამიანს, გული ამოუღეს და ძაღლებს გადაუგდეს.

ესაა სიმართლე. სიმართლის მოსმენა რატომ არ უნდათ.

**მერაბ ნადარეიშვილი**: — დოკუმენტური მასალა გვაქვს, ადამიანები არიან მოწმეები ბევრი ტრაგედიის, არავინ უკან არ იხევს.

**მურმან ჩქოტუა**: — მე მოგართმევთ, მაქვს 5000 დახვრეტილი ქართველის სია, სად ცხოვრობდნენ, რომელ სოფელში.

ვინც ამ ფაქტებს უგულებელყოფს, პირდაპირ ვამბობ: ის არის მოღალატე!

**ვახტანგ ბარკალაია**: — აფხაზეთში მაშინ ჩავედი, როცა მამაჩემის სიკვდილის ამბავი გავიგე. იქ ჰოსპიტალში ვმუშაობ-



დი. ექიმი ვარ და ჩემი პროფესიიდან გამომდინარე, შემიძლია გითხრათ — შეუძლებელია ორ დღეში გვამი ისე გაიხრწნას, რომ თავი მოსძვრეს. ეს აბსურდია.

ნესტიანი მიწა არაფერ შუაშია. ხერხემლის სვეტი, რომელიც გადაჯაჭვული ძვლებისგან შედგება, როგორ დაიშლება ორ დღეში?!

ჩემს თვალწინ ძვრებოდა თავები გვამებსო, რომ ამბობს ზაქარეიშვილი, ეს არის მტკნარი სიცრუე. ამის ლაპარაკი არის დანაშაული. ვის საქმეს აკეთებს პაატა ზაქარეიშვილი — აფხაზების თუ რუსების? ქართველების საქმეს რომ არ აკეთებს, ეს ცხადია.

**მურმან ჩქოტუა**: — აფხაზეთში ქართველების წინააღმდეგ მხოლოდ აფხაზები არ იბრძოდნენ. მაქვს დოკუმენტები, ომის დაწყებამდე ჩამოჰყავდათ ხალხი სირიიდან, თურქეთიდან, მერე წერდნენ ამ ხალხს აფხაზეთში. განცხადება იწერებოდა მინისტრის მოადგილის სახელზე, რადგან თვით მინისტრი ქართველი იყო...

ოჩამჩირელმა ლესიკა დანელიამ, ტამიშში, თვითონ ორივე ფეხში დაჭრილმა თანამებრძოლებს უთხრა: — თქვენ წადით, ბიჭებო, მე ტყვიით დაგაზღვევთო, აფხაზები რომ მიუახლოვდნენ, გახსნა ორივე ხელით ყუმბარა, აფეთქდა და 15 აფხაზიც თან გაიყოლა. სოხუმში დავმარხეთ პარკში. ამ გმირების სულებს, მათ სახელებს რას ეუბნებიან, ტყუილს რომ ლაპარაკობენ.

**მურთაზ ჟღენტი**: — მურ-



თაზ ზარქუა, ეროვნული კაცი, დაიჭირეს, ბიჭვინთაში წაიყვანეს მანდარინების პლანტაციაში, საბჭოს თავმჯდომარე იყო, აწამეს, ხელ-ფეხი დაამტვრიეს, თვალები დათხარეს, ეკითხებოდნენ: „ეტა ზემლია გრუზინსკაია, ილი აბხაზსკაია?“ ვერაფრით ათქმევინეს აფხაზეთისაო. „ეტა გრუზინსკაია ზემლიაო“, იმდენი იძახა, ბოლოს პირი მიწით ამოუვსეს და სახეში ორლულიანი თოფი ესროლეს.

16 gv.

15 gv.

ზაქარეიშვილის ფრაზაში - „მთავარი განცხადებები კი არა, საქმეებია“?

დღეს დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ზაქარეიშვილის „ოპტიმიზმში“, რომელიც მან 24 ოქტომბერს დააანონსა, გაგრაში ჩადენილი ეთნოწმენდის გაყალბებისა და გათეთრების მიზნით დაწყებული პროპაგანდა იგულისხმებოდა. აშკარაა, რომ ეს აღვირახსნილი და ბინძური კამპანია, რომლის აქტიური მონაწილეც რეინტეგრაციის სახელმწიფო მინისტრი გახლავთ ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე იგეგმებოდა. დეფაქტო პრეზიდენტის რიტორიკის შეცვლაც ზაქარეიშვილის მიერ გაგრის სტადიონზე ქართველებისთვის თავების მოკვეთის გათეთრების მიზნით შეთხზული შემზარავი ლეგენდის სანაცვლოდ უნდა მომხდარიყო. ამიტომაც, რეინტეგრაციის მინისტრი აფხაზებთან ერთად კოორდინირებულად და ურთიერთ შეთანხმებულად პირდაპირ საქმეზე გადავიდა და გაგრაში ჩადენილი ეთნოწმენდის გათეთრებას შემზარავი სიცრუით შეუდგა.

ზაქარეიშვილმა გადაცემა „პოლიტმეტრში„ ასეულობით თავმოკვეთილი ქართველის გვამი თავის საქმიანობასა და ნესტიან კლიმატში გააფორმა.

„მე ვასვენებდი იმ გვამებს, რომლებსაც თავები არ ჰქონდათ. რატომ არ ჰქონდათ? იმიტომ რომ, ზემოდან ეყარა გვამები მიწაზე და აფხაზეთი მოგეხსენებათ, ნესტიანი მხარეა. საკმარისია, გვამი ზემოდან იყოს ერთი თუ ორი დღე, ბოდიში ამ ნატურალიზმისათვის, რომ უკვე სხეული იშლება. მარტო მე ვაკეთებდი ამას. არავინ არ მეხმარებოდა. როგორც კი გვამს მოკიდებდი ხელს, იშლებოდა და ხშირად ტომარაში ვდებდით ცალკე გვამს და ცალკე თავს. კიდევ უარესი რაღაცები შემიძლია მოვყვე. ამიტომ ხშირად ჩემი საქმიანობიდან გამომდინარე, მერე მოჰყვებოდა ლეგენდები, რომ თავმოკვეთილი გვამი ჩააბარა პატრონს. მე ხომ კარგად ვიცი რა მოხდა. ჩემი ხელით კეთდებოდა ყველაფერი ესა. ამიტომ მე ვარ ის პირველი ადამიანი, პირველწყარო, რომლის მოქმედებების შემდეგ იწყებოდა ლეგენდები სხვადასხვა მიმართულებით“, - აცხადებს ზაქარეიშვილი.

ზაქარეიშვილის ამ განცხადებაზე ოფიციალური თხოვნით მივმართე დამოუკიდებელი სასამართლო ექსპერტიზის ცენტრს განემარტათ ზაქარეიშვილის განცხადების სრული ტექსტი, რის შედეგადაც მივიღე შემდეგი ოფიციალური დასკვნა.

„საზოგადოდ, ანატომიასა და სასამართლო მედიცინაში ცნობილია, რომ სიკვდილის შემდგომ მაშინვე ვითარდება ე.წ. გვამური ცვლილებები. კერძოდ, ადგილი აქვს ჯერ ნაადრევ გვამურ ცვლილებებს, როგორიცაა გვამური გაციება, გაშეშება,

# „პაატა შოუ“ – საქართველოსთვის სახელმწიფო სუიციდი



გვამური ლაქების ჩამოყალიბების პროცესი და გვამის გაშრობა, ხოლო უკვე მოგვიანებით დროის სტადიაზე, დაახლოებით, 24-48 საათის გავლის შემდგომ იწყება მოგვიანებითი გვამური ცვლილებების განვითარება, როგორიცაა ლპობა, მუმიფიკაცია, ქონცვილი, ტორფით დათრიმვლა. მოგვიანებითი გვამური ცვლილებების განვითარების პროცესი საკმაოდ ხანგრძლივია და ძირითადში მოიცავს რბილი ქსოვილების და შინაგანი ორგანოების ავტოლიზურ პროცესებს. რაც შეეხება თავის ქალის მოცილებას სხეულიდან, მოგვიანებითი გვამური მოვლენების განვითარების შედეგად (ლპობა და ა.შ) ცალსახად შეიძლება ითქვამს, რომ ამის განვითარება აბსურდია და მოკლებულია ყოველგვარ რეალობას. თავის მოცილება სხეულიდან არამცთუ დაუმარხავი გვამიდან ერთ-ორ დღეში, არამედ წლების განმავლობაშიც, პრაქტიკულად, წარმოუდგენელია. თავის მოცილება სხულიდან შესაძლებელია მხოლოდ გარეშე ფიზიკური ძალის ზემოქმედებით, როგორიცაა მჩხავი, მჭრელი თვისებების მქონე საგნის მოქმედებით და სხვა“.

ასევე, ზაქარეიშვილის ამ განცხადებაზე მივიღე პროფესორ პათოლოგ-ანატომის ზაზა თოფურიას შემდეგი სამედიცინო განმარტება.

„ყოვლად გაუმართლებელია (სამედიცინო თვალსაზრისით) ტერმინი „სხეული იშლება“. გვამური გახრწნა და არა შლა მიკრობულ დონეზე ეხება რბილ ქსოვილებს, რაც შეეხება ძვლოვან ქსოვილს, ხერხემლის სვეტს თავის ქალასთან ერთად, ხრწნითი, ანუ ლპობითი პროცესი მის მთლიანობას ათეული და ასეული წლების განმავლობაში ნაკლებად აზიანებს“.

შესაბამისად, უთავო გვამები, რომელსაც ზაქარეიშვილი აფხაზეთის ნესტიან კლიმატს აბრალებს, არა ლპობისა და გვამური დაშლის შედეგია, არამედ გარეშე ფიზიკური ზემოქმედების, როგორიცაა მჩხავი, მჭრელი თვისებების მქონე საგნის მოქმედება. ამიტომ იტყუება ზაქარეიშვილი, როდესაც აცხადებს, რომ საკმარისია ერთი, ორი დღე ნესტიანი კლიმატის პირობებში, რომ თავი გვამს თავისით მოძვრეს.

დღეს ტრაგედიიდან 20 წლის თავზე საქართველოს რეინტეგრაციის მინისტრმა ასეულობით თავმოკვეთილ ქართველთა გვამებს, კიდევ ერთხელ თავები დააჭრა, იმ სიცრუით რომლის მიხედვითაც ცხედრები თავის საქმიანობასა და ნესტიან კლიმატში გააფორმა. ცხადია, ზაქარეიშვილი ომის ლეგენდის შემთხზველიც და გამომგონებელიც თავად ბრძანდება.

არ გამოვრიცხავ სწორედ ამ სიცრუის საფუძველზე აფხაზების მხრიდან უახლოეს მომავალში „პაატა შოუ“ დაიდგას. აფხაზები ზაქარეიშვილს გაგრის სტადიონზე დატრიალებული ტრაგედიისა და ასობით ქართველის თავმოკვეთილი ცხედრის გათეთრებისთვის მადლობას გადაუხდიან ზაქარეიშვილს გვამების გადაცემის ყალბი ცერემონიალით, რაც დასაწყისში ავღნიშნე. გულუბრყვილო, ტოლერანტულ ქართულ საზოგადოებაზე გათვლილი ყალბი „პაატა შოუ“ საქართველოსთვის სახელმწიფოებრივი სუიციდის ტოლფასი იქნება.

რაოდენ უცნაურადაც არ უნდა ჟღერდეს, პაატა ზაქარეიშვილმა აფხაზ სეპარატისტებთან ერთობლივად გამოგონილი შემზარავი ლეგენდით აღიარებითი ჩვენება მისცა ქართულ საზოგადოებას, რომ გაგრის სტადიონზე და ქალაქის მასშტაბით სეპარატისტები მათ მიერ გამოყენებული წამებისა და დასჯის უამრავ მეთოდთა შორის ქართველებს თავებს აჭრიდნენ.

რეინტეგრაციის სახელმწიფო მინისტრმა პაატა ზაქარეიშვილმა ხელ**მეორედ დახვრიტა** მშვიდობიანი გაგრელები, როდესაც გაგრის ტრაგედია ლეგენდად შერაცხა, **მესამედ დახვრიტა,** როდესაც აფხაზური ვერსიის განმტკიცების მიზნით, რომლის მიხედვით გაგრის სტადიონზე ქართველებისთვის თავების მოკვეთას ადგილი არ ქონია, შემზარავი სიცრუე გამოიგონა ნესტიანი კლიმატის გამო სხეულს თავმოცილებული გვამების შესახებ, **მეოთხედ დახვრიტა** და თავები მოკვეთა მას შემდეგ, რაც ჩემს მიერ „საერთო გაზეთში“ 24 აპრილს გამოქვეყნებული სტატიის შედეგად- „დავლური ცხედრების გარშემო“ - პაატა ზაქარეიშვილმა აფხაზეთის ომიდან 20 წლის თავზე ასეულობით თავმოკვეთილ ქართველს თავისი შემზარავი სიცრუით ხელმეორედ მოჰკვეთა თავები“, ინტერნეტ სივრციდან გააქრო გადაცემა “პოლიტმეტრში” მიცემული ინტერვიუდან მის მიერ შეთხზული ლეგენდის ფრაგმენტი. გამომდინარე ამ დანაშაულებრივი ქმედებიდან ზაქარეიშვილს თავისუფალ მედიაზე ზეწოლაში ვადანაშაულებ.

და ვიმეორებ, რომ ბოლო საგანგაშო განცხადებებიდან გამომდინარე სახელმწიფო ღალატში ვდებ ბრალს, რადგან მის მიერ შეთხზულ ლეგენდაში აშკარად იკვეთება სამსახურებრივი გულგრილობის, კვალის განზრახ დაფარვის, სამსახურებრივი მოვალეობის ბოროტად გამოყენების, სიმართლის მიჩქმალვა-მიჩუმათებისა და სამხედრო დანაშაულის კვალი. ამიტომ მოვითხოვ ზაქარეიშვილის შემზარავი ლეგენდა ნესტიანი კლიმატის გამო სხეულს თავმოცილებული ასობით ქართველის გვამის თაობაზე სამართალდამცავი ორგანოების მიერ საგანგებო და საფუძვლიანი შესწავლის საგანი გახდეს.

**ზურაბ ჩიქოვანი**
**ტელ**: 599568778
**Facebook: Zurab Chikovani**

**P.S.** მადლობას ვუხდი დამოუკიდებელი სასამართლო ექსპერტიზის ცენტრის დირექტორს **ალექსანდრე გეჯაძეს**, ასევე თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორს პათანატომს **ზაზა თოფურიას**, „საერთო გაზეთის“ რედაქტორს **ვახტანგ ხარჩილავას**, გაზეთ „ასავალ-დასავალის“ რედაქციას და პირადად ჟურნალისტს **გიორგი გიგაურს** საქართველოს ღირსების დაცვის საკითხში გაწეული თანადგომისთვის.

15 gv.

# მე ვარ მოწმე...

ქართული სკოლის მასწავლებელს 75 წლის ქალს, რახან ქართული სკოლის პედაგოგი იყო, დახვრიტეს, დირექტორიც ზედ მიაკლეს.

**მურმან ჩქოტუა**: – მარტო ჩემს სოფელში 50 კაცია. უდანაშაულოდ მოკლული, ყველა მშვიდობიანი მოქალაქე.

**მურმან ოკუჯავა:** –ცხედრის დასაფლავების საშუალებას არ აძლევდნენ ხალხს, ღორები ჭამდნენ მიცვალებულებს. „კოლუმბიური ჰალსტუხი“ ჩვეულებრივი ამბავი იყო, ცოცხალ ადამიანს სკალპს ხდიდნენ, ერთი ხეზე მიაკრეს და დაკოდეს.

**მერაბ ნადარეიშვილი**: – ამას აკეთებდა ყველა, ზოგი აფხაზი, ზოგი – სომეხი, რუსი, დაქირავებული. რომელი ოჯახის წევრიც არ ომობდა, ყიდულობდნენ მოხალისეს, აძლევდნენ თანხას და ის ომობდა მის მაგივრად.

ისეთი ფაქტები არსებობს, გვერდს ვერავის აუვლის.

**ნ.ხ**. – არსებობს ჩანაწერები იმის შესახებ თუ რა საშინელებები ხდებოდა გაგრაში. რაც შეეხება გაგრის სტადიონზე ქართველების თავებით თამაშს, იმ ხანებში ამაზე ბევრი ლაპარაკობდა. ქართველები გარეთ ვერ გამოვდიოდით, ვიმალებოდით, რადგან ეს ძალიან საშიში იყო. ერთ საოცარ ამბავს მოგიყვებით, კვანტალიანის ბატალიონის მებრძოლებზე, რომლებსაც „კოლუმბიური ჰალსტუხები“ გაუკეთეს აფხაზებმა. ისინი იმყოფებოდნენ ლენინის ქუჩაზე არსებულ არქიტექტურული ხელოვნების სახლში, ყველანი ახალგაზრდები იყვნენ. როგორ და რატომ გააკეთეს ეს აფხაზებმა, არავინ იცის, თუმცა ყველა ლაპარაკობდა, რომ ბიჭებს „კოლუმბიური ჰალსტუხები“ გაუკეთეს. მაშინ გავიგე პირველად, რას ნიშნავდა ეს. იმ ხანებში გავრცელდა სწორედ ხმები სტადიონზე ქართველების თავებით ფეხბურთის თამაშის შესახებ. აფხაზები დღემდე მალავენ ასეთ ფაქტებს, არადა, სწორედ აფხაზებისგან გავრცელდა ეს ამბავი, რადგან ქართველები მაშინ ქუჩაში, როგორც გითხარით, ვერ გამოდიოდნენ. ჩვენ დამალვაც არ შეგვეძლო, არც კი ვიცოდით, სად იყო უსაფრთხო ადგილი, სად უნდა წავსულიყავით. ჩვენ, მე და მამაჩემი და კიდევ შვიდი ოჯახი ძალიან კარგი ერთი აფხაზი ქალბატონის სახლში ვიმალებოდით. მან გვიხსნა გარდაუვალი სიკვდილისგან. როცა გამოვედით იქედან „წითელი ჯვრის“ დახმარებით საკუთარი თვალით ვნახე ქუჩებში დაყრილი გვამები, უამრავი, ძალიან ბევრი. ჩემს მეხსიერებაში ესენი დარჩა, არა როგორც სუდარაგადაფარებული, არამედ პირდაპირ მიწაზე დაყრილი მკვდრები.



ახლა როცა ამბობენ, რომ მსგავსი ტრაგედიები არ ყოფილა, ეს არის დიდი ცოდვა ღვთის წინაშე, მიცვალებულების წინაშე, სინდისის წინაშე.

არ შემიძლია არ გამახსენდეს (ტირის.) ჩემი მეგობრები: მიშა ცაგარელი, გურამ გელოვანი, ისინი დახვრიტეს ჩვენს თვალწინ. უთხრეს: მუხლებზე დადექითო, ამათ არ დაიჩოქეს და დახვრიტეს.

ზაქარეიშვილი, მგონი, ვერ აცნობიერებს, რას ლაპარაკობს, ვერ წარმოუდგენია, რა საშინელებები ხდებოდა იქ.

ცნობები თავების მოკვეთის შესახებ და მერე ფეხბურთის თამაშის, ჩვენ იმ პერიოდში გავიგეთ. კიდევ ვიმეორებ – ამას ლაპარაკობდნენ თვითონ აფხაზები. ახლა მალავენ ამ ფაქტებს და ამბობენ, რომ ეს იყო ქართველების მიერ მოგონილი ზღაპრები. მე მათი მესმის, რადგან ეს არის კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული. მაგრამ, როცა ქართველი ლაპარაკობს, რომ ასეთი ფაქტი არ ყოფილა, ეს ყოველგვარ საზღვრებს სცდება. მე დადასტურებით შემიძლია გითხრათ, რომ ეს მოხდა. ესაა ფაქტი და არ შემეძლო ასეთი რამ გამომეგონებინა, არც კი დამესიზმრებოდა. გაგრაში მომხდარ უდიდეს ტრაგედიაზე, იმ საშინელებებზე, რაც იქ ხდებოდა, არავის შეეძლო ეთქვა, მათ გარდა, ვინც იმ ხანებში გაგრის ქუჩებში თავისუფლად დადიოდა და ესენი იყვნენ აფხაზები. მათ მოჰქონდათ ამბები და მათგან ვიგებდით ქართველების შემზარავ მკვლელობებზე. შემდეგ კი ვნახეთ ქუჩაში დაყრილი უამრავი მშვიდობიანი მოქალაქე, დაჩეხილი და დასახიჩრებული გვამები. ესაა სიმართლე!!!

# ერთი ვალმოხდილი გუშაგის ისტორია

ჩვენი სოფელი კოდისწყარო დუშეთის რაიონში მჭადიჯვართან ახლოს მდებარეობს. მჭადიჯვრის ტერიტორიაზე ადამიანს ადრინდელ და გვიანდელ ბრინჯაოს ხანაში უცხოვრია, როცა დავით ქართლის მეფემ ქვეყანა ოთხ სადროშოდ დაჰყო, ერთ-ერთი დროშა ბაგრატ მუხრან-ბატონს ჩააბარა. ამ სადროშოში სამუხრანბატონოს გარდა ქსნისა და არავის საერისთავოები შედიოდნენ. კახეთიდან სადროშოს გზა მუხრანის ველზე გადიოდა. ბაგრატმა მუხრანში ციხე გაამაგრა. ვახუშტის თქმით, ბაგრატმა აღაშენა მუხრანის ციხე. ვახუშტი სამუხრანატონოს ზედმიწევნით იცნობდა. მუხრანბატონები საუკუნეების განმავლობაში ცდილობდნენ სხვადასხვა კუთხიდან მოსული გლეხობისათვის თავშესაფარი მიეცათ. ამ გზით მიწები აეთვისებინათ და სარგებლობა ენახათ. მჭადიჯვრის მახლობლობაში მდებარე სოფლები და რა თქმა უნდა კოდისწყაროც სამუხრანბატონოში შედიოდა.

მჭადიჯვრის შუაში, მდინარე ნარიყალას მარჯვენა მხარეს დგას ხუროთმოძღვრული ანსამბლი – ეკლესია და ციხე. მთავარანგელოზის ცენტრალურ გუმბათოვანი ეკლესია აგებულია 1668 წელს დომენტი კათალიკოსის მიერ. ეკლესიას აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან ეკვრის ციხე, რომელიც კონსტანტინე მუხრან-ბატონს აუშენებია 1746 წელს. ციხის კუთხეებში აღმართულია მასიური კოშკები. კოშკებსა და გალავანს დატანებული აქვს სათოფურები და საზარბაზნეები.

1754 წელს ქართველთა და ლეკთა შორის დიდი ბრძოლა გაიმართა. ნურსალღ ბეგის მრავალრიცხოვანმა ლაშქარმა კახეთის შემდეგ ააოხრა არაგვის საერისთავო, დაწვა ერისთავების სასახლე დუშეთში, მჭადიჯვრის ციხე-გალავანს შემოერტყა. ბრძოლა 6 დღეს გაგრძელდა. 16 აგვისტოს ქართველთა ლაშქარმა ერეკლე II-ს ხელმძღვანელობით დაამარცხა ლეკთა ლაშქარი.

ასეთი მდგომარეობით თავის დასაცავად მთავარი გზიდან მოშორებული ჩვენი სოფელი შესანიშნავი ადგილია. კოდისწყაროს ციხე-დარბაზებში ოდესღაც შეძლებული ფეოდალი ცხოვრობდა ბუხრან-ბატონის გვარიდან. კოშკი შედარებით უკეთ არის შემორჩენილი, სასახლე კი ნანგრევებებშია ჩაფლული. კოშკი 4-სართულიანია, თუმცა უკანასკნელი სართული სრული არ არის, იგი ორფერდა სახურავის ქვეშ ყოფილა მოქცეული. კოშკში შესვლა ხდებოდა ჩრდილოეთიდან პირველ სართულზე, სართულები ერთმანეთთან დაკავშირებულია კედლების გაყოლებაზე მიმავალი ქვის კიბით. სართულებს შორის გადახურვა და სახურავიც ხის კონსტრუქციის ყოფილა. მეორე და მესამე სართულებს შორის გადახურვის შუაში მოთავსებული ყოფილა დაბალი სათავსოები, რომელთა დანიშნულება სამალავი უნდა ყოფილიყო. ყველა სართულებზე განლაგებულია ბუხარი და 4-6 სათოფური. სათოფურები მაღალი და განიერია ცეცხლმსროლელი იარაღის გამოსაყენებლად. ეს მიგვანიშნებს, რომ ნაგებობა XVI საუკუნეში არის აგებული. კოდისწყაროს კოშკი მასიურია და მონუმენტალურ შთაბეჭდილებას ტოვებს.

სასახლე დიდი ზომის ორსართულიანი ნაგებობა ყოფილა, ძლიერი დაზიანების გამო გეგმის აღდგენა ძნელდება. შენობა ძირითადად, აგურით იყო ნაგები რიყის ქვის გამოყენებით. კოდისწყაროს სასახლის მშენებლებზე არაფერია ცნობილი. ანალოგიების მიხედვით შეიძლება იგი XVII საუკუნით დათარიღდეს.



კოდისწყაროს სასახლის მახლობლობაში არის წმინდა გიორგის სალოცავი. ვფიქრობთ, სალოცავიც სასახლისა და კოშკის მეპატრონის დაკვეთით არის აგებული. წმინდა გიორგი ხომ ტყვეთა განმათავისუფლებელი, გლახაკთა ხელის აღმპყრობელი, სნეულთა მკურნალი და მეფეთა უძლეველი წინამძღოლი იყო. დღეს წმინდა გიორგის სალოცავიც ძალიან დაზიანებულია და რესტავრაციას საჭიროებს.

ამჟამად სოფელ კოდისწყაროს ტერიტორიაზე ცხოვრობს ოსური მოსახლეობა. ისტორიულად ცნობილია, რომ ქართლში გორისა და დუშეთის მაზრაში ოსური ახალშენები გაჩნდა XVIII საუკუნეში.

კოდისწყაროს სასახლე და კოშკი ჩვენი სოფლის ყველა თაობის ახალგაზრდობისათვის საყვარელი და საამაყო ადგილია. მის ყოველ ქვასა და აგურს მოწიწებით ვეპყრობით. სასახლის აღდგენა ძნელია, მაგრამ კოშკისა და წმინდა გიორგის სალოცავის გამაგრება-რესტავრაცია ჯერ კიდევ შესაძლებელია. დაბეჯითებით გამოვთქვამთ იმედს, თუ ახალი მთავრობა ყურადღებას მიაქცევს ამ ისტორიული ძეგლის დაცვას და გამაგრებას, ჩვენი სოფლის ახალგაზრდობა თავის ღირსეულ წვლილს შეიტანს ამ მამულიშვილურ საქმეში.

ასეთია ერთ-ერთი ვალმოხდილი გუშაგის ისტორია.

„საერთო გაზეთს" ვთხოვთ აღგვიძრას შუამდგომლობა, რომ მოხდეს ამ ისტორიული ანსამბლის რესტავრაცია.

**კოდისწყაროს ახალგაზრდების ჯგუფის ხელმძღვანელი**
**ანდრო ბიგანაშვილი**

# კუკიის წმინდა ნინოს ეკლესია

სოფელ კუკიის ადრინდელი (XVII-XVIII) სახელია ახალსოფელი, წერილობით წყაროებში კუკია გვხვდება, ვახუშტი ბატონიშვილის, „აწერა სამეფოსა საქართველოში" მოცემულ სოფელთა სიაში.

მე-18 საუკუნეში 70-80-იან წლებში „კუკია" სადედოფლო მამული ყოფილა. მეფე ერეკლე მე-2-ის მეუღლემ დარეჯანმა თავის კუთვნილ სომხით-საბარათიანოში მდებარე სადედოფლო სოფელი წინწყაროდან ქალაქისპირა სოფელ კუკიაში გადმოასახლა 30 კომლი ქართველი გლეხი 16 კომლი განჯელი სომხის ოჯახი. იოანე ბატონიშვილის მიერ 1797-1799 წლებში შედგენილი ქართ-კახეთის სოფლების აღწერაში სოფელი კუკია მოხსენიებულია, როგორც ნაშენი: ნაშენი მოსახლენი.

თვით სიტყვა კუკიის ახსნა –„ისტორიკოსის თეიმურაზ ბერიძის განმარტებით – ქართულ სიტყვაში „კუკი"-ადამიანის გამომსახველ თოჯინას სახელწოდებას უკავშირდება და მას იყენებდნნ მოსავლის აღებასა და მიწათმოქმედებასთან დაკავშირებულ რიტუალებში. 1800 წელს შედგენილი თბილისის გეგმის მიხედვით კუკია მტკვრის აღმა, ჩრდილოეთით გაზრდილა. 1818 წელს კუკიაში, ახლანდელი დ. აღმაშენებლის პროსპექტის, მარჯანიშვილის ქუჩისა და მის მომიჯნავე ტერიტორიაზე დასახლებულან გიუტემბეგელი (გერმანია) კოლონისტები, მალე ეს მიდამო ბაღებით და ბოსტნებით დაიფარა. კუკია ქალაქს უხვად აწვდიდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას. 1824 წელს კუკია ჩუღურეთთან ერთად თბილისს მიაკუთვნეს. მე-19 საუკუნის მე-2 ნახევარში კუკიაზე, ნიკოლოზის ქუჩაზე (ახლანდელი ივ. ჯავახიშვილის ქუჩა) მართლმადიდებლური და კათოლიკური ეკლესიები აშენდა, რომლებმაც დღემდე მოაღწიეს.

თბილისის სამრეკლო ეკლესიათა შორის კუკიის სასაფლაოს წმინდა ნინო განმანათებლის სახელზე აშენებული ეკლესია. ეკლესია მაღლობზეა აშენებული და იგი კარგად ჩანს ქალაქის ყოველი მხრიდან. იგი ყურადღებას იქცევს სილამაზით, მაღალი სამრევლოთი, განიერი გუმბათით, რომელსაც ტაძრის მთელი შუაგული უჭირავს. საყდრის ზარებიდან გამორჩეულია ყველაზე დიდი ზარი. იგი ჩამოსხმულია ზარბაზნებისაგან. კუკიის წმინდა ნინოს ეკლესიის შესახებ ვრცელ ინფორმაციას გვაწვდის საქართველოს ეგზარხატის ჟურნალი. მაშინ საქართველოს ეგზარხოსი იყო მეუფე ვლადიმირი. მისი ღვთისნიერი დამსახურება იყო, რომ დღევანდელი მართლმადიდებელი მოსახლეობა ხედავს მოვლილ სასაფლაოს, რომელსაც აქვს ქვის გალავანი. სასაფლაოს ტერიტორია ადრე მოუვლელი იყო. ღამით იყო ყაჩაღთა ბუდე. სასაფლაო ეკუთვნოდა ალექსანდრე ნეველის ეკლესიას. მას შემდეგ რაც ვერის სასაფლაო დაიხურა, ეს ადგილი თბილისის მართლმადიდებელთა სასაფლაოდ იქცა. მეუფე მიტროპოლიტმა ფეხით შემოიარა კუკიის სასაფლაო, დაათვალიერა და ალექსანდრე ნეველის ეკლესიის იმჟამინდელ დიაკვანს ი.ბერიძეს უბრძანა იმ ადგილას ტაძრის აგება, რამდენიმე თვეში თბილისელი მართლმადიდებლებისა და დიაკონ ი.ბერიძის მეცადინეობით კუკიის სასაფლაოზე აღიმართა პატარა და დაბალი ქვის საყდარი, რომელსაც ხის გადახურვა ჰქონდა. (შემდეგ დიაკონი ი. ბერიძე მღვდლად აკურთხეს ამავე ტაძარში). მოაწყვეს კუკიის სასაფლაოც – გაიყვანეს საფლავებს შორის ბილიკები.

რუსეთის იმპერიასთან შეერთებული და ავტოკეფალიადაკარგული საქართველოს გუბერნია, სადაც ქართველი მამულიშვილების დიდ ნაწილს გვარებიც კი რუსულ ყაიდაზე ჰქონდათ გადაკეთებული, მაინც მზად იყო საფუძველი ჩაეყარა ქართული საქმისათვის. რუსეთის სინოდს დაქვემდებარებულმა ქართველმა მართლმადიდებელმა ქრისტიანებმა სწორედ ეგზარხოს ვლადიმირის დახმარებით ააგეს წმინდა ნინო განმანათლებლის სახელობის ეკლესია, რომელსაც კეთილი ადამიანების შემწეობით საუკუნის შემდეგ რუსული გუმბათის ნაცვლად უკვე ქართული გადახურვა ამშვენებს, რომელსაც წმინდა ნინოს ჯვარი ადგას.

კუკიის სასაფლაო ყველაზე ძველია თბილისის მოქმედ სასაფლაოთა შორის. იგი საუკუნეზე მეტს ითვლის, რასაც საფლავის ქვებიც ნათელყოფს. აქ არის დაკრძალული ქართველი დრამატურგი – ავქსენტი ცაგარელი 1902 წ. ლადო აღნიაშვილი 1904 წ. კიდევ უფრო ძველი საფლავის ქვა – 1877-78 წლების რუსეთ-თურქეთის ომში მონაწილე არდაგანის ბატალიონის დაბალჩინოსანთა საძმო საფლავი. აქვე განისვენებენ კუკიის წმინდა ნინოს ეკლესიის მღვდელმსახურნი, ამ ეკლესიის საფუძვლის ჩამყრელი და პირველი საყდრის ამშენებელი დიაკვანი – ი. ბერიძე.

კუკიის უძველესი სასაფლაო თბილისის ისტორიის უმნიშვნელოვანესი ფურცელია, იგი გვაწვდის უამრავ საინტერესო ცნობას.

ყოვლადუსამღვდელოესი ალავერდელი ეპისკოპოსი სტეფანე (ერისკაცობაში ვასილ კარბელაშვილი). 1903-1904 წლებში იყო კუკიის წმინდა ნინოს ეკლესიის მსახური, ასევე 1922-25 წლებში ამ ეკლესიის დეკანოზი. ის თბილისის სასულიერო სემინარიაში ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას და ქართულ გალობას ასწავლიდა იოსებ სტალინს – სტალინი სემინარიის გუნდში გალობდა.



აი, რას წერდა ყოფილი მასწავლებელი – ეპისკოპოსი სტეფანე თავის ყოფილ მოსწავლეს ი. სტალინს (ჟურნალი „ომეგა"):

„სოსო! როგორი რწმენისაც გინდა იყო, მაინც ქართველი კაცი ხარ, საქართველოს მიწამ გაგზარდა და სამშობლოსაც და ერის სიყვრულს ვერ დაშრეტს შენს გულში. გთხოვ! ეკლესიებისა და სარწმუნოების დევნას თავი ანებონ და ლმობირება გამოიჩინონ.

რას აძლევთ ერს, როცა უგინებთ რჯულს, სიწმინდეს, უსპობთ დიდებულ კულტურას, რითაც შეეძლო ქართველ ერს თავი მოეწონებინა კაცობრიობის წინაშე? ნუთუ მარტო მაგისთვის იბრძვი, რომ სომხები, ურიები და ოსები წამოასვათ კისერზედ ქართველ ხალხს? საზღვრები ჩააჭრეს საქართველოს ყველა მხრიდან და აღარ იციან, როგორ შეავიწროვონ ტერიტორია?

ბევრის მნახველს, მომთმენს და ცრემლის შემაშრობელს, იმედია ყურად იღებ ყველა ამას და მოალბობ ჩემს გულს, მომწერ, რომ აღარ განმეორდება ყოველივე და ანუგეშებ შენს მოხუცებულ მასწავლებელს, რომელსაც შესტკივა შენზედ გული.

**1923 წ. 2 მაისი**

მიუხედავად ამისა, 1924 წლის სექტემბერში დახვრიტეს ვასილ კარბელაშვილის ძმები – ანდრია და პეტრე. 1937 წელს კი ვასილის ორი ვაჟი – ელიზბარი და შალვა. 1989 წლის 9 პრილი, თარიღი, რომელმაც უამრავ ქართველს აუხილა თვალი და მოაბრუნა სარწმუნოებისაკენ. ნუთუ რუსის ალესილი ნიჩბები და მახვილი უნდა აღმართულიყო ქართველებზე, რომ რუსული გუმბათი მოხსნოდა მხრებიდან? 9 აპრილმა დაბადა ნანატრი მომავალი თავისუფლების იმედი. ძარღვი დასჭიმოდა ტაძარს, მას ხომ სამშობლოს თავისუფლების ზვარაკად შეწირული თამუნა ჭოველიძის ნაწამები სხეული უნდა ჩაეკრა გულში და პატარა ასულის ზეცადაჭრილი სული შეევედრებინა წმინდა ნინოსთვის.

აპრილის თვეში მიაბარეს, თამუნა ჭოველიძის ნაწამები სხეული წმინდა ნინოს ეკლესიას, მისთვის ყველაზე საყვარელ ტაძარს, ტაძარს სადაც ხშირად დადიოდა თურმე გოგონა და სანთლით ხელში ავედრებდა უფალს საქართველოს მომავალს.

**რუსუდან პატარაია**



# ფიქრები ბოლოჟამის ეკლესიაზე

ზვიად ნოდია

ეს წერილი განაპირობა „ფეისბუქზე“ წარმოქმნილმა პოლემიკამ (ჩემსა და ორ ოპონენტს — „კლაივს“ და „თ.ჭ.“-ს შორის) მართლმადიდებლური ეკლესიურობის საჭირობოროტო თემაზე და ფართო საზოგადოების ხელმისაწვდომობისათვის გადმომაქვს „საერთო გაზეთის“ ფურცლებზე...

ეკლესიას ორმხრივად ებრძვიან — გარედან და შიგნიდან, რის გამოც, არა მხოლოდ მართალ ღვთისმსახურთ არამედ მართმორწმუნე მრევლსაც ევალება ეკლესიის სიწმინდის დაცვა. ხოლო, თუ ეკლესიის ადმინისტრაციული აპარატი ყრუა მართლმხილებლებისადმი, მაშინ, ცხადია მივმართავთ საჯარო, საზოგადოებრივი აზრის მაკოორდინირებელ საინფორმაციო საშუალებებს...

ბრძოლა საკუთარ ცოდვებთან და ეკლესიის დასაცავად გაგრძელდება უკანასკნელ ამოსუნთქვამდე! რადგან, რამდენიმე მღვდელმთავართან, მღვდელთან და მრევლთან, ჭეშმარიტი ანტიეკუმენისტრი ბრძოლის შესახებ განდობის შემდეგ ამ ეკლესიაში მხარდამჭერები ვერ ვპოვე — ამიტომაც, ამ ორი წლის წინ ფეისბუქზე მომიწია ჩვენი ეკლესიის ერეტიულ-ეკამენისტრი ყოფის მხილება, ე.წ. სქიზმადებთან (ჭეშმარიტ ანტიეკუმენისტებთან) ერთად,... რადგან, მათ კი არ ვთვლი განმხეთქილებლებად (მართალია, როგორც სვეტიცხოვლის მრევლი, სხილაძე-წულაძე-აროშვილებთან ერთად არ ვლოცულობ, მაგრამ მჯერა, როცა ეკლესია, ბოლოჟამის ეკლესიის ფორმას მიიღებს, მასში ერთად იქნებიან ჩვენი ეკლესიის მართლები და ე.წ. „სქიზმატებიც“ — მაშინ გამოჩნდება ვინაა ქრისტეს ეკლესიის ერთგული და ვინაა მისი ეკლესიის წევრი) — არამედ იმათ, ვისაც ერესის, უკანონობის და უწესრიგობის გაბატონებით სქიზმა შემოაქვთ ეკლესიაში, რისთვისაც აუქმებენ ყოველგვარ უკანონობაში და ეკუმენიზმში მამხილებელ და ხელისშემშლელ რჯულის კანონს (რომ ინავარდონ!), ხოლო თუკი, ვინმე მიპასუხებს —„დიდი რჯულისკანონი“ არაა გაუქმებულიო, მაშინ, რატომ არ მოქმედებს, ანუ — რად არ არიან განკვეთილნი ერეტიკოსებთან და იუდეველებთან მეფსალმუნე (თანამლოცველი) იერარქები?! მათ ხომ „ეკლესიის სიწმინდე შებღალეს... გადალახეს ზღვარი და როგორც მკვდარი ნაწილები, ისე მოიკვეთებიან ეკლესიის სხეულიდან“... (ოპონენტი —თ.ჭ.) კი, ბატონო, წესით „ეს მოხდება საეკლესიო მმართველობის ხილული ქმედებებით და ღვთის სამსჯავროს უხილავი ძალით (ანუ — უხილავად განკვეთს ღმერთი), მაგრამ ჩვენს საეკლესიო მმართველობას რაიმე ეტყობა წესისა და რიგისა?! და როგორც —„ძაღლი ძაღლის ტყავს არ დაგლეჯს“ — ესენი ერთმანეთს განკვეთენ?! და მაგას არ ვჩივი?!... და ამასვე რომ მიწერთ, ოღონდ, არა ჩვენს მღვდელმთავრებზე, არამედ ფანტაზიურად, ირეალურად, თითქოს მე ობიექტური რეალობა ეკლესიისა არ მიმეთითებინოს თქვენთვის, მოდი და ნუ ჩაუკირკიტდები გამოწვლილვით ყველაფერს...

თქვენი პირველი წინადადება — „ეკლესიის სიწმინდეს ვერ შებღალავს მასში რაიმე ამსოფლიურის შეჭრა, ან ადამიანთა ცოდვები“ (ეს სულ სხვაა და სულ სხვა ეს — „ეკლესიის სიწმინდე შეუთავსებელია ცრუსწავლებასთან და ერესებთან. ამიტომაც იცავს ეკლესია“...) და ბოლო —„ეკლესია მკაცრად იცავს ჭეშმარიტების სიწმინდეს და თავისი გარემოდან თავადვე განკვეთს ერეტიკოსებს“ — მგონია, რომ წინააღმდეგობაშია ერთმანეთთან, ან დასაზუსტებელია. ჯერ ერთი, გააჩნია, ვის „ვერ შებღალავს“? ცხადია, ზეციურ ეკლესიას ეს არ ეხება და მიწიურ ეკლესიასთან არ უნდა გავაიგივოთ ასეთი შემთხვევაში (კონტექსტში); მერე მეორეც, მიწიერი ეკლესიის სიწმინდეს ბღალავს მასში რაიმე ამსოფლიურის შეჭრაც და ადამიანთა ცოდვებიც, რაც ზნეობრივი ქრისტეანობის მნგრეველია და რაც მერე დოგმატურსაც ითრევს და პირიქითაც — დოგმატურის რღვევა ზნეობრივსაც არღვევს და ტრადიციულად ქრისტეან ერს გაამსოფლიურ-გააწარმართებს; ზეციურ მოზეიმე ეკლესიასა და მიწიერ მებრძოლ ეკლესიას შორის მანევრირების საცდური არ გაჩნდება და ეკლესიასაც უკეთ დავიცავთ, თუკი იმას კი არ ვიტყვით, რომ — „ეკლესიის სიწმინდეს ვერ შებღალავს რაიმე“, რომელშიც წუთისოფლის სულიც შეიჭრება, ადამიანთა ცოდვებიც, ღვარძლიც, ბოროტებაც და დოგმატური გადახრებიც. არამედ შებღალავს, მაგრამ ეკლესიის ორგანიზმს გააჩნია იმუნიტეტი უცხო სხეულებისაგან გასანთავისუფლებლად, თუკი ხანგრძლივი პროცესის შეუქცევადობამ. „დიდი რჯულისკანონის“ გაუქმებამ და იერარქიის საყოველთაო ღალატმა არ მოიმწყვდია იგი ჩიხში (ისე როგორც, ახლა მიდის ყველაფერი ჩიხისკენ)... და მაინც, მიუხედავად ყველაფრისა (თუნდაც პეტრეს სამგზის უარყოფისა), მის ეკლესიას ჯოჯოხეთის ბჭენი ვერ მოერევიან, რამეთუ ქრისტეს ყოელთვის ჰყავს მისი სახელით შეკრებილი ორი-სამი ერთგული კაცი, რომლებიც მკაცრად დაიცავენ ჭეშმარიტების სიწმინდეს და მათთან იქნება ქრისტეს ეკლესია (ასეც შეიძლება ითქვას: რამეთუ ქრისტე თავის ეკლესიიანად გადადის სხვაგან. მისი სახელით შეკრებილ ორ-სამ ერთგულთან და მათ შეუბღალავ სარწმუნოებრივ კლდეზე აფუძნებს თავის ეკლესიას; ასე დაიწყო და ალბათ ასე იქნება ბოლოჟამის ეკლესიაც, რადგან სახელმწიფო, ოფიციალური ეკლესია ანტიქრისტული მთავრობის ხელთ იქნება). მანამ, სანამ მიწიერი ეკლესია ებრძვის მისი სიწმინდის შემბღალავს, მისი სიწმინდე არასახარბიელო მდგომარეობაშია — ერეტიკული პროცესი თუ დიდხანს გაგრძელდა ე.ი. იერარქია „შეიბილწა და გამეძავდა“, რის გამოც, მათი ნაწილი (ეკლესია) ან მოწყდება მთლიან ეკლესიას, ან განიკურნება და გადარჩება შენანების შემთხვევაში; მაგალითისთვის, მთელი ბიზანტია ერეტირებული იყო და გუთელი კაცი მცხეთაში ჩამოვიდა გასაეპისკოპოსებლად (ხელდასხმის მადლისთვის) და რა — ერეტირებული ეკლესია ეკლესია არ იყო? (თქვენ წარმოიდგინეთ, სრულიად გაღვარძლებულ ეკლესიაში იფქლი-მართლებიც იყვნენ). იყო, განიკურნა და გადარჩა, რაც ვერ მოხერხდა ლათინო-რომაულ ეკლესიაში ე.ი. პროცესის განმავლობაში თუ იმარჯვა ეკლესიამ — წმიდა მამა, მღვდელმთავარი, მეფე, ერი და ბერი და მოიშორა ან გამოასწორა ბილწი და მეძავი ერესიერარქები, მაშინ მწვალებლობა განგდებულია და ეკლესიაც გადარჩენილია. თუ არადა, მთავრდება ისე, როგორც დასავლეთში, რომელიც დარჩა ქრისტიანობის გარეშე და თუ ასე გავიგებთ გამოდის, რომ მას შეეხო ცოდვა, რომელმაც იმსხვერპლა და მოწყდა ეკლესიას, როგორც მკვდარი ნაწილი, ხოლო ეკლესია კი დარჩა შეუბღალავი. (საუბედუროდ, ამ მკვდარი ნაწილის გაუცოცხლებლად, ანუ დოგმატური მწვალებლობის გამოუსწორებლად — შემოერთებაზეა მსოფლიო საპატრიარქოს გამუდმებული მეცადინეობა. რისთვისაც ბართლომეოსი იმ წმინდანებსაც კი ამტყუნებს. ვინც ისინი ანათემას გადასცა და სულ ახლახან რომის პაპის ინტრონიზაციაზე ჩვენი ეკლესიის წარმომადგენლებითურთ მიიღო მონაწილეობა)! ასევეა, მეორე სახის ფსევდოეკლესია, როგორიცაა ე.წ. „დაქრივებული ეკლესია“, რომელიც განახლების (ე.წ. „თესლის აღდგენა“, გარეშე წყვეტს არსებობას ანუ სულიწმინდა გადადის სხვაგან, ტოვებს ტაძარს, შენობას, სადაც ჩანაცვლდება წარმართობა, რომელიც ისაკუთრებს (მიიტაცებს) ქრისტეანობის სახელწოდებას, ანუ ქრისტიანობის ადგილს იკავებს მითოსურ-მაგიური ქურუმთმსახურებითი რჯული — სახელწოდებით ქრისტეანული, მაგრამ არსით და რიტუალურ-მსახურებითად კერპთმადიდებელი. ამის მაგალითია, საქართველოს მთიანეთის სალოცავები, რომლებსაც მოაკლდა თუ არა ცენტრალური ეკლესიის გავლენა. მყისვე ჩაანაცვლა ქრისტეანობა წარმართობამ (რომელიც ქრისტიანობის პარალელურად და პარაზიტულად არ შორდება არაეკლესიურ, გაორებულ (თან ეკლესიაშია, თან წარმართობს) ცრუმორწმუნე მოსახლეობა და განთავისუფლდება თუ არა ქრისტეანობის ადგილი, იქვე გაბატონდება), და ეს, სისხლის ამღები და მარჯვენის მომჭრელი ცრუმორწმუნეები ე.წ. „მონათლულობის“ გამო, თავს ქრისტეანებად მიიჩნევდნენ, რამაც ვაჟას „ალუდა ქეთელაურში“ ათქმევინა — „ჩვენ ვიტყვით კაცნი ჩვენა ვართ... ჩვენა ვცხოვნდებით, ურჯულოთ, კასრში მოუწევთ ქშენანი“; ანუ ქრისტეანობის ოდენ სახელწოდებაღა იყო შემორჩენილი ნაშთად, რომელსაც მოირგებდა წარმართობა და მის მიღმა მიმალული დემონი ასეთი ქრისტესმტყუვრობით მიითვისებდა ხალხს. შედარებისა და განსხვავებისთვის, გავიხსენოთ: წარმართული ბომონის ნაშთზე ქრისტეანობას ეკლესია აუმოქმედებია, მაგრამ თავისი სახელით და საქმით და არა წარმართული სახელით და არსით! დაქვრივებულ-გაწარმართებული კუთხეებისაგან (ბარის სალოცავებიც ქადაგ-მკითხავების ზეგავლენის ქვეშ იყო) განსხვავებით, სამეგრელოში საეკლესიო იერარქია შენარჩუნებული კი იყო, მაგრამ კათოლიკე მისიონერს რომ გააკვირვებს. ისეთ ერეტიკულ დონეზე დაბლა იყო დაშვებული, რადგან წარმართულ-მაგიურ რიტუალებს უფრო წარმოადგენდა მათი მღვდელმოქმედება, ვიდრე მართლმადიდებლურს (იხ სერგი მაკალათიას „სამეგრელოს ისტორია“) და არქანჯელო ლამბერტის „სამეგრელოს აღწერა“). ცხადია, აქაც წარმართობა იყო შეპარული და არა პირიქით — ეკლესია ანუ ქრისტეანობა კი არ იყენებდა, ან საჭიროებდა სესხებას, ან მოპარვა-მითვისებას წარმართულ-მაგიურ რიტუალებისა, არამედ ერეტიკოსებივით ყავდა ეშმაკს გადაცდენილი სამღვდელოება; ახლა ისიც ვიკითხოთ, ექნებოდათ თუ არა ასეთ მღვდელმოქმედებითად ადოგმატურებს შენარჩუნებული დოგმატური ღვთისმეტყველება. თუ თავიდან უნდა მომხდარიყო მათი გაქრისტეანება? ასე არ მომხდარა და სავარაუდოდ, ცენტრალური ეკლესიიდან წარგზავნილი ეპისკოპოსები აღადგენდნენ ქიროტონიას და ლიტურგიას; აი, რამდენნაირ ცხვრის ტყავშია გადაცმული მაცდური და რა შეუძლია ეშმაკს, თუ უსჯულისკანონობას მიაღწია ეკლესიაში! აი, რატომ ავგანგაშდი, რადგან — „დიდი რჯულისკანონის“ გარეშე, იქნებ, ასეა ამჟამადაც: „ეკამენისტური მღვდელმოქმედებით შემოდის ნეოწარმართობა და ქრისტეს ქვაკუთხედზე სკუპდება წარმართული დემონი, რომელიც ქრისტეანული ეკლესიის სახელწოდებას მხოლოდ ნიღბად იფარებს! თუმცა, ასე ჯერ არაა, მაგრამ „სიწმინდის შებღალვაზე“ თუ მიდგა საქმე, წარმოიდგინეთ რას მივაღწევთ იერარქიაზე ხელის გადაფარებით... ჰოდა, იმას მოგახსენებდით, თქვენივე ციტატების მოშველიებით — „მათ რიცხვში შედიან ერეტიკოსები, რომლებიც ამახინჯებენ სარწმუნოების ძირითად დოგმატებს, განდგომილნი ანუ განხეთქილებაში გასულნი, რომლებიც თვითნებურად გამოეყვნენ ეკლესიას (ლაოდეკიის კრების 33-ე კანონი კრძალავს განდგომილებთან ლოცვას)“... აქ ისევ ჩავერთვები, რათა ზემოთმოყვანილი სწავლება —„ღვთის სამსჯავროსგან უხილავი განკანონება კრებისგან განუკვეთელი შემცოდისა“ — აქაც, ამ შემთხვევაშიც გავითვალისწინოთ: — ანუ თუკი იერარქი დოგმატიკის დამრღვევია და განსაკანონებელი, მაგრამ ეკლესია უძლურია მისი ავტორიტეტის წინაშე (რის გამოც ღმერთი უხილავად განკვეთს!) — იგი, თავისთავად, „თვითნებურად გამოყოფილ-განდგომილ“ განმხეთქილებელთა კატეგორიას მიეკუთვნება, როგორიცაა, მაგალითად, ამგვარად სახელგანთქმული ბართლომეოსი, მსოფლიო პატრიარქი, რომელიც მის მამხილებლებს სქიზმატებს უწოდებს და აიძულებს შეეგუონ მის ერეტიკოსობას და სქიზმატობას, ან სქიზმაში გავიდნენ. ამასობაში კი იერარქია თანმიმდევრულად, ევქარისტულად, მღვდელმოქმედებითად ერეტიკოსდება და დროთა განმავლობაში ხანგრძლივი და შეუქცევადი პროცესის შედეგად ინგრევა მსოფლიო ეკლესია, რამეთუ მთელი საეკლესიო დასი განკვეთილია ღვთისაგან — და სადღაა მაშინ ქრისტეს ეკლესია?! საამისოდ საჭიროა ტაბუახსნილად გავაცნობიეროთ თუ რა სიტუაციაა მსოფლიო ეკლესიაში, რა ხდება რეალურად და მისტიკურად, რა დღეში და ვის ხელშია საყოველთაო ეკლესია, რომელსაც ყოველივე ამის გამო მხოლოდ სახელწოდებაღა შერჩება და არა ქრისტე, ვინც „ორი ბატონის“ წინააღმდეგია და გაანტიქრისტებულ, ქრისტემტყუვარ, ცრუ ეკლესიას მიტაცებული სახელწოდების (როგორც კათოლიკებმა მიიტაცეს) ამარა — სულიწმიდის გარეშე დატოვებს. და, სად, ვისთან იქნება ქრისტეს ეკლესია? აი, აქ შემოდის საკითხი ეკლესიის ფორმის შესახებ. ანუ ანტიქრისტულ პერიოდში ახლანდელი ფორმისა იქნება ეკლესია? სახელმწიფოებრივი? ოფიციალური? თუ პირველყოფილი და კატაკომბური, რომელშიაც ამ ეკლესიის მართლები და ამ ეკლესიიდან ძალად გადახვეწილი ე.წ. სქიზმატები ერთად მოიყრიან თავს?! ერთ-ერთი ძველი მამის ვერსიით, ზოგიერთებს, ძველი სტერეოტიპების გავლენით, კვლავაც სქიზმატები და ერეტიკოსები ეგონებათ ერთმანეთი და ერთ ჯგუფში არ გაერთიანდებიან... ესაა თემა განსჯისათვის, რაზედაც ყველამ უნდა იფიქროს. ახლა კვლავ მივუბრუნდეთ თქვენს ნააზრევს: — „ეკლესიის სიწმინდე შეუთავსებადია ცრუსწავლებასა და ერესებთან. ამიტომაც იცავს ეკლესია მკაცრად ჭეშმარიტების სიწმინდეს და თავისი გარემოდან თავადვე განკვეთს ერეტიკოსებს“... დიახ, მაგრამ ეს არ ძალუძს ამჟამინდელ ეკლესიას, რამდენადაც საეკლესიო სამართლის იგნორირებით უმოქმედოა მასში „დიდი რჯულისკანონი“, არც ამჟამინდელი საეკლესიო კრებები იმაღლებს ხმას და საუკუნეა შეუქცევადი პროცესი აპოკალიფსურად უარესდება ერესიერარქთაგან — უამრავი ცოდვით, ცდომილებით, მწვალებლობით. ეკუმენიზმი ყველა ამ ცოდვას მოიცავს, რადგან სინამდვილეში იგი არის ნეოწარმართობა — სატანის ძის. ანტიქრისტეს რელიგია. ოპონენტი კი საწინააღმდეგოს ამტკიცებს — „გეთანხმებით რომ ძალიან ბევრმა საცდურმა იყარა თავი, დაწყებული ეთნოფილეტიზმიდან, დამთავრებული მაგიზმამდე, მაგრამ „ეკუმენიზმის“ საშიშროება ყველაზე ნაკლებად გვემუქრება და ამიტომ მეტ ყურადღებას ვამახვილებ იმ პრობლემებზე, რომლებიც „მართლმადიდებლობის“ ნიღბითაა მოვლენილი“)... სატანას და მის რელიგიას კი ვინ გაუმკლავდება თუ არა ქრისტე და მისი სარწმუნოება? ამიტომაც დაასუსტეს მართლმადიდებლობა და თუ არ აღდგა „რჯულისკანონი“, ეკუმენიზმი შიგნიდან გამოუთხრის ძირს ეკლესიას და ქრისტეს ქვაკუთხედის ნაცვლად იუდეო-მასონურ ქვაკუთხედზე გადასვამს (თუ უკვე ასე არ არის!?)... ანტიქრისტეს გასაპატრიარქებლად მართლმადიდებლობის გამოყენება იმ არსენალითაა შესაძლებელი, რასაც ჰქვია — ეკუმენიზმი, მოდერნიზმი, სეკულარიზმი, სერგიანელობა, პატრიარქმადიდებლობა, ცრუსასწაულმადიდებლობა და მისთანები, რაც კათოლიციზმის დონეზე ამდაბლებს მართლმადიდებლობას და ნეოწარმართულ „მართლმადიდებლობად“ გადააქცევს. აშკარად, საკუთარი ცხონებისადმი მტრობაა და ეკლესიისადმი დათვური სამსახური, როცა ეკლესიის მთავარ დამღუპველად საკუთარ ეკუმენიზმს, ურჯულისკანონობას, საეკლესიო რეფორმის გარდუვალობას კი არ განიხილავენ, არამედ სადღაც სხვაგან, ირეალურ განზომილებაში აკრიტიკებენ, რომ „ეკუმენიზმი-ანტიქრისტეს რელიგიაა“ და ჩვენ არ გვეხება, რადგან, თურმე, ემს-დან გამოსულნი ვართ, დოგმატიკა არ დაგვირღვევია, პატრიარქი გადაგვარჩენს და სხვა მსგავსი ხიბლებით სირაქლემის პოზას სჯერდებიან მაშინ, როცა ემს-



დან გამოსვლა არ ნიშნავს ეკუმენიზმიდან გამოსვლას, არ არსებობს ასეთი კანონი, არამედ რჯულისკანონი ამხელს და მოითხოვს: — ილოცა (იფსალმუნა) პატრიარქმა ხანუკობაზე იუდეველებთან? — განიკვეთოს! დოგმატიკა როგორ არ დაგვირღვევია, როცა დოგმატიკა შედგება ორი ნაწილისაგან — ღვთისმეტყველებითი, ანუ თეორიული და მღვდელმოქმედებითი, ანუ პრაქტიკული დოგმატიკისგან, რომელთაგან ერთ-ერთის „დიდი რჯულისკანონის" დარღვევა უდრის მეორის, საღვთისმეტყველოს, ანუ მთლიანი დოგმატიკის დარღვევას! დაარღვია იერარქმა კანონი ერეტიკოსებთან ულოცველობის შესახებ? — ესე იგი, მან ერეტიკული მღვდელმოქმედება იკადრა და თავი განიყენა ეკლესიისაგან. შეურწყა რა ქრისტეს უმწიკვლო სხეულს ქრისტესთვის უცხო და მწიკვლოვანი სხეული... ამგვარად, ჯაჭვისებურად, ერთი მეორეს გადასდებს ცოდვას და ირღვევა ეკლესიის საფუძველი, ჯავშანი და საზღვრები, დამაფიქრებელია სად გაუჩინარდა ეკლესიაზე ზედამხედველობითი სახელმწიფო რწმუნებულის მასონური ინსტიტუტი და რამ ჩაანაცვლა იგი გასაიდუმლოებულად; სსრკ-ც იუდეო-მასონური მსოფლიო იმპერიალიზმის დაარსებულია. ეკლესიაზე ზედამხედველობის აპარატიც, ამჟამინდელი იუდეო-მასონური სახელმწიფოც და ეკლესიაზე კონტროლის მონაპოვარ ბერკეტს არავინ გადააგდებდა, რაღა თქმა უნდა. ამისთვის გვიშენებს მოყვრულად მოპარული მტერი ფიზიკურ ტაძარს, რათა სულიერის ნგრევაზე თვალი დაგვახუჭინოს. ამიტომაც, ჩვენი საღმრთო სულის წუთისოფლის სულთან შერწყმულ-გასეკულარებული მზერა ფიზიკურ და ოფიციალურ ტაძარს ვერ განასხვავებს ქრისტეს ეკლესიისგან! ზნეობრივი პასუხისმგებლობა ეკლესიის წინაშე მაიძულებს არაკომფორტულ რისკზე წასვლას; ამ მოჯადოებული სივრცის გაფანტვა, კერპთაყვანისმცემლური ყინულის დაძვრა და ჩვენი იერარქიის ეკუმენისტობაში ხალხის მეტნაკლები, თუნდაც სულ ოდნავი გაცნობიერება, ჩვენ, არასქიზმატებმა ერთობლივად შევძელით; სხვანაირად ხომ არ გაგიპარტყუნებიათ ყურები ოპონენტები ემს-დან გამოსვლის მერე ეკუმენიზმზე და თუ კი — მხოლოდ იმისთვის, რომ გაგეპროტესტებინათ ემს-ს დატოვება... არიან ისეთებიც, რომლებიც აშკარა მოწინააღმდეგენი არიან... ვირტუალური ეკუმენიზმისა, რაც დონკიხოტობაა, რადგან ეკუმენიზმთან მებრძოლი ჯერ თავის თვალში უნდა ამჩნევდეს ეკუმენიზმის დირეს და მის ამოღებას ცდილობდეს, თორემ „სირაქლემის პოზას" ვერ დააღწევს თავს. ამას გარდა, ეკლესია ერთია (საყოველთაო) და ემს-დან გამოსვლა კი არ შველის, არამედ ევქარისტული ერთობის შეჩერება, თანამსახურების შეწყვეტა, ან ანათემით განმიჯვნა ერესიერარქებთან და გაეკუმენისტებულებთან. ასეთები — ჩვენი ეკლესია ემს-დან გამოსულია და ეს ჩვენ არ გვეხებაო-ს" „მახვილით" — გვიგერიებენ ჭეშმარიტ ანტიეკუმენისტებს. ხოლო, თქვენს თანამზრახველებს ჩვენი ეკლესიის ეკუმენიზმში ჩართულობა აწყობთ და ამიტომ გამოგყავთ ანტიეკუმენისტები სქიზმატებად — „არცერთ წმინდა მამას სქიზმატებთან ერთად არ უბრძოლიაო. მაშინ როცა სქიზმაში თქვენა ხართ — მებრძოლ ეკლესიასთან, მეშურნე და მოწამე აღმასარებლებთან. ოქროპირებთან, სტუდიელებთან, სულიწმიდით განრძნობილ „სჯულისკანონის" შემქმნელებთან... ანუ, ერთ ეკლესიაში მყოფნი, სხვადასხვა ეკლესიას მიეკუთვნებით — ერესიერარქები და თქვენ მიეკუთვნებით ეკუმენისტებს, ანუ სხვა „ეკლესიას" და ამიტომაც ხართ შიგნითა და შინაგანი სქიზმატები. ციხის შიგნიდან გამტეხები, რათა რეფორმიზმით თქვენი მოდერნისტული ახალი ეკლესია ააგოთ ძველის, არაეკუმენისტურის ნანგრევებზე... იერარქები რომ მღვდელმოქმედებითად სქიზმატობენ და თქვენ „ღვთისმეტყველებითად", ხოლო ვირტუალური ანტიეკუმენისტები კი „სირაქლემის პოზას" და ეკუმენისტური მღვდელმოქმედების გაპრავებას ვერ გასცილდნენ, ამიტომ მომიწია მართლმამხილებთან ერთად მუშაობამ და ოპონენტები ამაზე ამბობენ ასეთი რამ წმინდანებს არ გაუკეთებიათო?!... მე კი ვარწმუნებ: ქრისტეს გაუკეთებია! — თავისი პირმშო ერი გადარჯულების გამო — ეშმაკის შვილებად გამოუცხადებია („ეშმაკია თქვენი მამა... განვედით ჩემგან, არა გცნობთ"), ტაძრიდან გაუგრია და წარმართები დაუყენებია გვერდით (ანუ, რჩეულობა წაართვა და გაქრისტეანებულ წარმართებს გადასცა...) მთავარია კონტექსტი — რომ, ჭეშმარიტების გამარჯვებისთვის როგორმე გაარღვიო მოჯადოებული წრე, ამხილო ნამდვილი სქიზმატები, რომლებიც აზიანებენ ეკლესიას შიგნიდან, გამოაჩინო მათგან დაფარული ჭირი, რათა ეკლესიამ-ხალხმა სკალპელს მოკიდოს ხელი (და არა თმის საღებავს, გასალამაზებლად) ქირურგიული ოპერაციის (რჯულისკანონის აღდგენა, საეკლესიო რეფორმა და ა.შ.) ჩასატარებლად, თანაც გადაუდებლად სასწრაფოდ: თუ ეს არ აღსრულდა, მაშინ, ამის გამო კიდევ ბევრი გაეცლება ასეთ ეკუმენისტურ ეკლესია, ხოლო თუ აღსრულდა. მაშინ ე.წ. სქიზმატები მყისვე შემობრუნდებიან, რადგან პირველები ისინი იყვნენ, ვისაც ჩვენი ეკლესიის მკურნალობა-განჯანსაღება სწყუროდა: უპირველესად მათ გაუხარდებათ გამთლიანება თუკი მოისპობა სერგიანელობა ადგილობრივ და მსოფლიო მთავრობასთან, ანათემას გადაეცემა პირველი მსოფლიო ეკუმენისტური კრება (ანუ, ე.წ. „მერვე მსოფ. კრება") და გადაწყდება (შეჩერდება) ევქარისტულ-მღვდელმოქმედებითი ერთობა მსოფლიო საპატრიარქოსთან და ადგილობრივ ეკუმენისტურ ეკლესიებთან, ჩატარდება (არა მასონურ-რეფორმატორული, არამედ) ჭეშმარიტი საეკლესიო რეფორმაცია, აღდგება „დიდი რჯულის კანონი" და მართლმადიდებლური (და არა „ეკუმენისტურ მართლმადიდებლური") ეკლესიოლოგია... მხოლოდ ასე შევურიგდებით ქრისტეს და არა თქვენი უაზროდ უადგილო იკონომიით (რაც ედიშერ ჭელიძეს „დოგმატი და ეკონომიიდან" გაქვთ აღებული და რომლის მიხედვით იკონომიაა მხოლოდ პანაცეა!), რომელიც ჯერ ერთი — ისტორიულად ჩვენთვის ცნობილი იკონომიური სიტუაცებისგან აბსოლუტურად ზღვარს გაცილებულია — მსოფლიო ეკლესიის ეკუმენისტურად ყოვლისმომცველობის გამო (ანუ, ამჟამად ყველა ერთადაა ერესში, განსხვავებით ისტორიული ერეტიული ეკლესიებისა, როცა რომელიმე ადგილობრივი ეკლესია, თუნდაც ერთი მაინც, მღვდელმოქმედებითი ერესისგან შებილწული არ იყო და ეს ადასტურებს სწორედ იმას, რომ მასზე სხვათა ერესი არ გადმოდიოდა. სწორედ თანამსახურების არქონის გამო) და არც არანაირი იკონომიის ჩარჩოებში არ ჯდება, განსხვავებულია იმითაც, რომ მსოფლიო მართლმადიდებლური ეკლესია და გაერთიანებული მსოფლიო მთავრობა სერგიანულად თანამშრომლობენ ერთმანეთთან და რასაც ის პოლიტიკური ინტეგრაციით აკეთებს, იმასვე აკეთებს რელიგიურად ეკუმენიზმიც, ანუ სახეზეა ერთობლივი შექმნა საერთო მსოფლიო სახლის და მისი საერთო რელიგიისა ანტიქრისტეს გასამეფებლად. ასეთ შემთხვევაში, თანამლოცველობა (თანამსახურება) ნიშნავს ქრისტეს მტრებთან ერთობლივ განდიდებას მათი კერპისა და სხვა რა უნდა იყოს ანტიქრისტეს ბეჭედი, თუ არა ის, რომ კეისარს აძლევ (სწირავ) ღვთისას ანუ ქრისტეს ბეჭედს სწირავ ანტიქრისტეს — მსოფლიო კეისარს?! მერე მეორეც, სხვას როგორ გაუწევს იკონომიას, როცა თავად არ იმსახურებს იკონომიას თავად საქართველოს ეკლესიაც, რამეთუ ემს-დან გამოსვლას არ გაუნთავისუფლებია იკუმენისტური ერესისაგან — პირველი: საამისოდ „დიდი სჯულის კანონის" მიხედვით აუცილებელია ევქარისტულ-მღვდელმოქმედებითი კავშირის შეწყვეტა მათთანაც და საკუთარ ეკუმენისტურად მოქმედ ერესიერარქებთანაც და მეორე: მღვდელმთავრების ეკუმენისტურ-იუდევლური თანამლოცველობის შედეგად ეკლესია ისევ მუბრუნდა მათგანვე დაგმობილ ემს-ში გაწევრიანებულებს, ანუ ძველ ერესს (სჯულის კანონის მიხედვით — მიბრუნება უარეს სასჯელს იმსახურებს. რაშიც თქვენც გიდევთ წილი, ბიბლიური მწიგნობარ-ფარისევლებივით, ვითომ ქრისტიანობას, რომ ქადაგებთ, სინამდვილეში კი, ახალ „ღვთისმეტყველებას", ახალ „მართლმადიდებლობას" თესავთ! რეფორმისტობა და იკუმენისტობა ერთი ჯოხის ორი ბოლოა, რომელიც იუდეომასონური იმპერიალიზმის ხელში ტრიალებს. „მართლმადიდებლური იკუმენიზმის საღვთისმეტყველო ცენტრის" ნაშიერნი, რომელნიც ვითომ ეკლესიის წინაშე არსებული პრობლემების გადაჭრის გზებს გვთავაზობენ, სინამდვილეში თავად უქმნიან ეკლესიას პრობლემას. მე-16-ს-ის დასავლური რეფორმაციის და ვატიკანის მე 2-ე კრების გავლენით ებრძვიან ბიზანტიურ, ანუ აღმოსავლურ ქრისტეანობას, აქაოდა იგი პოლიტიკური ინსტრუმენტის როლს უფრო ასრულებდა. ვიდრე სახარებისეული სულიერების განვითარებას და ახალი „ცოცხალი ქრისტეანობა" დავაფუძნოთო, თითქოს მანამდე წყალს ნაყავდნენ ჩვენი წინაპრები, მათ თავი მიაჩნიათ ახალ მოციქულებად, ახალ განმანათლებლებად, სახარების ხელმეორე მქადაგებლებად... ხოლო, ანტიეკუმენისტური კი — სქიზმატებად, არა, ოპონენტებო, არ გამოგადგებით თანამეინახედ, მე უფრო ამ ბროშურის მრწამსს ვემხრობი, რომელიც არ მოგეწონებათ, მაგრამ თქვენს თანამოაზრეებს გამოადგებათ. მისი სახელია „რეფორმატორული სული „მართლმადიდებლურ" ღვთისმეტყველებაში" — „მოდერნისტების პირველი ამოცანა. ისტორიული მართლმადიდებელი ეკლესიის საზღვრების წაშლაა, მისი გადაქცევა რაღაც ამორფულ, განუსაზღვრელ, ცვალებად ეგზისტენციალურ ცნებად, ეკლესიის კანონებს, მათი აზრით, არ გააჩნია ის უდაო და აბსოლუტური ავტორიტეტი, როგორც დოგმატებს, რომ ისინი თითქოს დროის მიხედვით იცვლებოდა და ზოგიერთმა კანონმა საერთოდ დაკარგა თავისი აქტუალურობა, რომ ისინი საჭიროებენ საფუძვლიან სახე-ცვლილებას და ა.შ. ეკლესია კი გვასწავლის, რომ კანონები და დოგმატები განუყრელია ერთმანეთისგან! მოდერნისტი ღვთისმეტყველების ცრუ აზრის გასაბათილებლად ათენის უნივერსიტეტის პროფესორმა პანაიოტის ბუმისმა ცალკე ნაშრომი მიუძღვნა. რომელშიც იგი ამბობს „წმინდა კანონთა



ავტორიტეტულობის საკითხი ქრისტეანისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა და ამიტომ მოვიყვანთ წმინდა მამათა კანონთა მოწმობას: 5-6 მსოფ. კრების მე-2 კანონში, რომელიც წარმოადგენს ეკლესიის წმიდა კანონთა ოფიციალურ სინოპტიკურ თვითკოდიფიკაციას, ვკითხულობთ: „ფრიად კეთილად და ყოვლად სასწრაფოდ ადგენს ეს წმიდა კრება, რათა ამიერიდან მტკიცედ და შეუცვლელად დარჩეს ჩვენი სულისა და ვნებათა საკურნებლად ჩვენს წინამორბედ წმიდა და ნეტარ მამათა მიერ შეწყნარებული და ჩვენთვის მოციქულთა სახელწოდებით მოცემული 85 კანონი... ვამტკიცებთ აგრეთვე ჩვენს წმიდა ნეტარ მამათა მიერ დადგენილ სხვა სამღვდელო კანონებს... ხოლო ზემოთმოხმობილ კანონთა დამახინჯების ან უარყოფის ნება არავის აქვს. აკრძალულია სიმართლის სხვა მტრებისა და ჭეშმარიტების ვაჭრებისგან ცრუ სახელით წარწერილი კანონების შეწყნარება, ხოლო თუ ვინმემ ზემოთჩამოთვლილ კანონთაგან რომელიმეს დაშლას და დარბევას ხელი მიჰყოს, იგი უნდა დაისაჯოს კანონის განჩინების შესაბამისად და რაც განსაზღვრულია. ის სასჯელი მიიღოს და მისგანვე მოიპოვოს მან კურნება იმისა, რაშიც ცდება" ასევე, მე-7 მსოფ. კრების 1 კანონში ვკითხულობთ: „მხიარულებით განვმტკიცდებით საღვთო კანონებში და ყოველმხრივ შეურყევლად განვამტკიცებთ იმ კანონების განწესებას, რომლებიც დასხმულნი არიან სულის საყვირთა, ყოვლად ქებულ მოციქულთა, წმიდა მსოფ. კრებებისა და წმიდა მამების მიერ, ვინაიდან ერთი და იმავე სულის მიერ იყვნენ ყველა ისინი განათლებულნი და დაადგინეს, რაც უმჯობესი იყო. ზემოთხსენებული თვითმოწმობიდან გამომდინარე, არავის აქვს უფლება ამტკიცოს, რომ იგი არაპირდაპირ მიანიშნებს მამათა მიერ საეკლესიო კანონმდებლობის ჭეშმარიტი ბუნების არცოდნას. ან იმას, რომ კანონებით წარმოდგენილი ამგვარი მტკიცება შეცდომაა. მსოფლიო კრების მოსაზრება შეუძლებელია უარყოფილ იქნას თანამედროვე სწავლულის მიერ, ვინც არ უნდა იყოს იგი, რომელსაც არ მიუღია ზემოხსენებული თვითმოწმობა, რამეთუ სულიწმიდა და მოციქულთა პირით ღაღადებს, ისევ ის და არა სხვა. მეტყველებს ღმერთშემოსილ მამათა მეშვეობით. ახალი დროის უდიდესი კანონმცოდნე წმიდა ნიკოდიმოს მთაწმინდელი ამბობს: „ეს წიგნი (ე.ი. პიდალიონი), — წმიდა კანონთა კრებული არის წმიდა წერილის, ძველი და ახალი აღთქმის შემდეგ, მეორე ღვთის სულიერი სიტყვა პირველ ღვთივსულიერ სიტყვათა შემდეგ, ეს წიგნი წმიდა მამების მიერ გავლებული მარადიული საზღვრებია — საუკუნოდ არსებული კანონებია, რომლებიც მსოფლიო და ადგილობრივმა კრებებმა სულიწმიდით დაადგინეს, ეს წიგნი ჭეშმარიტი მესაჭეა (პიდალიონი) კათოლიკე ეკლესიისა, როგორც მას ვუწოდებთ, რომლის ხელმძღვანელობით ეკლესიას მტკიცედ იცავს თავისი მეზღვაურები და მოცურავენი (სასულიერო და ერისკაცნი) უზენაესი სამეფოს უშფოთველი ნავსაყუდელისაგან. „მაშასადამე" ეკლესია, როგორც ღვთაებრივი დაწესებულება, ცხოვრების საკუთარ წესწყობილებას ფლობს, რომელიც ღვთაებრივია, როგორც უშუალოდ ქრისტესაგან ან მოციქულთა და სულიწმიდის მიერ შთაგონებულ მათ კანონიერ მიმღებთაგან გამომავალი, იგი კაცობრივ სურვილთა თვითნებობას არ ემორჩილება, არამედ გააჩნია უპირობო ავტორიტეტი (პ.ბუმისი) ამის გარდა წმიდა მამების მიერ ეკლესიაში არსებული შფოთვისა და უთანხმოების ძირითად მიზეზად დასახელებული წმიდა კანონთა უხეში უგულვებელყოფის ფაქტი: „ძირითადი მიზეზი ეკლესიის აშლილობისა იმაში მდგომარეობს, — ამბობს წმიდა ეგნატე (ბრიანჩანინოვი), რომ წმიდა მოციქულთა და წმიდა მამათა კანონები უყურადღებოდაა მიტოვებული, მეტიც დავიწყებული და შეცვლილია ისინი საკუთარი მოსაზრებებით, რაც უცხოა ეკლესიის სულისკვეთებისთვის და მართმადიდებელი ეკლესიისადმი მტრული სულისკვეთებისგანაა ნასესხები, რომელიც ანადგურებს თვით ეკლესიის სულს". ზოგიერთი პროტესტანტული სულისკვეთების მქონე „მართლმადიდებელი" თეოლოგიები თითქოსდა ეყრდნობიან წმიდა წერილს თავისი შეხედულებების დასამტკიცებლად, ამასთანავე, ოდნავ შერბილებული ფორმით, უარყოფენ წმიდა გადმოცემას: ისინი გამოთქვამენ მოსაზრებას, რომ „ჩვენს დროში დაუწერელი გადმოცემა უკვე აღარ არსებობს, ვინაიდან რაც ოდესღაც ზეპირი ფორმით გადაიცემოდა. უკვე დაწერილია. ამიტომ, ყველა თეზისს თავისი წყაროც უნდა ჰქონდეს მითითებული. ეს მოსაზრება საფუძვლიანად ამახინჯებს ეკლესიის სწავლებას წმიდა გადმოცემის შესახებ. მართმადიდებლური სწავლების თანახმად, წმიდა გადმოცემა არის სულიერი მემკვიდრეობა (დაწერილი თუ დაუწერელი ფორმით), რომელიც მივიღეთ ჩვენ წმიდა წინაპრებისაგან, რომელიც სრულებით გამოხატავს წმიდა წერილის არსს და გვეხმარება ბიბლიის სწორ განმარტებაში" — ამბობს წმიდა ნიკოლოზი (ველიმიროვიჩი). „მართებულად აღნიშნავს ვლ. ლოსკი: „წმიდა ეკლესიაში თეორიული და პრაქტიკული საკითხები არაა განყოფილი ერთმანეთისთვის რის გაკეთებას ჩვენ დავეჩვიეთ უახლოეს ეპოქაში. ეკლესიის საკითხები ცხოვრებისეული საკითხებია, რომელშიც თეორია განუყოფელია პრაქტიკისაგან ამ საკითხების პრაქტიკულ და თეორიულ საკითხებად განაწილება იწვევს ეკლესიის ორგანიზმის გაყოფას და წინააღმდეგობებს ცხოვრებაში. უდავოა ჩვენი დროის ერთ-ერთი ყველაზე მძიმე ცოდვა ეკლესიაში არის დაშორება ცხოვრებისა დოგმატიკისაგან, სიყვარულისა რწმენისაგან, ეკლესიისა ღვთისმეტყველებისაგან". იგივე სენი ღვთისმეტყველებაში წმინდა ილარიონმა (ტროიცკი) შენიშნა და დასავლური სულისკვეთებისაგან განთავისუფლებისაკენ მოგვიწოდა: „ამრიგად, ხედავთ, როგორი უთანხმოებაა ეკლესიასა და სკოლას შორის (იგულისხმება სასულიერო სასწავლებელი — ავტ) აი, რა გააკეთა ჩვენში ალთინურ-გერმანულმა შემოჭრა ღვთისმეტყველებაში! სასულიერო სკოლის კათედრა, ეკლესიის ამბიონი და კლიროსი, ერთი და იმავე დროს, სხვადასხვა საღვთისმეტყველო ენაზე საუბრობენ! ვალდებულად მივიჩნევ თავს ამ საშიში ტენდეციისა და მის სავალალო შედეგებთან ბრძოლისაკენ მოგიწოდოთ"! მტერი ეკლესიას იმდენად გარედან არ ესხმის, რამდენადაც შიგნიდან. ის ცდილობს მიაღწიოს ქაოსს — საზღვრების მოშლასა და სხვადასხვა შეხედულებების შერევას, წმინდა მამები გვაფრთხილებდნენ, რომ ბოლო ჟამს აღდგებიან ცრუ მასწავლებლები, რომლებიც წმინდა წერილისა და ეკლესიის დოგმატების შეუცვლელად დაიწყებენ წმინდა გადმოცემის დამახინჯებულ სწავლებას. დღეს ჩვენი თვალით ვხედავთ თუ როგორ სრულდება ეს წინასწარმეტყველება. დრო, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ არნახული მზაკვრობის, ყალბი შეხედულებების და სულიერი აშლილობის დროა. ბოროტმა განიცადა რა მარცხი ეკლესიის გარეგნულ ნგრევაში, ცდილობს შიგნიდან მოარყიოს იგი, მაგრამ ესეც არ არის სიახლე. „საუკუნეების მანძილზე — წერს მოწამე მიხეილი (ნოვოსელოვი) — ანტიეკლესიური ბრძოლის მეთოდი მდგომარეობს ჭეშმარიტი ქრისტიანული შეხედულებების ყალბით შენაცვლებაში. იქ სადაც მტერი ვერ აღწევს მიზანს ძალადობით შედეგს იღებს ათასგვარი სიყალბის, იმიტაციის, ფალსიფიკაციებისა და კომპრომისის მეშვეობით". წმინდა წინასწარმეტყველმა მოსემ ისრაელის ხალხს ღვთის მცნებები აუწყა და დაუდგინა: „არა შესძინო შენ სიტყვაი ერთი, რომელსაც — ეს მე გამცნობ თქვენ და არცა დააკლოთ მაგას, არამედ დაიცვენ შენ ცნებანი უფლისა ღმრთისა შენისანი, რომელსა ესემე გამცნებ შენ დღეს-დღე (2 სჯულ. 4,2,)" შემდგომ ასეთივე ძალა მაცხოვარმა თავის მოძღვრებასაც მიანიჭა. „უკუეთუ ვინმე დახსნეს ერთი მცნებათა ამათგანი უმცირესთაი და ასწავლოთ ესრეთ კაცთა, უმცირეს ეწოდოს მას სასუფეველსა ცათასა". (მათ. 5.19) ეს ნიშნავს, რომ ვინც ღვთის მცნებებს მრუდედ განმარ-

20 gv.

19 gv.

ტავს და მათ ძალას დაამცირებს, გაწირულ იქნება მომავალ ცხოვრებაში. ვინაიდან ეკლესიის სწავლება დროისა და მოვლენების განვითარების მიხედვით არ იცვლება: „ეკლესია – ამბობს ნეტარი იუსტინე (პოპოვიჩი) – არის მარადიულობა დროში“. ამ დროებით სამყაროში სამყარო განიცდის ცვლილებას, მაგრამ მარადიული ღვთაებრივი სახარება, მისი მარადიული ღვთაებრივი საშუალებები მორწმუნეთა საცხოვნებლად მომადლებულნი. არ იცვლებიან, იმიტომ, რომ არ იცვლება მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტე... ეკლესია კი არ უნდა აკეთებდეს ორიენტირებას დროზე, ან დროის სულისკვეთებაზე, არამედ პირიქით, დრო უნდა ხელმძღვანელობდეს ეკლესიით, როგორც მარადიული, დროის სულიც უნდა ემორჩილებოდეს მას, როგორც მარადიული სულის მატარებელს“. („რეფორმატორულ ისული „მართლმადიდებლურ“ ღვთისმეტყველებაში“ – მღვდელი კონსტანტინე ჯინჭარაძე).

წმინდა გადმოცემის არასწორი განმარტება, ისევე ამრუდებს რჯულს, როგორც სამოთხიდან გამოსულებს შეაცვლევინა სატანამ და მისმა ეშმაკებმა სამოთხისეული რჯული და ღვთისმცნობელობიდან კერპთაყვანისმცემლობაში გადაიყვანა; როგორ? სიცრუით... აიღებდა სამოთხისეულ სწავლებას და შეურევდა მითოსურ-ამსოფლიურ „სიბრძნეს“, ღმერთის ნიღაბს გიპნოზურ-მოჩვენებითად ღებულობდა, სამების როლებს ასრულებდა გაოთხებულ-გახუთებულად და გადაჰყავდა მრავალღმერთიან, ჰერმაფროდიტულ (მაგ. ჰერმესის და აფროდიტეს ნაშიერი, რომელიც საერთო სხეულით იყო შეერთებული ნიმფა სალმაკიდასთან) – მუტაციურ (კენტავრი, ქალთევზა და სხვა...) – ტოტემისტურ ცნობიერებაში, რითაც საღვთო დოგმატიკასაც (სამოთხისეული განათლება – მეხსიერებითი ღვთისმცნობელობა, შდრ: იოანეს გამოცხადებისეული – შუბლი, გონება, ცნობიერება) ცვლიდა და ღვთისმსახურეობასაც (წარმართული რიტუალები: შდრ: იოანეს გამოცხადებისეული – მარჯვენა, ლიტურგიკული მოსაქმეობა „პური ჩვენი არსობისა“), შედეგად კი – კაენურ-სოდომისტურ ყოფიერებაში მიმართავდა კაცობრიობის ვადასოფლისეულ საზრისს და სამოთხეში დაბრუნება-განღმრთობის დანიშნულების მაგივრად საჯოჯოხეთოდ განამზადებდა. ღმერთმა აადამიანთა დასახმარებლად, ჯერ ბიბლიური წესრიგი, შემოიღო და შემდგომ კი ქრისტე განკაცდა; ადამის ეშმაკთან დადებული ხელშეკრულების გასაუქმებლად, სიკვდილისა სიკვდილითა დასათრგუნად, წყევის ცოდვისაგან და ჯოჯოხეთისაგან კაცობრიობის გამოსახსნელად და გამრუდებული სამოთხისეული გზის აღსადგენად. და, ჩვენ ამ ყველაფერს, ჯოჯოხეთში ვყრით, როცა დოგმატურღვთისმსახურებით – ცხოვრების წესის გარდაქმნის ვცდილობთ, ვმანქურთდებით და ვუცხოვდებით სამება ერთარსება ღმერთს, ზეციურ სამშობლოს და განღმრთობას!!! რეფორმიზმის ერთ-ერთი მეთოდია ციტატების ამოღება ეკლესიური სწავლებიდან და ჩასმა არასწორ კონტექსტში, რითაც თანმიმდევრულად ინერგება ეკლესიოლოგიურ-დოგმატური მწვალებლობა – და ღვთისმსახურება და ნეომითოს – ნეოწარმართობაში გვაბრუნებს. ანუ ქრისტეს ბეჭედი (ღვთისმეტყველებით – ცნობიერებითი „შუბლი“ და „მარჯვენით“ ღვთისმსახურებითი უხილავ-ხილულის ერთობლივი ზემოქმედების „ბეჭედი“) – იცვლება ანტიქრისტეს ბეჭდით – ცრუგანმანათლებლობით და ცრუ „ღვთისმსახურებით“! „კლაივი“: „პრობლემიდან გამოსავალი არ უნდა ვეძიოთ „რჯულისკანონში“, ვინაიდან თავდაპირველად ეკლესია სჯულისკანონს საერთოდ არ იცნობდა. ეს იმიტომ კი არ ყოფილა, რომ იმ დროს ეკლესია თავისი მოწყობის პრიმიტიულ ან თუნდაც ჩანასახოვან ფორმაში იმყოფებოდა და არც იმიტომ, რომ ეკლესიას ჯერ არ სჭირდებოდა სჯულისკანონი, რადგანაც მისი მოწყობა იმდენად გაურკვეველი და არამდგრადი იყო, რომ ანარქიის მდგომარეობას უახლოვდებოდა, ეკლესიას მართლაც არ სჭირდებოდა სჯულისკანონი, რადგანაც ცხოვრობდა იმით, რაც მისი ბუნებისთვის არის დამახასიათებელი და არა იმით, რაც მისი ბუნებისთვის უცხოა“... უწინარესად მიაქციეთ ყურადღება იმას, რომ ეკლესიური სწავლების სქოლასტიკურ-მოდერნისტულ მანიპულირებაში ვერ გაარჩევთ ერთიმეორისაგან „კლ“-ს და „თ.ჭ“-ს რადგან ერთიდაიგივე სქემით მოქმედებენ: ცდილობენ დაგვიმტკიცონ, რომ ეკლესია, თავისი ბუნებიდანაა გადახრილი და ეს უკანასკნელნი (ბასილ კობახიძისნაირი „მართლმადიდებლური ეკუმენიზმისა“ და „ცოცხალი ქრისტეანობის“ მიმდევარნი!) რჯულისკანონის გარეშე, ჩააბრუნებენ ეკლესიას საწყის სულიერებაში; ამაზე რომ უპასუხო, – თქვენც ისეთივე სქიზმატები და სექტანტ-ერეტიკოსები ხართ, როგორც, ვთქვათ, ბაპტისტები, იეღოველნი, ან ნებისმიერი, რომელიც ეკესიას შვიდი მსოფლიოს კრების რჯულისკანონისგან მოწყვეტით აგებს, ან რომ უთხრა, – დავით აღმაშენებელმა რატომ იწინამძღვრა რჯულისკანონი, რად არ დაუბრუნდა „მისი ბუნებისთვის დამახასიათებელ სტადიას“-თქო, გამოაშკარავდებიან, რომ აღმაშენებელსაც ვერ იტანენ, ვინაიდან, თურმე –„პოლიტიკურ ინსტრუმენტად ჭირდებოდა ეკლესია“... კი, მაგრამ სულიწმიდითგანბრძნობილ 7 კრების მამებსაც „პოლიტინსტრუმენტად“ „სჭირდებოდათ?!... ამაზე მიპასუხებთ, – პოლიტიკოსების არეული ქრისტეანობის დასაწყობად სჭირდებოდათ-ო, რაზეც მე უნდა გიპასუხოთ, რომ წუთისოფლის იმ ფაზაში მოვიდა ქრისტენობა, როცა უკვე იყო ანარქიაც, აპოსტაზიაც, ბოლო ჟამიც და მებრძოლ ეკლესიას ქრისტეანობის ბუნების დასაცავად, უწინარესად, რეფორმატორ-მოდერნისტერეტიკოს-სექტანტისქიზმატებისგან დასაცავად სჭირდებოდა სწორედ სჯულისკანონი – მეთქი-ზე, – კიდევ არ გაჩერდებით... და ასე ჩავალთ სამოთხიდან ახალგამოსულთა პერიოდამდე, როცა ერთჯერ უკვე აკრძალული სიბრძნით, ცდუნებულნი, ეშმაკმა, კვლავ სიბრძნის სურვილის ცდუნებით გადაიყვანა, კაცობრივმშვინვიერ-მაგიურ-წუთისოფლისეული „სიბრძნე, სულიერებაზე“ – სულიერი განვითარების მაგივრად, თორემ მაშინათვე სულიერი ცხოვრების განვითარებას რომ შესდგომოდნენ ადამიანს არც დამწერლობა დასჭირდებოდა, არც მეცნიერულ-ტექნიკური კაენური „პროგრესი“ და ა.შ. ანუ, სამოთხელი, ელიტარი, შესაქმის საქმის გვირგვინი-ადამიანი, რომლის ერთ სიტყვაზე მთა გადაადგილდებოდა, რევოლუციონერ-რეფორმატორმა სატანამ ისე „განავითარა“, რომ „პირველყოფილად“ გარდაქმნა, „ტვინის გამორეცხვით“ გაამანქურთა, გააკანიბალა, გაასოდომისტა და... იგივეს გამოჩხრეკთ თქვენც, თუკი იუდეო-მასონობის ხმლის ქნევას არ შეეშვებით.

**ზვიად ნოდია**

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.org
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# მამა ზოსიმე: „იუსტიციის სახლში თქვეს, თითქოს, ID-ბარათში არ არის არავითარი 666. არის მასში 666, ამას ვამტკიცებ მე!“

21 აპრილს იუსტიციის სამინისტროსთან რუის-ურბნისის მიტროპოლიტის მეუფე იობის ლოცვა-კურთხევით სასულიერო პირთა და მრევლის აქცია გაიმართა მორწმუნეთათვის Iდ ბარათების საწინააღმდეგო ალტერნატიული ბარათების შემოღების თაობაზე.

როგორც წმინდა გაბრიელ ბერი ამბობდა: „ანტიქრისტე კარებთან დგას და კი არ აკაკუნებს, შემოგლეჯას ლამობს. თქვენ მოესწრებით ანტიქრისტეს, იგი მთელ დედამიწაზე მოინდომებს გამეფებას, დევნა ყველგან იქნება, მაგრამ საქართველოს მარიამ ღვთისმშობელი დაიფარავს, მისი წილხვედრია, აქ ნაკლები დევნა იქნება. ადგილი, სადაც აიძულებენ ხალხს მიიღოს ანტიქრისტეს ბეჭედი, არის არა ხელის გული, არამედ საჩვენებელი თითი, ის არ გამოჩნდება ზემოდან, კომპიუტერით დაისმება ნიშანი კანს ქვემოთ. თავდაპირველად იქნება ნებით, მაგრამ როცა გამეფდება გახდება მსოფლიო მბრძანებელი, აიძულებს ყველას, რომ ეს ბეჭედი მიიღოს, ვინც არ მიიღებს, ასეთ ადამიანებს გამოაცხადებენ სამშობლოს მოღალატეებად და ხალხი უნდა გაიქცეს ტყეში“.



**მამა ზოსიმე (რუის-ურბნისის ეპარქია):** „სინოდმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ ეს არ არის ბეჭედი, ამიტომ ამის აღება შესაძლებელია, ისიც ითქვა, რომ რადგან ხალხში სხვადასხვა აზრი არსებობს, ვთხოვთ მთავრობას, რომ ალტერნატიული საბუთები დაიბეჭდოს. სინოდის გადაწყვეტილება გამოსული იყო, გასაჯაროებული იყო შეცვლილი სახით. ეს ჩანს მეუფე იობის ქადაგებებშიც. თავისი მნიშვნელობით და ფუნქციით, რასაც წარმოადგენს ეს ჩიპიზირებული დოკუმენტები. იგივე მნიშვნელობისაა, რაც არის ის ჩიპი, რომელიც ისმება ხელში. ეს საშიშროებაა, ესაა წინაპირობა, ამერიკაში 23 მარტიდან დაიწყეს უკვე ხალხის დაჩიპვა. ამას წინ უძღოდა ჩიპიანი საბუთები და ალტერნატივის არარსებობა. როგორც ქალბატონი წულუკიანი ამბობს, რომ ჩიპის მოქმედება მხოლოდ მაშინ შეიძლება, როდესაც სპეციალურ მანქანაში ჩადებ, ეს არის სიცრუე. თვითონ ჩიპი არის პასიური ელემენტი, ეს არის მიკროგაბარიტული ანტენა, რთული შემადგენლობის, რომელზეც ეცემა არამოდელირებული, ზემაღალ სიხშირიანი ელექტრომაგნიტური ტალღები, რომელიც მოიძევს ჩიპში მაგნიტურ ველს და აირეკლავს ისევ დამსხივებლის მიმართ უკვე მოდულირებულ სხივს, ელექტრომაგნიტურ სიგნალს, რომელზეც არის ის ინფორმაცია დაწერილი, რაც იყო ჩიპზე. ასე, რომ სრულებით შესაძლებელია ნებისმიერი მანძილიდან, თუ გინდ კოსმოსიდან აკონტროლო ადამიანი. ინგლისში, სადაც გატყდა ეს ამბები, კონტროლირებადი იყო გარკვეული ინსტანციების მიერ ის ჩინოვნიკები, რომლებსაც გააჩნდათ ეს ჩიპები. შექმნეს პატარა ჩანთის მსგავსი აპარატურა და მანძილზე კითხულობდნენ ამ ჩინოვნიკების ინფორმაციას და აკონტროლებდნენ ყველაფერს. გარდა ამისა, იუსტიციის სახლის მიერ მომზადებულ პატარა რგოლში თქვეს, რომ თითქოს ამაში არ არის არავითარი 666. არის ამაში 666 და ამას ვამტკიცებ მე და ყველა, რუსეთის, უკრაინის, სერბეთის და საბერძნეთის მართლმადიდებლობა. ჩიპის მომზადების ერთ-ერთი პროცესი არის შტრიხ-კოდის დასმა. ჩიპში არის შტრიხკოდი და ის იკითხება სამი ჩამოგრძელებული ხაზით, რომელსაც შეესაბამება სამი ექვსიანი. ეს ჩიპი შექმნა ჯორჯ ლაურერმა, ის ახლაც ცოცხალია და ამერიკაში ცხოვრობს, ფილმში „უკანასკნელი ბაბილონი“ ეს კაცი თვითონ ამბობს, რომ ნამდვილად არის 666 შტრიხკოდში. წულუკიანი ამბობს, ამოვიღეთ ყველა ინფორმაცია, დავტოვეთ მხოლოდ სახელი და გვარიო, მეტი არც არის საჭირო, სახელი სჭირდებათ ჩვენი და შტრიხ-კოდი, რომლითაც შევლენ ბაზაში და იქ წაიკითხავენ ინფორმაციას. გამოცხადებაში წერია, სახელზე იქნება, ეს, სახელი იქნება მხეცის სახელთან დაკავშირებული. სამწუხარო ის არის, რომ ამას არ აშუქებენ ტელევიზიები და არ გვაძლევენ საშუალებას, რომ ვთქვათ ჩვენი სათქმელი. გარდა ამისა, ჩიპი მოქმედებს ადამიანის ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე. როდესაც მიკროტალღური ჩიპი ადამიანს სხეულში აქვს, ნებისმიერი სიმძლავრის სიხშირის რხევა შეუძლიათ შეუშვან ორგანიზმში, რომელიც არღვევს ადამიანის ბიორიტმს. იოანე ღვთისმეტყველი ამბობს: უკანასკნელ ჟამს ვისაც ექნება ეს ნიშანი, ბეჭედი, იმას წყლულები გაუჩნდებაო.

**– რატომ არ არის ერთიანი აზრი სასულიერო პირებს შორის ამ საბუთების შესახებ? ზოგიერთი მოძღვარი არ ეწინააღმდეგება მის მიღებას.**

**მამა ბასილი ახვლედიანი (ბოლნისის ეპარქია):** ნათქვამია, რომ მეცნიერებით უნდა შეიმეცნო ღმერთი. მე როდესაც რაღაც საკითხი არ მესმის, საწინააღმდეგო აზრის მატარებელ ადამიანს ვუკავშირდები და ვეკითხები, რით არგუმენტირდება შენი პოზიცია და ვცდილობ გავერკვე საწინააღმდეგო პოზიციაშიც. აქედან გამომაქვს დასკვნა და შენ როდესაც არ გინდა ამის გაკეთება და მხოლოდ და მხოლოდ ერთი საინფორმაციო წყაროს მეშვეობით საზრდოობ 21-ე საუკუნის ადამიანი, ეს უკვე პროლემაა იმ ადამიანის. ვინც ეძებს, ის აუცილებლად მონახავს ჭეშმარიტებას, მე ღამეები მაქვს ნათევი ამის ძიებაში.

ალტერნატიული საბუთების შემოღებაც გამოიწვევს საზოგადოების გარიყვას და დაყოფას ალტერნატიულ საზოგადოებად და ცივილურ საზოგადოებად. ეს აუცილებლად აისახება ალტერნატიული საბუთების მფლობელის ცხოვრებაზე, გარიყული აღმოჩნდება, სოციუმიდან და მოწყვეტილი ურთიერთობებს. ჩვენი მოთხოვნაა ის, რაც მოითხოვა ბრიტანეთმა, რომ ქვეყანამ საერთოდ გააუქმოს ID ბარათი და ალტერნატივის საერთოდ ტერმინოლოგიიდან ამოღება.

**მამა აკაკი მელიქიძე (მეტეხის ტაძრის წინამძღვარი):** მე ამის შესახებ წარმოდგენა მქონდა ოცდაათი წლის წინათ, რომ ეს უნდა მოხდეს, წმინდა მამების განმარტებით. ეს პროცესი დაწყებულია დიდი ხანია, არსებობს სიონის ბრძენთა ოქმები და ეს ID ბარათებიც არის დამაგვირგვინებელი საფეხური, ყველაფერი სრულდება სიტყვასიტყვით. არანაირ დათმობაზე არ უნდა წავიდეთ, ეს არის სწორედ ის ავადსახსენებელი ანტიქრისტეს ბეჭედი, ნურავინ შემოალამაზებს, დიახ, ის არის, სწორედ. ეს რომ განხორციელდეს მთელ მსოფლიოში, მაშინ გაცხადდება ის ანტიქრისტეც, იმას მაშინ მიეცემა ძალები და მსოფლიო კონტროლს ხელში აიღებს, ადამიანს თავისუფალი ნება წაერთმევა, პირდაპირ იქნება ვეშაპის ხახაში, ჩვენ ვიქნებით მარიონეტები, რაც უნდათ, იმას გაგვაკეთებინებენ.

**მამა ნიკოლოზი (ხონის ეპარქია):** ის ადამიანები, რომლებიც ჩვენს მოთხოვნას უარყოფენ და ხორციელი ცხოვრებისათვის ირჩევენ მას, რაც დამღუპველი და ანტიქრისტეს გზაა, საცოდავნი არიან. დღეს ის დროა, რაც ნაწინასწარმეტყველია, რომ იქნება არჩევანი: ჯვარი და პური. უნდა შევძლოთ, რომ ღმერთს არ დავცილდეთ ხორციელი ცხოვრების ფუფუნების გატაცებით. დაგლოცოთ ღმერთმა და მოგცეთ ნებისყოფა და შეძლება უფალს მიყვეთ ერთგულად!

**ხათუნა საგინაშვილი (ჟურნალ „ქვაკუთხედის“ რედაქტორი):** მე, პირადად, ორჯერ შევხვდი იუსტიციის მინისტრს, მასალები მივაწოდეთ და რაღაც საკითხებზე შევთანხმდით, ამის მერე ის იგივეს იმეორებს, მის ოპოზიციაში არანაირი ცვლილება, ამ მასალებიდან არაფერი გაუგია, შეიძლება არც წაუკითხავს. სამინისტროში ამბობენ, რომ მიდის სოციოლოგიური კვლევა არაადექვატური შეკითხვით: მოგწონთ თუ არა ID ბარათი, ნაცვლად იმისა, რომ ჰკითხონ: გინდათ თუ არა, ალტერნატივა. მინისტრს ამ ბარათის სულიერი აზრი არ ესმის.

**ზაზა ნანობაშვილი**: იეღოველებმა მოითხოვეს და სახელმწიფომ მისცა მათ უფლება, სისხლი არ გადაისხან, თუნდაც კვდებოდნენ ასევე ჯარში, საქართველოს მოქალაქე ქართველები არ მიდიან თავიანთი რელიგიური მოსაზრებებიდან გამომდინარე. ტოტალურ კონტროლზე როცა ალაპარაკდა მსოფლიო და ამხელა პროტესტი გამოითქვა, ხელისუფლება ნაცარს გვაყრის თვალში და მართლმადიდებელი მრევლის ნებას ხელყოფს. იყენებენ საპატრიარქოს იმ განცხადებას, სადაც ნათქვამია, რომ ანტიქრისტეს ბეჭედი არ არის, არ იყენებენ იმ ნაწილს, სადაც ნათქვამია, მოეთხოვოს ხელისუფლებას ალტერნატიული საბუთების დაშვება. ხდება აპოკალიფსის მიხედვით, ფულის ერთეულის შეცვლა ამ Iდ ბარათებით. ჩვენ გავაგრძელებთ ბრძოლას ხელმოწერებით ახალი მთავრობის დროსაც, თავდადებამდე.

**P.S. იმედიანი დასასრულისთვის ისევ წმინდა გაბრიელ ბერის სიტყვებს მოვიშველიებ: „საქართველო აღდგება, ისე, როგორც ლაზარე“.**

**ნინო კობაიძე**

# ,,ერთი შვილ ჰყავდა ვაჟასა...“

... ის ჩემი ბავშვობის მოგონებებს შემორჩა: მაღალი, მთიელებრ ახოვანი, ლამაზი. ხშირად სტუმრობდა ხოლმე თავისავე მშობლიურ ქალაქ გორში, ჩვენი კარის მეზობელი **ირინა მიხეილის ასული რაზიკაშვილის** ოჯახს (აქვე ვიტყვი, ქალბატონი ირა ქართველი ხალხისათვის კეთილად მოსაგონარი **ვასილ მჟავანაძის** მძახალი იყო), მიხეილი (მიხა) მთის არწივის — **ვაჟა-ფშაველას** დისწული გახლდათ, მათი ხშირი სტუმარი კი **ლევან რაზიკაშვილი-გოდერძიშვილი** გენიალური მგოსნის ვაჟის ლევანის შვილიშვილი...

... ქალაქის შუაგულში, ერთ ძალიან მყუდრო და წყნარი ქუჩაზე (ჟიული შარტავას სახელობისაა ახლა) უზარმაზარი ცხენისწაბლის პირას ერთი ძველებური და მოკრძალებული სახლი დგას, მას რაღაც სხვა ხიბლიც აქვს — აქ მრავალი წლის მანძილზე ცხოვრობდა ბოლშევიკთა მსახვრალი ხელით დახვრეტილი ქაქუცა ჩოლოყაშვილის უახლოესი მეგობრისა და თანამოაზრის **ლევან ლუკას ძე რაზიკაშვილის** უერთგულესი, მშვენიერი და სათნო თანამეცხედრე **თამარ მთვარელიძე — რაზიკაშვილისა** თავისი ნაგრამით... ათეული წლები თითქმის არაფერი ვიცოდით მათ შესახებ, თუ რატომ, ამაზე ბატონი ლევანი მოგვითხრობს: — მოგეხსენებათ, ვაჟა-ფშაველას ჰყავდა ოთხი შვილი — სამი ქალი და ერთი ვაჟი: თამარი, მარიამი, გულქანი და ლევანი; როგორც ცნობილია, პოეტის მეუღლე **ეკატერინე ნებიერიძე** გარდაიცვალა მაშინ, როდესაც ფეხმძიმედ იყო მეხუთე შვილზე.


ვაჟა-ფშაველას შვილი ლევან რაზიკაშვილი


დგანან: იოსებ მთვარელიძე — ლევანის ცოლისძმა, ლევან რაზიკაშვილი (ვაჟას შვილი), მიხა რაზიკაშვილი (ვაჟას დისშვილი),
სხედან: თამარ მთვარელიძე-რაზიკაშვილისა (ლევანის მეუღლე) პატარა ლუკა ლევანის ძე რაზიკაშვილი და ნათესავი ქალი

ვაჟამ, მეზობლების რჩევით, მეორე ცოლად შეირთო გიორგი დიდებაშვილის შვილი თამარი.

ქალის მოყვანიდან ექვსი თვის თავზე დაიბადა ბავშვი; ვაჟა მიხვდა, რომ იგი მისი შვილი არ იყო და ეს ამბავი მთიულამაც აღიარა (ასე ეძახდნენ თამარს); ვაჟკაცი კაცი განრისხდა და გადაწყვიტა ქალი უკან, თავის სახლში დაებრუნებინა (მაშინ ასეთი წესი იყო ფშავში: კაცი რომ ქალს თხოულობდა, სასიძოსა და სასიმამროს შორის იწერებოდა ხელწერილი, რომელიც ითვალისწინებდა პატარძლის უკან მიბრუნებას, თუკი ის ქმარს მოატყუებდა, უღალატებდა, ან გერებს ყურადღებას არ მიაქცევდა).

მაგრამ ისევ მეზობლების ხვეწნა-მუდარით ვაჟამ თამარი თავისთან დაიტოვა, ხოლო ბიჭს, რომელსაც ვახტანგი დაარქვა.

ბავშვი საკუთარ გვარზე დაეწერა — დიდებაშვილზე. გავიდა წლები, ასე იყო თუ ისე, პაპაჩემი ლევანი და ვახტანგი ერთ ოჯახში, ერთ ჭერქვეშ იზრდებოდნენ.

... დადგა 1921 წელი. საბჭოთა რუსეთის მიერ დამოუკიდებელი საქართველოს ანექსია მოხდა. სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლა დაიწყო ქაქუცა (ქაიხოსრო) ჩოლოყაშვილმა თავისი შეფიცულებით. ლევან რაზიკაშვილიც ჩაება ამ უთანასწორო ბრძოლაში (იმ დროს მაღაროსკარის მილიციის უფროსად მუშაობდა) ისინი ძმადნაფიცები იყვნენ, ერთად უსწავლიათ თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში.

ფშავ-ხევსურეთში ჩეკისტები ვერ ახერხებდნენ ქაქუცას დაჭერას, იგი ყოველთვის უსხლტებოდათ ხელიდან, რადგან ლევანი საჭირო ინფორმაციას დროულად აწვდიდა.

ჩეკისტებმა ბოლოს იმძლავრეს და სისხლში ჩაახშვეს ეს აჯანყება (როგორ ჰგავს ის ავბედითი მოვლენები სულ ცოტა ხნის წინ თბილისში რუსთაველზე ჩვენი ,,სამართლიანი“ წინა ხელისუფალთა მიერ დატრიალებულ ასევე სისხლიან კალოს — გ.გ.)

ლევანმა საიდუმლო ბილიკებით გააპარა ქაქუცა პანკისის ხეობისკენ; დამშვიდობებისას უთხრა: ,,წამოდი ჩვენთან ძმაო, თორემ ესენი არ გაპატიებენო“; პასუხად უარი მიიღო ეროვნულმა გმირმა: ,,არა, ქაქუცავ, ჩემს ცოლ-შვილს ვერ მივატოვებ, ამიწიოკებენო“.

ლუკა რაზიკაშვილის ძეს ამ დროისათვის სამსახური დატოვებული ჰქონდა პირადი განცხადებით: ერთ დღეს სათიბში წავიდა ჩარგლის თავზე. წასვლის წინ სახლში დაიბარა, თუ ვინმე მოვიდა და მიკითხა, უთხარით — არ ვიცით, სად არისო. ლევანს ჯალაბი ჩარგალში ჰყავდა, მამის კერაზე. მართლაც ცოტა ხანში ჩეკისტებმა მიაკითხეს (მათ მოდარაჯე ყურს რას გამოაპარებდი, ყველაფერი წვრილად იცოდნენ).

მეუღლეს, თამარ მთვარელიძეს უთქვამს: მართლაც არ ვიცით, სად არისო და აქ კი უკვე საქმეში ჩარეულა მთიულა. მიასწავლა მისი ადგილ-სამყოფელი და ამით შეგნებულად გასცა ლევანი. ჩეკისტებმა მთაში, სათიბში დააპატიმრეს პაპაჩემი — აი, ასე იძია შური მთიულა — თამარმა ვაჟაზე, ვინაც ვახტანგს გვარი არ მისცა და მეორეს მხრივ, ნამდვილი შტო-შვილი სწორუპოვარი პოეტისა მოიშორა თავიდან.

ამის შემდეგ ბებიაჩემი, ლევანის მეუღლე, რომელსაც სამი მცირეწლოვანი შვილი ჰყავდა: ლუკა, ქეთევანი (დედაჩემი) და ეკატერინე (პეპელა) იძულებული შეიქნა დაბრუნებულიყო მშობლიურ გორში, დედულეთში, რადგან მთიულა უმალავდა საჭმელს, წყევლიდა ბავშვებს და ერთი სიტყვით, ყველანაირად ცდილობდა მოეშორებინა ისინი ლევანის ფუძიდან.

ვაჟა-ფშაველას ძე ჩარგალში და მთელ ფშავ-ხევსურეთში ძალიან უყვარდათ; იგი გახლდათ კეთილშობილი, ვაჟკაცური სულის, ძალიან ნიჭიერი და უღირსეულესი პიროვნება; მაშინ ფშაველებსა და ხევსურებს ერთმანეთში უთანხმოებაც ჰქონდათ: ისინი ტერიტორიებს ვერ იყოფდნენ. ეს ყველასათვის პატივსაცემი ახალგაზრდა კაცი ჩადგა მათ შუა და დააშოშმინა, მოარიგა. ვახტანგი უკიდურესად განსხვავდებოდა მისგან: იყო შეკრული ჩეკისტებთან და აჯანყების ჩახშობის შემდეგ აფხუშოს ტყეში ორი კაცი გაისტუმრა იმქვეყნად; სავარაუდოა, მათ იცოდნენ ვახტანგის საქმიანობა და ისიც, თუ ვინ დააბეზღა ლევანი.


ქეთევენ, ლუკა და ეკატერინე რაზიკაშვილები

დაბოლოს, რაც შეეხება ვაჟას თვითმარქვია შთამომავლებს: სულ ცოტა ხნის წინ საზოგადოებას წარუდგა ვინმე ვაჟა რაზიკაშვილი, წინასაარჩევნო კამპანიისას ,,ლეიბორისტებიდან“. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ — რომ ვაჟას ჰყავდა — ერთადერთი ვაჟი ლევან რაზიკაშვილი, რომელიც დახვრიტეს სერგო ორჯონიკიძის მეთაურობით 1923 წელს, სხვა შვილთაშვილები, ვიმეორებ არიან თვითმარქვიები, რომლებიც აგრერიგად მომრავლდნენ ამ ბოლო დროს...

... სავარაუდოდ კი დახვრეტა მოხდა ვაკის პარკში, მაშინ იმ ადგილას თურმე მხოლოდ ერთი პანტის ხე მდგარა... გულდასაწყვეტი იყო, რომ წინა მთავრობას ნაკლებად აინტერესებდა უდიდესი ერისკაცისა და პოეტის და ასევე მისი უსამართლოდ დახვრეტილი შვილის ბედი... წინამდებარე ლექსიც გულიდან ამოძახილი სიტყვებია იმათ გასაგონად, ვინაც მუხთალი წუთისოფლის ქარტეხილებში ყვავყორანთა თვისებები მიიახლობლა...

,,ერთი შვილ ჰყავდა ვაჟასა
სულით ლამაზი, ვაჟკაცი
საქართველოსთვის მოკლული,
ფშავ-ხევსურეთში თავკაცი.

მე იმის შვილიშვილი ვარ,
როგორაც ვაზის მტევანი
იმასაცა და მენაცა
ორთავეს გვქვია ლევანი.
შენ კიდევ არაფერ იცი,
ვერც ვერა გაგიგია რა,
ცილინდრში გამოწყობილსა
ფშავლისა არა გცხია რა.
ვაჰ! თქვენსა დედას ყორნებო,
ვაჟას როგორა სძიძგნითა,

ეხლა მკვდარია არწივი,
მკვდარს რაღას ემართლებითა?

ყვავ-ყორნებისა მოდგმასა
ბახალებს ეძახიანო,
არწივთ მოდგმასა კიდენა
მართვეებს გვეძახიანო...

,,წყალნი წავლენ და წამოვლენ,
ქვიშანი დარჩებიანო“,
რატომ არ იტყვით სიმართლეს,
ნეტავ, რის გეშინიათო?!

**მედეა მახარაშვილი**
**საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი, გორი**


დგანან: გულო რაზიკაშვილი, ეკატერინე რაზიკაშვილი,
სხედან: თამარი (ვაჟას უფროსი ქალიშვილი)
გოგლა ლეონიძე, გულქანი (ვაჟას უმცროსი ქალიშვილი)
ჩარგალში







## თავსატეხი

ჰორიზონტალურად: აზიზა, ამიგო, აჭამი, ბაიკა, გუშინ, ვეტრა, ვჩირი, ვასილ, კუკია, ლაიმე, მიზენა, ნერგი, ოფოფი, პორშე, ჰანდი.

ვერტიკალურად: აბეკა, არილი, ბრიგი, გაზეტ, ვიდა, ზაიკა, ილონა, იორკი, კბენა, ლეოპი, მანტე, ნარნა, ფანგი, რადიო, სტილი, ტრონი, ქლორი, ყადრი, შაშა, ცანგა, ძიება, ზრიგა.

## სამიდან ერთი

ჰორიზონტალურად: 1. სტენდი, ოკრიბა, შოპენი. 2. ბერეტი, კოლონა, სალონი. 3. კამათი, ფოკუსი, ბაბილო. 4. ფარში, გუნდი, ტეტანი. 5. ლურჯა, ლოტრი, ლაურა. 6. თურქული, ტამბური, კარტეჯი. 11. ფიატონი, კიშმიში, კარკასი. 12. ტუკანი, კოლიბრი, ჩეხოვი. 13. ფილეტი, სარინა, მალარი. 14. კომეტა, ლუბილო, ტენისი. 16. ბარკა, კარტა, ზებრა. 17. ოფისი, არიაგა, ელამი.

ვერტიკალურად: 3. კალიტოში, მელიტონი, ბაგულიტი. 7. ბეტონი, სკვერი, ჩეხოვი. 8. პორტუსნიადელეგატი, ბასტურმა. 9. ბოკერი, მიზერი, მეთოდი. 10. სარდი, ბერეკი, ლაიკა. 12. სომხური, ტაბაკი, ჩეროკი. 15. კალენდი, კურკეტი, კორომია. 18. შიშური, კორიდა, გელათი. 19. ტრეშვილი, ფლოტინი, კარდინი. 20. ლამბერი, ნანეტი, ლიგური. 21. პროფილი, ლიტუმელი, ჭრიჭინა.

## შიფრვორდი

| | |
|---|---|
| ა-3 | ს-4 |
| ბ- | ტ- |
| გ- | უ-9 |
| დ- | ფ- |
| ე-17 | ქ- |
| ვ- | ღ- |
| ზ- | ყ- |
| თ- | შ- |
| ი-7 | ჩ- |
| კ- | ც- |
| ლ-30 | ძ-29 |
| მ- | წ- |
| ნ- | ჭ- |
| ო-24 | ხ- |
| პ | ჯ |
| ჟ- | ჰ- |
| რ-2 | |



# მ ი ლ ო ც ვ ა

**მრავალჟამიერ, ბატონო გოგი!**

2 მაისს დაბადებიდან 88 წელი უსრულდება ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორს, გენერალ-მაიორ **გიორგი ხაზარაძეს.**

იგი ცნობილი საზოგადო მოღვაწეა და ათეული წლების განმავლობაში გაუწევია საქველმოქმედო დახმარება მრავალი ორგანიზაციისა თუ იმ ადამიანებისთვის, ვისაც მისთვის შემწეობისთვის მიუმართავს.

ქვეყნის წინაშე გიორგი ხაზარაძის დამსახურებებზე ფართო საზოგადოებისთვის ცნობილია, ხოლო მის „კეთილ საქმეთა ქრონიკაზე" სიტყვას არ გავაგრძელებ, რადგან ამის შესახებ ბატონ გოგის საუბარი არ უყვარს.

მე მინდა, მივულოცო ჩემს ძვირფას უფროს მეგობარს გიორგი ხაზარაძეს ეს ღირსშესანიშნავი თარიღი და ვუსურვო უდრეკი ჯანმრთელობა, ახალგაზრდული შემართება, უშრეტი ენერგია, დიდხანს სიცოცხლე, სიხარული, სიკეთე. დაე, არასოდეს მიეტოვებინოს იგი მის მუზას, რომ კვლავაც ბევრჯერ გავეხარებინეთ არაჩვეულებრივი პოეტური ქმნილებებით.

ასევე მინდა, ვუსურვო შვილების, შვილიშვილებისა და იმ ადამიანების კარგად ყოფნა, ვინც მისთვის ძვირფასია, რადგან სწორედ ამ ადამიანების კარგად ყოფნაზეა დამოკიდებული მისი კეთილდღეობაც.

კიდევ ერთხელ გილოცავთ, ბატონო გოგი, დაბადების დღეს და ყოველივე საუკეთესოს გისურვებთ!

მრავალჟამიერ, ბატონო გოგი!

**სიყვარულითა და პატივისცემით, ბელა გველესიანი**

# მადლობა გულისხმიერებისათვის!

ექვსი ათეული წლის მანძილზე, მთელს საქართველოში ერთ-ერთი საჩვენებელი გორის #9 საბავშვო ბაგა-ბაღის შენობა და წალკოტისდარი ეზო — უცერემონიოდ გადაეცა წინა ხელისუფლების დევნილთა სამინისტროს...

... მაგრამ იზეიმა დიდმა სურვილმა სიკეთის ქმნისა და გულისხმიერების... 2013 წლის 4 თებერვალს ბაღი დაგვიბრუნეს; ულრმესი მადლობა ამისათვის ლტოლვილთა და განსახლების მინისტრს ბატონ **დავით დარახველიძეს,** მის მოადგილეს **მამუკა ცოტნიაშვილს,** გორის მაჟორიტარ დეპუტატს **სოსო ვახტანგაშვილსა** და გამგებელს **პაპუნა კობერიძეს.**

**დიდი პატივისცემით #9 ბაგა-ბაღის აღსაზრდელთა მშობლები:**
**ს. ხარაზიშვილი; მ. ერგემლიძე; ნ. ნალიყაშვილი;**
**ნ. კორინთელი; ნ. მძინარაშვილი; ზ. ბაბუნიშვილი; მ. კარელიძე; ე. კარელიძე;**
**ს. ბლიაძე; ნ. ლუსმანაშვილი; შ. მარღიშვილი; დათუნაშვილი; ა. რევაზაშვილი;**
**თ.რობაქიძე; ი.კაპანაძე; ნ.ნეფარიძე; ნ. ბუთხუზი; მ. ქარულიძე**


**გამოვიდა დამოუკიდებელი ლიტერატურული ჟურნალი**

**„ ა მ ე რ ი მ ე რ ი ს "**

**პირველი ნომერი.**

**ჟურნალში თავმოყრილია ქართული პოეზიისა და პროზის საუკეთესო ნიმუშები, საზღვარგარეთული მწერლობის კორიფეების ნამუშევრები, ლიტერატურული კრიტიკა და პოლემიკა.**

**დაინტერესებულ მკითხველს ჟურნალ „ამერიმერის" შეძენა შეუძლია რუსთაველის 32-ში და „პლანეტა-ფორტეს" ჯიხურებში.**





# `saerTo gazeTis~ iuridiuli konsultacia



*„საერთო გაზეთის" მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი*

***მთვარისა კევლიშვილი.***

ტელ.: 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
5 93 78 64 69

* * *

**-რა შემთხვევაში ითვლება მკვლელობა ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში ჩადენილად და როგორია სანქცია?**

1-ლი ნაწილი: -საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 111-ე მუხლის მიხედვით, განზრახ მკვლელობას უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში მაშინ აქვს ადგილი, თუ იგი გამოიწვია დამნაშავის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ მსხვერპლის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ მსხვერპლის მიერ მართლსაწინააღმდეგო ძალადობამ, მძიმე შეურაცხყოფამ ან სხვა მძიმე ამორალურმა ქმედებამ, აგრეთვე, მსხვერპლის არაერთგზისი მართლსაწინააღმდეგო ან ამორალური ქცევით განპირობებულმა ფსიქიკურმა ტრავმამ.

სანქცია:ისჯება თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე;

მე-2 ნაწილი: იგივე ქმედება, ჩადენილი ორი ან მეტი პირის მიმართ,-

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე.



* * *

**-რა შემთხვევაში ინიშნება კანონით გათვალისწინებლზე უფრო მსუბუქი სასჯელი?**

-საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 55-ე მუხლის მიხედვით, სასამართლოს შეუძლია დანიშნოს ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით დაწესებული სასჯელის ზომის უდაბლეს ზღვარზე ნაკლები სასჯელი ან სხვა, უფრო მსუბუქი სახის სასჯელი, თუ მხარეებს შორის დადებულია საპროცესო შეთანხმება.

* * *

**-რა შემთხვევაში ინიშნება უვადო თავისუფლების აღკვეთა?**

—საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 51-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, უვადო თავისუფლების აღკვეთა შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, უვადო თავისუფლების აღკვეთა არ დაენიშნება იმას, ვისაც დანაშაულის ჩადენამდე არ შესრულებია თვრამეტი წელი ან ვისაც განაჩენის გამოტანის მომენტისათვის შეუსრულდა სამოცი წელი.

* * *

**-შეზღუდული შერაცხადობა ითვლება თუ არა ბრალის გამომრიცხავ გარემოებად?**

-აღნიშნულ საკითხს არეგულირებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 35-ე მუხლი. კერძოდ:

1-ლი ნაწილი: სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან არ თავისუფლდება სრულწლოვანი, რომელიც დანაშაულის ჩადენის დროს იმყოფებოდა შეზღუდული შერაცხადობის მდგომარეობაში, ესე იგი ფსიქიკური დაავადების გამო არ შეეძლო სრულად გაეცნობიერებინა თავისი ქმედების ფაქტობრივი ხასიათი ან მართლწინააღმდეგობა ანდა ეხელმძღვანელა მისთვის.

მე-2 ნაწილი: შეზღუდულ შერაცხადობას სასამართლო ითვალისწინებს სასჯელის დანიშვნის დროს.

მე-3 ნაწილი: სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან შეიძლება გათავისუფლდეს არასრულწლოვანი, რომელიც დანაშაულის ჩადენის დროს იმყოფებოდა შეზღუდული შერაცხადობის მდგომარეობაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეზღუდული შერაცხადობა ბრალის გამომრიცხავ გარემოებად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ არასრულწლოვნის შემთხვევაში, ხოლო სრულწლოვნის შემთხვევაში- არ ჩაითვლება.

* * *

**-როგორია იურიდიული პირის სასჯელის სახეები?**

-საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1073-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, იურიდიული პირის სასჯელის სახეებია:

ა/ ლიკვიდაცია;

ბ/საქმიანობის უფლების ჩამორთმევა;

გ/ჯარიმა;

დ/ ქონების ჩამორთმევა.

მე-2 ნაწილი: ლიკვიდაცია და საქმიანობის უფლების ჩამორთმევა შეიძლება დაინიშნოს როგორც ძირითად, ისე დამატებით სასჯელად.

მე-3 ნაწილი: ჯარიმა შეიძლება დაინიშნოს როგორც ძირითად, ისე დამატებით სასჯელად.

მე-4 ნაწილი: ქონების ჩამორთმევა შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ დამატებით სასჯელად.


# ირმა სიხარულიძე – უებარი მკურნალი



ქალბატონ ირმა სიხარულიძეს მაშინ მივმართეთ, როცა განკურნების იმედი გადაწურული გვქონდა ათასგვარი მკურნალობით და პროცედურით თავმობეზრებულებმა ეს ბოლო ცდად მივიჩნიეთ და ამან გაამართლა. ქალბატონი ირმა სამედიცინო დარგის მუშაკია, მაგრამ ავადმყოფებს ხალხური მეთოდით მკურნალობს. საუკუნეებით გამოცდილი საგვარეულო წამლით იგი კურნავს: ოსტეოქონდროზს, მარილებს, პოლიართრიტს, რადიკულიტს, კისრის, მხრის, მენჯ-ბარძაყისა და მუხლ-სახსრის ართროზებს. ქუსლზე წანაზარდს და პოდაგრას.

წამალი მცენარეულია და უკუჩვენება არ აქვს. პროცედურა ტარდება მალამოს მასაჟირებით და საფენებით. ბუნებისგან ბოძებული ამ პანაცეით ქალბატონმა ირმამ ბევრი პაციენტი დაგვაყენა ფეხზე, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

მადლიერი პაციენტები.

**ქალბატონი ირმას კოორდინატები:**
**მის: თბილისი, ფოთის ქ.№2, (მეტრო წერეთელთან)**
**ტელეფონები: 2 34 21 63, 557 35 89 00**

თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი.

# საქართველო, შენ მოგეცა მიხეილ სააკაშვილის ცოდვა, ეგ რომ პრეზიდენტად აირჩიე...



გადაცემა „პოზიციაში“ მიხეილ სააკაშვილს რომ ვუსმინე, საბოლოოდ დავრწმუნდი, ეს ადამიანი ძალიან მძიმე ავადმყოფია და ხანგრძლივ და სერიოზულ მკურნალობას საჭიროებს, თუმცა ექიმებს თუ დავუჯერებთ, ავადმყოფობა, რომელიც სააკაშვილს ჭირს, არ იკურნება.

— გიჟია მიშაო, გადარეული და იმპულსურიო, ვიცი, რომ ამას ამბობენ ჩემზე — თქვა მიშამ, მაგრამ ის არ დაუყოლებია, არც გიჟი ვარ და არც გადარეულიო, ჭკვიანი და ნორმალური ადამიანი ვარო.

როგორც ჩანს, მან იცის, რაც ჭირს, თუმცა ბოლომდე ვერ აცნობიერებს ამ სენის მუხანათურ ბუნებას და იმ მდგომარეობას, რომელშიც ის იმყოფება.

მოკლედ, რომ ვთქვათ, ამ კაცს, რომ ვუსმენდი და ვუყურებდი, ჯერ საკუთარი თავის, მერე კი იმ საქართველოს მაგივრად შემრცხვა, რომელმაც ეს კაცი პრეზიდენტად აირჩია.

# უმადური

ყველა დროს და ყველა პარტიას ჰყავს თავისი კლარა ცეტკინი და ნადეჟდა კრუპსკაია, თავისი მაია ნადირაძე და თეა თუთბერიძე, თავისი ჩიორა თაქთაქიშვილი და ირმა ნადირაშვილი. ჰყავს ისინი კოალიცია „ქართულ ოცნებასაც“, თუმცა მათში ბოლო ხანებში, ერთი ქალბატონი გამოიჭრა წინ — ირინე იმერლიშვილი!

ამასწინათ დილის 9 საათზე რომ დაიწყო ღამის 12 საათამდე ყველგან, ყველა საინფორმაციოზე ქალბატონი ირინე ჩანდა და კომენტარებს იძლეოდა.



— სხვაზე რომ საუბრობთ, საკუთარ მეუღლეზე ისაუბროთ, ის სჯობს. აბა, ერთი მოყევით, როგორ გაიმარჯვა თქვენი მეუღლის კომპანიამ თავდაცვის სამინისტროს ტენდერში და როგორ დაითრია 32 მილიონიანი ლოტი — გამოუხტა იმერლიშვილს ნადირაშვილი.

— ნეტამც გაემარჯვა, მაგრამ არ გაუმარჯვია სინამდვილეში — არ დააყოვნა პასუხი იმერლიშვილმა — მონაწილეობით კი მონაწილეობდა, მაგრამ არ გაუმარჯვია. ჩემი მეუღლე, კარგი მენეჯერია, სხვათაშორის... თუ ჩემი არ გჯერათ, მიხეილ სააკაშვილს ჰკითხეთ. სწორედ მაგის რეკომენდაციით მიიღეს იგი ქალაქის კეთილმოწყობის სამსახურში, იქიდან კი მიხეილ მაჭავარიანმა გადაიყვანა სხვაგან — თავმომწონედ განაცხადა ქალბატონმა ირინემ.

როგორც ამბობენ, ქალბატონი ირინეც აქტიური „ნაციონალისტკა“ იყო თავის დროზე, მისი მეუღლის კარიერაზე კი, როგორც თავად განაცხადა, მთლად „ნაცების“ ბელადები ზრუნავდნენ.

ეხ, ქალბატონო ირინა, ქალბატონო ირინე — აუშენებიხართ მთელი ოჯახი ამ „ნაციონალებს“ და კიდევ მაგათ საყვედურობთ, თქვე დალოცვილო?

# გზა ევროპისკენ

სასწაული ამბები ხდება, სასწაული —„ნაციონალები „ახალ ეროვნულ მოძრაობას იწყებენ და კვლავ ევროპისკენ აპირებენ ტრიუმფალური მსვლელობის გაგრძელებას.

ეტყობა, ამ პატივცემულ „ნაციონალებს“ რომელიღაც ჩვენთვის უცნობ კონტინენტზე სხვა ევროპა აქვთ აღმოჩენილი და იქითკენ მიდიან, თორემ იმ ევროპაში, რომელიც ჩვენ ვიცით უამრავი ცოდვით დახუნძლულ-დამძიმებულ „ნაციონალებს“ ვინ შეუშვებს?



საერთოდ, რას ნიშნავს ეს ყბადაღებული ფრაზა „ჩვენ ევროპისკენ მივდივართ“.

ერთი ხანობა კომუნიზმისკენ მივდიოდით, ახლა კომუნიზმს ევროპა ჩაენაცვლა და ჩვენც ახალი კომუნიზმისკენ, ევროპისკენ, მივდივართ, სადაც არც არავინ გველის, არც არავინ გვეძახის, ჩვენ კი მაინც მივდივართ და გზადაგზა ტერიტორიებს ვკარგავთ.

თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი.

## ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** — ეს კვირა ხელსაყრელი იქნება დროებითი სამუშაოს ან ერთჯერადი დაკვეთების შესასრულებლად. წარმატებები გარანტირებული გაქვთ. თუმცა ეცადეთ, თავი აარიდოთ სარისკო ოპერაციებს.

**კურო** — მოიმატებს კონფლიქტური სიტუაციები, ერიდეთ აზარტულ თამაშებს და საბანკო ოპერაციების ჩატარებას.

**ტყუპები** — სამსახურში შექმნილი უსიამოვნება ხელს შეგიშლით, დაასრულოთ დაწყებული საქმე, რაც უარყოფითად აისახება თქვენს ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

**კირჩხიბი** — ცხოვრების სწრაფი ტემპი და დიდი დატვირთვა უარყოფითად იმოქმედებს თქვენს ჯანმრელობაზე. შესაძლოა, ავადმყოფობამაც შეგიშალოთ ხელი.

**ლომი** — ამ კვირას კარგია სასამართლო პროცსებისა და სხვა სახის იურიდიული საკითხების მოგვარება.

**ქალწული** — ეცუადეთ, ფული გეგმაზომიერად ხარჯოთ, აზარტული თამაშებით გატაცება მძიმე დარტყმას მოგაყენებთ, რაც თქვენს ეკონომიკურ მდგომარეობაზე აისახება.

**სასწორი** — ამ კვირაში დიდია ტრავმების ალბათობა, ამიტომ ეცადეთ ტექნიკური სამუშაოებისგან დროებით შეიკავოთ თავი. სამსახურში გააქტიურებიან თქვენი მოწინააღმდეგეები.

**მორიელი** — გაქვთ შანსი, მოეწყოთ კარგ სამსახურში ან დადოთ სარფიანი ხელშეკრულებები. დიდი სიფრთხილე გმართებთ, თუ სხვისი ქონებით ან საბანკო საქმით ხართ დაკავებული.

**მშვილდოსანი** — უმჯობესია, მგზავრობისგან თავი შეიკავოთ. ყოველგვარი წვრილმანი თქვენს გაღიზიანებას გამოიწვევს, რის გამოც გამწვავდება თქვენი ურთიერთობაოჯახის წევრებთან.

**თხის რქა** — მთელს თქვენს ძალისხმევას ახალი კავშირების დამყარებას მოახმართ. სასიყვარულო ურთიერთობებში ეჭვიანობის გამო უსიამოვნებებია მოსალოდნელი.

**მერწყული** — ოჯახის წევრებთან უთანხმოება გელით. მაღალია გაუთვალისწინებელი ხარჯების ალბათობა, რის გამოც ფულის დაზოგვას ვერ მოახერხებთ.

**თევზები** — პოპულარობასა და საყოველთაო აღიარებას მოიპოვებთ, რაც გაგიადვილებთ ნებისმიერი სახის საზოგადოებრივ საქმიანობას. თქვენთვის სასარგებლოდ მოგვარდება სხვადასხვა იურიდიული საქმეც.

**სკანვორდის პასუხები:**

1. ბანგლადეში. 2. წურბელა. 3. წყალწყალა. 4. რომბოედრი. 5. იერიში. 6. ჭირიმია. 7. ჭიშკარი. 8. ოდომეტრი. 9. ზანზალაკი. 10. ლოთი. 11. შეშა. 12. შევრო. 13. შტორი. 14. შურო. 15. შენგელაია. 16. პანადოლი. 17. შტაზი. 18. სტელსი. 19. აგარაკი. 20. ენგელსი. 21. ტალი, 22. ილოური. 23. ნოვოროსიისკი. 24. როკენროლი. 25. იტალომანი. 26. კიფი. 27. გიზო. 28. კორონა. 29. გლენ. 30. ტალკი. 31. ტანკა. 32. სენტიმო. 33. იოსიფ. 34. რეიგანი. 35. გალერა. 36. კოჰინორი. 37. ნესტორი. 38. ჰემინგუეი. 39. სიენა. 40. ულტიმატუმი. 41. ჯვარი. 42. სონია. 43. ნემცოვი. 44. ლუმენი. 45. ანტანტა. 46. აქლემი. 47. მულინე. 48. იულონ. 49. მაქსი. 50. ქანჩი. 51. ელისტა. 52. მიმიკრია. 53. ბინგო. 54. ბეიტი. 55. არი. 56. ტრელი. 57. ლესოტო. 58. ლობიო. 59. ბლუზი. 60. ვოიაჟი. 61. ლილვი. 62. ჰერ. 63. კინი. 64. ჭოტი. 65. ლაკი. 66. პროთეზი. 67. ბოლივარი. 68. ზანდუკი.




იხილეთ
„საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.org
შემოგვიერთდით
FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი